საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№02 (567)
27 იანვარი - 2 თებერვალი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



ქვეყანას გააზრებული 21 პოლიტიკა სჭირდება

## დაუსჯელობის სინდრომი



რატომაა, რომ ათამდე თავხედი, რომლებიც აქციის გამართვის საბაბით არმოწონებულთა ფსიქიკურ და ფიზიკურ ტერორს ეწევიან, ქართველი ხალხის სახელით საუბრობს და პასუხს არავინ სთხოვს? 2



ნანა კაკაბაძე:

## ჩვენთან კრიმინალებს ხელშეუხებლობის პრივილეგია აქვთ

3



რევაზ კილასონია:

## ხელისუფლებისთვის უმჯობესია, რუსეთში დაწყებულმა საპროტესტო აქციებმა აქ არ გადმოინაცვლოს

4

## დაკანონებული ბოროტება

6-7



## ანგლოსაქსებმა ამერიკაში ლიბერალური დიქტატურა დაამყარეს

8



5

გურამ ნიკოლაიშვილი:



## მოწოდებები, რომ რუსეთი ძლიერდება და, არიქა, რამე ზომებია საჭირო, დასავლეთის სისტემური და პოლიტიკური სისუსტის ინდიკატორია

## ბავშვების სახელით ვეკითხებით ამ აბდაუბდის შემოქმედთ: თქვენ ასე გასწავლიდნენ?

18






## ცირკი მოვიდა: ბაიდენი, ფსაკი და ლედი გაგა ამერიკის სიმბოლოებად იქცნენ

11

ხალხი, ხელისუფლება და ოპოზიცია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს, რომ სამსახურიდან გამოსულ ადამიანს ვინმემ თავზე ნაგავი არ დააყაროს, არ აგინოს, არ უყვიროს... ეს ყველაფერი სახელმწიფოს მოვალეობაა და ჩვენ გადასახადებს სწორედ იმის გამო ვიხდით, თავი უსაფრთხოდ და დაცულად რომ ვიგრძნოთ. ახლა კი გამოდის ისე, რომ ოპოზიციას აქვს აბსოლუტურად ყველაფრის უფლება, ხოლო იმ ადამიანებს, რომლებიც მუშაობენ, რომლებმაც მოქმედ ხელისუფლებას დაუჭირეს მხარი, თავისუფლება შეზღუდული აქვთ.**

# დაუსჯელობის სინდრომი

## რატომაა, რომ ათამდე თავხედი, რომლებიც აქციის გამართვის საბაბით არმოწონებულთა ფსიქიკურ და ფიზიკურ ტერორს ეწევიან, ქართველი ხალხის სახელით საუბრობს და პასუხს არავინ სთხოვს?

**„ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაახლოებულ პირებს, სხვა სიკეთესთან ერთად, ე.წ. „ნარუშილოვკები“ ჰქონდათ, საბუთი, რომელიც, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ქვას ხეთქავდა. „ნარუშილოვკის“ წარმდგენს უფლება ჰქონდა, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟისთვის ახსნა-განმარტების გარეშე მოეთხოვა კონკრეტულ ადგილამდე მიცილება, მის მფლობელს თუ გააჩერებდნენ, არ ჰქონდათ უფლება არათუ ალკოტესტზე შეემოწმებინათ, არამედ შეემოწმებინათ მანქანა, საბუთები. არცთუ იშვიათად, „ნარუშილოვკის“ მფლობელი პოლიციის ესკორტს კონკრეტულ ლოკაციამდე მხოლოდ იმიტომ მიუცილებია, რომ მისმა მფლობელმა ძმაკაცთან ან შეყვარებულთან, ან, უბრალოდ, ნაცნობთან „გაიბლატავა“. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ნარუშილოვკები“, ასე ვთქვათ, „ხმარებიდან ამოიღეს“, მაგრამ სხვა ფორმით დააბრუნეს და იმ სხვა ფორმას ოპოზიციური პარტიის წევრობა ჰქვია.**

ცოტა ხნის წინათ არ იყო, „ოპოზიციის აქტივისტ“ (სინამდვილეში ერთ ვიღაც ვიგინდარას) გიგა მაქარაშვილს გორში ნაგვის ურნა რომ ჩამოაცვეს თავზე? გახსოვთ, მაშინ რა მოხდა? ჯერ სახალხო დამცველმა იშიშვლა ხმალი, შემდეგ არასამთავრობოები მიჰყვნენ, ოპოზიციურმა პარტიებმა ისტერიული ბრიფინგი ბრიფინგზე მოაწყვეს, ტელევიზიებმაც მხარი აუბეს და იმას არავინ არ ამბობდა, რატომ მოხდა ეს: ხელისუფლებისა და პოლიციის უმოქმედობის ფონზე მაქარაშვილი, თანამზრახველებთან ერთად, გორის მერიიდან გამოსულ თანამშრომლებს უყვიროდა, უსტვენდა, შეურაცხყოფდა („მონა, მონა“-ს ძახილი თუ შეურაცხყოფა არ არის, მაშინ არ შეურაცხყოფდა) და ერთ-ერთს გულმა არ მოუთმინა, ნერვები აღარ ეყო და ნაგვის ურნა ჩამოაცვა თავზე. ხელისუფლების რეაქციაც მყისიერი იყო — მაქარაშვილს ჯერ თავხედობის, საჯაროდ უზრდელობის და ხულიგნობის უფლება მისცა, მერე კი მერიის ის თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვა, სასამართლომ კი 5 ათასლარიანი ჯარიმა აჰკიდა.

23 იანვარს აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ **ირაკლი ჩავლეიშვილს** ნაგვის ურნა დააპირქვავეს თავზე. ჩამოცმა იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ მობრუნება მოასწრო. ყველაზე საინტერესოც ამის შემდეგ დაიწყო. სახალხო დამცველმა მშვიდად აღნიშნა, რომ ეს არ არის თავისუფლების გამოხატვის სტანდარტი; ხელისუფლებამ ამაყად განაცხადა, რომ ოპოზიციამ თავისი რეალური სახე აჩვენა; ოპოზიციის ლიდერთა უმრავლესობამ თქვა, რომ საქციელი არ მოეწონათ, მაგრამ არ გმობენ. მთავარი კი ის არის, რომ ბატონ ირაკლის ნაგვის ურნა თავზე ერთადერთი მიზეზით დააპირქვავეს — ის აჭარის უმაღლეს საბჭოში კანონიერად მოპოვებული მანდატის საფუძველზე შევიდა. გამოდის, აჭარის უმაღლეს საბჭოსა თუ პარლამენტში შესასვლელად მხოლოდ ამომრჩევლის ნება არ კმარა, ოპოზიციის აქტივისტებმაც უნდა „გაგიპრავონ“, წინააღმდეგ შემთხვევაში, ობსტრუქციას მოგიწყობენ.

პირველ რიგში, ამ ყველაფერზე სახალხო დამცველის რეაგირებას ველოდით. გორისგან განსხვავებით, **ნინო ლომჯარია** აჭარაში არ ჩასულა (შორია), თუმცა განცხადება ოპერატიულად გაავრცელა.

„გამოხატვის თავისუფლებით დაცული არ არის პროტესტის გამოხატვის ისეთი ფორმა, რომელიც არღვევს პირის ფიზიკურ ხელშეუხებლობასა და უსაფრთხოებას. პირისთვის ნაგვის ურნის თავზე ჩამოცმა არ ჯდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში! არ შეიძლება ძალადობის წახალისება ან გამართლება“, — განაცხადა ლომჯარიამ და... ამით შემოიფარგლა.

გაგიკვირდებათ და, რიგითი მოქალაქეების შემდეგ, ყველაზე მწვავე რეაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ **სალომე სამადაშვილს** ჰქონდა, რომელმაც სოციალურ ქსელში შემდეგი დაწერა: **„ამაზრზენია ის, რაც ბათუმში მოხდა, ერთნაირად სამარცხვინო ხალხია ის, ვინც ნაგავს აყრის ადამიანს, და ისიც, ვინც ამას მიესალმება“.** ეს იყო ყველაზე ადეკვატური განცხადება „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა მხრიდან, მაგრამ სამადაშვილი მარტო აღმოჩნდა. ჯერ **ნიკა მელიამ** თქვა: არ ვამართლებ, მაგრამ ამ ადამიანების მესმისო. შემდეგ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა **ლევან თარხნიშვილმა** განაცხადა, არ ვამართლებ, მაგრამ არც ვგმობო. ბოლოს კი „ნაციონალური მოძრაობის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა **ჯელალ ქიქავამ** ოფიციალურად განაცხადა: „სალომე სამადაშვილმა ან ბოდიში მოუხადოს აქციის თითოეულ მონაწილეს, ან დატოვოს „ნაცმოძრაობა“, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემდეგი იქნება თვითონ, თუ ბათუმში ჩამოვა“-ო. როგორია?! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არც სამადაშვილი მოიხდის ბოდიშს და ვერც ქიქავა გაუბედავს ნაგვის თავზე დაყრას, მაგრამ მიდგომა არის ძალიან საინტერესო. ჰო, **აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც მიუკერძოებლობა-დამოუკიდებლობაზე დებენ თავს, პირში წყალი ჩაიგუბეს.**

რა გამოდის?! პირველ რიგში, კიდევ ერთხელ დადასტურდა ის, რომ **არანაირი სამოქალაქო საზოგადოება და დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები არ არსებობენ,** ყველა ვიღაცის სამსახურშია და იმის გათვალისწინებით, რომ არასამთავრობოთა უმრავლესობა წინა ხელისუფლების პირობებში შეიქმნა და მათ გრანტებზე იყო ჩამოკიდებული, სწორედ ოპოზიციის მხარდამჭერია. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არ არის არც სახალხო დამცველი და, სამწუხაროდ, **ნინო ლომჯარიამ დღემდე ვერ გაიგო ის, რომ სახალხო დამცველი არ არის სიწმინდე და ხელშეუხებელი და კრიტიკის მოსმენა და ატანა მასაც ისევე მოუწევს, როგორც ნებისმიერ საჯარო პირს.** ლომჯარიამ არ მოითხოვა დამნაშავის დასჯა და იდენტიფიცირება, ფორმალობისთვის ერთი განცხადება გააკეთა და წერტილი დასვა. აი გორის ინციდენტის მონაწილისთვის კი ლამის სამუდამო პატიმრობას ითხოვდნენ.



**ბატონებო, იმაზე იფიქრეთ, რომ თქვენგან გამეტებული მხარდამჭერები ერთ დღეს ოპოზიციის გარეშე მოგაკითხავენ და პასუხს მოგთხოვენ, შემდეგ ნაგვის ურნას კი არ ჩამოგაცვამენ თავზე, პირდაპირ უნრაში მოგისვრიან და სიმართლის დადგენასა და საკუთარი თავის დაცვასაც თავადვე შეეცდებიან**

შემდეგ — **ხელისუფლების პოზიცია სასაცილოც აღარ არის. ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს, რომ სამსახურიდან გამოსულ ადამიანს (არ აქვს მნიშვნელობა, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი იქნება თუ რიგითი სპეციალისტი), ხელით არავინ შეეხოს (ბატონ ირაკლის ხელით აჩერებდნენ და, როცა მან ხელი მოჰკიდა აქციის ერთ-ერთ მონაწილეს, მყისვე გაისმა მჭექარედ: „ნუ მეხები!“), თავზე ნაგავი არ დააყაროს, არ აგინოს, არ უყვიროს...** ეს ყველაფერი სახელმწიფოს მოვალეობაა და ჩვენ გადასახადებს სწორედ იმის გამო ვიხდით, თავი უსაფრთხოდ და დაცულად რომ ვიგრძნოთ. ახლა კი გამოდის ისე, რომ ოპოზიციას აქვს საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანური ეთიკის, საერთოდ ყველანაირი უმსგავსობის უფლება, ხოლო იმ ადამიანებს, რომლებიც მუშაობენ, რომლებმაც მოქმედ ხელისუფლებას დაუჭირეს მხარი, თავისუფლება შეზღუდული აქვთ. **ცნება, შენი უფლებები მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვა ადამიანის ცხვირი, მხოლოდ ოპოზიციის მიმართულებით ვრცელდება და, როცა ამას უყურებენ ის აქტივისტები, რომლებმაც უკადრებელი იკადრეს, უფრო და უფრო თავხედდებიან.** ბოდიში, თუ ყველას არ ჰყავს პირადი დაცვა, ბოდიში, თუ პარლამენტის დეპუტატები სამთავრობო შესასვლელიდან ჯიპებით შედიან და გამოდიან, მათ ვერავინ ვერ წვდება, რიგითმა თანამშრომლებმა რა ქნან? ნაგვის ურნა ჩამოაცვეს ადამიანს და ორგანიზაცია „ალტერნატივას“ ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე, იცით, რა შინაარსის განცხადება დევს?

„ნაგვის ყუთში ჩაგდებას, ირაკლი ჩავლეიშვილისთვის ნაგვის თავზე დაყრა ვამჯობინეთ (წნევიანი კაცია მაინც). ყველა მოღალატეს იგივე ბედი ელის. ის, ვინც ქართველ ხალხს ულალატებს და საკუთარი კეთილდღეობისთვის კომფორტს ამჯობინებს, საკადრის პასუხსაც მიიღებს ქართველი ხალხისგან...“

არის თუ არა ეს პირდაპირი მუქარა? **რატომაა, რომ ათამდე თავხედი, რომლებიც აქციის გამართვის საბაბით არმოწონებულთა ფსიქიკურ და ფიზიკურ ტერორს ეწევიან, ქართველი ხალხის სახელით საუბრობს და პასუხს არავინ სთხოვს? აუცილებლად გული უნდა გასკდომოდა ჩავლეიშვილს, ხელისუფლებას რეაქცია რომ ჰქონოდა? თუ თავზე ნაგვის დაყრას არა უშავს?!**

ხელისუფლების უმაღლესი პირები ასე ადვილად იმეტებენ თავიანთ მხარდამჭერებს თითო-თითოდ თუ ჯგუფურად, სამაგიეროდ, დასავლეთს თავს აწონებენ, აგერ, როგორი დემოკრატები ვართ, ჩვენებს ვსჯით, ოპოზიციონერებს — არაო და ამით გათამამებული ოპოზიცია უკადრებელს კადრულობს. **დაისაჯა ვინმე, ვინც არჩევნების შემდეგ ცესკო-სთან სამართალდამცველებზე იძალადა?!**

**არა, და არც დაისჯება. რომელიმე სამართალდამცველს რომ ეძალადა ოპოზიციის წევრზე, ხომ იჯდებოდა ახლა ციხეში?!** ბატონებო, იმაზე იფიქრეთ, რომ თქვენგან გამეტებული მხარდამჭერები ერთ დღეს ოპოზიციის გარეშე მოგაკითხავენ და პასუხს მოგთხოვენ, შემდეგ ნაგვის ურნას კი არ ჩამოგაცვამენ თავზე, პირდაპირ უნრაში მოგისვრიან და სიმართლის დადგენასა და საკუთარი თავის დაცვასაც თავადვე შეეცდებიან. არ შეიძლება ასე გაგრძელება და ეს ყველაზე კარგად თქვენ უნდა იცოდეთ, მაგრამ არ გაინტერესებთ, რადგან **საკმარისია, თქვენს ამომრჩეველს, თქვენს მხარდამჭერს გვერდით დაუდგეთ, არასამთავრობოების რისხვა დაგატყდებათ, ევროპა-ამერიკა „შეშფოთდება“ და ამის გეშინიათ; გეშინიათ, სკამი არ შეგერყეთ.** და იცით, რის იმედად არის ხელისუფლება? იმის, რომ, თუ ერთ ამომრჩეველს დაკარგავს, ახალ არჩევნებზე სხვას მოძებნის, იმას, ვისაც წინამორბედზე მეტად უჭირს და ხმას კი არა, ტანსაცმელს გაიხდის და გაყიდის, შინ შვილებს საჭმელი რომ მიუტანოს. ასეა, **ხალხის გაჭირვებაზე აგებული ხელისუფლება, დაუცველი საზოგადოება და დასავლეთისგან შეგულიანებული ოპოზიციური სპექტრის რისხვა ერთმანეთშია აზელილი.**

ვინმემ მაინც იფიქრა, რა რეაქცია ექნებოდათ ირაკლი ჩავლეიშვილის ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს, მეზობლებს იმაზე, რაც ტელევიზიით ვიხილეთ? თუმცა, ეს ვის აინტერესებს და, ნუ გაგიკვირდებათ, თუ შემდგომ აქციის მონაწილეები შემაღლებულ ადგილზე ავლენ და იქიდან გადმოაშარდავენ მათ, ვინც არ მოსწონთ. ჰო, ამ ყველაფერს ქართველი ხალხის სახელით გააკეთებენ და გამკითხავიც არავინ იქნება.

**ბესო ბარბაქაძე**

**ცნება, შენი უფლებები მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვა ადამიანის ცხვირი, მხოლოდ ოპოზიციის მიმართულებით ვრცელდება და, როცა ამას უყურებენ ის აქტივისტები, რომლებმაც უკადრებელი იკადრეს, უფრო და უფრო თავხედდებიან**

**P.S. ბათუმის სასამართლომ მოძრაობა „ალტერნატივის“ აქტივისტ ირაკლი ფანგანს, რომელმაც დეპუტატ ირაკლი ჩავლეიშვილს თავზე ნაგავი გადააყარა, 2 ათასლარიანი გირაო შეუფარდა და ჩავლეიშვილთან მიახლოება აუკრძალა.**

„დღეს, როცა ე.წ. პროდასავლური ოპოზიცია სრულად გაკოტრებულია და დასავლეთიც კი აღარ უჭერს მხარს მის დესტრუქციულ ქმედებებს, გაუგებარია, რატომ იჩენს ხელისუფლება ასეთ უსუსურობას; რატომ არ რეაგირებს თუნდაც იმ ფაქტებზე, როცა გამოდიან პარტიის ლიდერები და დემონსტრაციულად აცხადებენ, — არ დავემორჩილებით კანონსო, თუმცა არათუ აცხადებენ, აკეთებენ კიდეც ამ ყველაფერს“.

რაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ნანა კაკაბაძე:

# ჩვენთან კრიმინალებს ხელშეუხებლობის პრივილეგია აქვთ

**24 იანვარს მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან გამართულ მცირერიცხოვან აქციაზე სამოქალაქო აქტივისტებად წარმოდგენილმა „ნაცმოძრაობის“ პარტიულმა აქტივმა პანდემიის გამო შემოღებული შეზღუდვები გააპროტესტა და კომენდანტის საათის დემონსტრაციულად დარღვევა დააანონსა. მეტიც, ე.წ. პროდასავლური ოპოზიციის წარმომადგენლებმა ხელისუფლებას ულტიმატუმით მიმართეს და განაცხადეს, რომ, თუ მმართველი გუნდი მოქმედ შეზღუდვებს დაუყოვნებლივ არ მოხსნის, ისინი მათ პრინციპულად დაარღვევენ. თუმცა აქციაზე იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც უკვე დაარღვიეს ეს აკრძალვები და ამაზე საჯაროდ ისაუბრეს. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ახალდაბრუნებულმა „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ პრემიერმინისტრ გიორგი გახარიას დემონსტრაციულად მიმართა, რომ იგი შეგნებულად არღვევს იზოლაციის წესს და არ აპირებს, დაემორჩილოს შეზღუდვებს, რომელიც „არაგონივრულია“: „ბატონო გახარია, პერსონალურად, სიმბოლურად და დემონსტრაციულად ვარღვევ თქვენ მიერ დაწესებულ წესს — არ ვარ სახლში, ვარ გარეთ. ხელში მიჭირავს ტესტის პასუხი, რომლითაც ჯანმრთელი ვარ და, მითხარით, რატომ უნდა ვიჯდე სახლში?“ — ეს განცხადება პარტიის ლიდერმა სამართალდამცველების თანდასწრებით გააკეთა, მაგრამ ძალოვანებს კანონდარღვევაზე რეაქცია არ ჰქონიათ...**

ცნობისთვის: 24 იანვარს (იმ დღეს, როცა ვაშაძემ „ნაცმოძრაობის“ პარტიულ აქციაზე მთავრობის დადგენილება დემონსტრაციულად დაარღვია), საღამოს 21-დან მეორე დღის დილის 5 საათამდე პოლიციამ მოქმედი შეზღუდვების დარღვევის 729 ფაქტი გამოავლინა. მათგან 641 მოქალაქე პირბადის ტარების წესის დარღვევისთვის დაჯარიმდა, ხოლო 88 — კომენდანტის საათის დარღვევისთვის.

**რატომ აძლევს მთავრობა კონკრეტულ პოლიტიკურ სუბიექტებსა და მათ პარტიულ აქტივს შეზღუდვების დარღვევის „ექსკლუზიურ“ უფლებას და არის თუ არა ეს შერჩევითი სამართალი, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**

**— ქალბატონო ნანა, მთავრობის ადმინისტრაციასთან 24 იანვარს გამართულ აქციაზე ე.წ. პროდასავლური ოპოზიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პანდემიის გამო დაწესებულ შეზღუდვებს დემონსტრაციულად დაარღვევენ. მეტიც, „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ ამ აქციაზე დაარღვია ეს შეზღუდვა და ამის შესახებ ტრიბუნიდან დემონსტრაციულად მიმართა პრემიერს. მიუხედავად ამისა, სამართალდამცველებს რეაქცია არ ჰქონიათ. არადა, ყოველდღე ასობით მოქალაქეს აჯარიმებენ პირბადის ტარების წესის დარღვევისთვის, კომენდანტის საათის დროს გადაადგილებისთვის და ა.შ. რატომ არ რეაგირებს სახელმწიფო კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან კანონდარღვევის ფაქტებზე?**

— ოპოზიცია, რომელსაც ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია ჰქვია, ფაქტობრივად, გამოფიტულია, თითოეული პარტიის თუ ლიდერის დონეზე განულებულები არიან და ხვდებიან, რომ მათი პოლიტიკური ცხოვრების წუთები დათვლილია. აი, გამომდინარე აქედან, მათ დასაკარგი არაფერი აქვთ და მიდიან ყველაფერზე. ახლა რა არის მათი მთავარი ორიენტირი. ცხადია, **ამ ე.წ. ოპოზიციას არ აქვს არანაირი მხარდაჭერა, არ აქვს არანაირი რესურსი, გარდა იმ ძალიან მცირერიცხოვანი აქტივისა, რომელიც ზომბირებული ჰყავს და პროცესების მშვიდობიან დინამიკაზე არაა ორიენტირებული. ისინი ორიენტირებულნი არიან მხოლოდ არეულობაზე, დესტაბილიზაციაზე, შუღლზე, დაპირისპირებასა და ძალადობაზე, რომლის პროვოცირების მცდელობასაც რეგულარულად ვხედავთ სხვადასხვა ფორმით...**

რაც შეეხება შეკითხვას, რატომ აქვთ ამ ძალებს ძალადობისა და კანონდარღვევის ექსკლუზიური უფლება, ჩვენს უახლოეს პოლიტიკურ წარსულს თუ გადავხედავთ, ვგულისხმობ, ბოლო 5-10 წლის გამოცდილებას, დავინახავთ, რომ **ხელისუფლების შეცვლიდან დღემდე, „ნაცმოძრაობას“ მის განაყოფებთან ერთად ყოველთვის ჰქონდა „ოცნების“ მსგავსი „ექსკლუზივები“. ეს იყო „კოაბიტაცია“, რომლითაც, პრაქტიკულად, თვალი დახუჭეს წლების განმავლობაში ჩადენილ უმძიმეს დანაშაულებზე. ეს იყო გამოუძიებელი საქმეები, დაუსჯელი კრიმინალები და, რაც მთავარია, ეს იყო მთავარ ოპოზიციურ ძალად ნაციონალების გამოცხადება, რომლითაც მწვანე შუქი აუნთეს ქვეყანაში პოლიტიკურ და არა მხოლოდ პოლიტიკურ დანაშაულს.** არაფერს ვამბობ იმაზე, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში, მათ შორის სასამართლო ხელისუფლებაში, აღმასრულებელსა და ა.შ., დატოვეს ძველი სახეები, რომლებიც პირდაპირ რეჟიმთან ასოცირდებოდნენ. აი, ეს იყო ის „ექსკლუზივები“, რომლებმაც ქვეყანაში სამართლიანობის განცდა მოკლა. „ნაცმოძრაობას“ ადრე გარკვეული დასავლური ძალები მფარველობდნენ და მათ წინააღმდეგ განხორციელებული ნებისმიერი ფორმის სამართლებრივი დევნა ფასდებოდა, როგორც პოლიტიკური რეპრესია. **დღეს კი, როცა ე.წ. პროდასავლური ოპოზიცია სრულად გაკოტრებულია და დასავლეთიც კი აღარ უჭერს მხარს მათ დესტრუქციულ ქმედებებს, გაუგებარია, რატომ იჩენს ხელისუფლება ასეთ უსუსურობას. რატომ არ რეაგირებს თუნდაც იმ ფაქტებზე, როცა გამოდიან პარტიის ლიდერები და დემონსტრაციულად აცხადებენ, არ დავემორჩილებით კანონსო, თუმცა არათუ აცხადებენ, აკეთებენ კიდეც ამ ყველაფერს...**

> **«როცა რიგით მოქალაქეს უმცირეს რამეზეც პასუხი მოეთხოვება, ვიღაცას ექსკლუზიური უფლება აქვს, ფეხქვეშ გათელოს მთავრობის დადგენილება; ვიღაცას ელემენტარული 50-ლარიანი ჯარიმის გადაუხდელობისთვის შეიძლება ქონება დაუყადაღონ, ვიღაცას კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონების მოპარვა ეპატიება»**

**— ამ შემთხვევაში რა შეიძლება იყოს შემაკავებელი ფაქტორი მმართველი გუნდისთვის?**

— ვფიქრობ, ხელისუფლების წარმომადგენლებს ზედმეტი აურზაური არ სურთ, მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ დამნაშავეების დასჯა არ არის აურზაური. ჯერ ერთი, აუცილებელი არ არის, კანონდამრღვევის მიმართ დემონსტრაციულად განახორციელო კანონის შესაბამისი მოქმედებები, ამისთვის სხვა ფორმაც შეიძლება გამოიძებნოს...

**— მაგალითად?**

— მაგალითად, შეიძლება მოხდეს იმ ადამიანების იდენტიფიკაცია, რომლებიც პრინციპულად, პროვოკაციის მიზნით არღვევენ რეგულაციებს, და მათ შინ მიუტანონ ჯარიმების ქვითრები.

**— თუ არ გადაიხდიან? სხვათა შორის, ისინი ყოველთვის ხაზს უსვამენ იმას, რომ „უკანონო“ ჯარიმების გადახდას არ აპირებენ.**

— ასეთ შემთხვევაშიც არსებობს მართლმსაჯულების განხორციელების მექანიზმები, მაგალითად, ქონების დაყადაღება, როგორც ნებისმიერი რიგითი მოქალაქის მიმართ ხდება. ეს ხომ ძალიან მარტივია. სხვა შემთხვევაში, რა გამოდის: **მე და თქვენ პირბადე სწორად რომ არ გვეკეთოს, გვაჯარიმებენ და ვიღაც ვაშაძეს, თავისი პარტიული აქტივით, უფლება აქვს, მთავრობის სახლთან დემონსტრაციულად დაარღვიოს კანონი?!**

რაც შეეხება ხელისუფლების მიერ რიგ შემთხვევებში თვალის დახუჭვას კანონდარღვევების მიზანმიმართულ ფაქტებზე, შეიძლება, ვიღაცას ზედმეტი თავისტკივილი არ სურს მმართველ გუნდში; შეიძლება, ვიღაცას პოლიტიკური სიმშვიდე სჭირდება თავისი პოლიტიკური სტაბილურობისთვის, მაგრამ რა მიზანიც არ უნდა არსებობდეს, მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ **ნაციონალებისა და მათი ერთი მუჭა პარტიული აქტივისთვის პრივილეგიების მინიჭებით კარგავენ უფრო მნიშვნელოვანს, ისინი კარგავენ საზოგადოების ნდობას და, რაც მთავარია, ადამიანებში კლავენ განცდას, რომ სამართლიან სახელმწიფოში ვცხოვრობთ.** როცა რიგით მოქალაქეს უმცირეს რამეზეც პასუხი მოეთხოვება, ვიღაცას ექსკლუზიური უფლება აქვს, ფეხქვეშ გათელოს მთავრობის დადგენილება, ვიღაცას ელემენტარული 50-ლარიანი ჯარიმის გადაუხდელობისთვის შეიძლება ქონება დაუყადაღონ და ვიღაცას სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონების მოპარვა ეპატიება.

**— ინტერვიუს დასაწყისში თქვით, რომ პოლიტიკურად განულებული ოპოზიცია ყველაფერზეა წამსვლელი. ბოლო პერიოდში დაპირისპირების პროვოცირების რამდენიმე მცდელობა ვნახეთ. მათ შორის იყო ბუკნარში მომხდარი ინციდენტი, რომლის გამოყენებასაც „ნაცმოძრაობა“ აქტიურად ცდილობდა, იყო რუსეთში ნავალნის დაკავების გამო მიმდინარე პროცესების გამოყენების მცდელობაც, რომლის გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ რამდენიმე დღის წინათ გამართული აქციაც... ეს ყველაფერი ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ ე.წ. პროდასავლური ოპოზიცია რევოლუციური სცენარისთვის ემზადება?**

— ისინი რევოლუციური სცენარისთვის კი არ ემზადებიან, ისინი რევოლუციური სცენარისთვის არიან შექმნილნი. მათი პოლიტიკური მსოფლმხედველობა აგებულია ერთ მარტივ ლოგიკაზე: დასახული მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება გამართლებულია — ძალადობაც, წამებაც, კაცის კვლაც, შევარდნა, ჭორების შეთხზვა, საზოგადოების ზომბირება და ა.შ. თუმცა აქ ერთი მომენტია მნიშვნელოვანი: რევოლუციური სცენარის განსახორციელებლად საკმარისი არ არის მხოლოდ გეგმა, რადგან, რაც არ უნდა სწორად იყოს ეს გეგმა დასახული, მის შესრულებას დიდი მხარდაჭერა სჭირდება.

**— მხარდაჭერას რაც შეეხება, ოპოზიცია დიდ იმედს ამყარებს ბაიდენის ადმინისტრაციაზე. როგორ ფიქრობთ, მის პირობებში „ნაცმოძრაობას“ უფრო მეტი ხელშეუხებლობა და კანონზე მაღლა დგომის „ექსკლუზივიც“ ხომ არ ექნება, რაც მას გარკვეულწილად ხელსაც შეუწყობს ქვეყანაში მუდმივი დაძაბულობის პროვოცირებაში?**

— მხარდაჭერას როდესაც ვამბობ, უწინარესად, ვგულისხმობ საზოგადოების მხარდაჭერას, რომელიც ნაციონალებს არ აქვთ და არც არასდროს არ ექნებათ. რაც შეეხება „თეთრი სახლის“ ახალ ადმინისტრაციას, კი შეიძლება, მათგან რაღაც მხარდაჭერა მიიღონ და ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ სურათს ვერ შეცვლის. ამაში დარწმუნებული ვარ. ბაიდენი კი არა, ასი ბაიდენიც რომ იყოს ერთად, თუ ქვეყნის შიგნით 4-მილიონიანი მოსახლეობა მხარს არ გიჭერს, ვერ დაგეხმარება. აი, ეს არის რეალობა, ამიტომ **მთავარი საკითხი აქ ის კი არ არის, რას აპირებენ ნაციონალები და გამოუვათ თუ არა მათ რევოლუცია თავიანთ განაყოფებთან ერთად, მთავარია, ხელისუფლება რატომ არ არის ვითარების ადეკვატური. ხელისუფლება ნამდვილად არ არის ადეკვატური და ეს ნათლად ჩანს იმაშიც, რომ ხელშეუხებლობის პრივილეგიას აძლევს კრიმინალებს...**

**— ეს ყველაფერი როგორ შეიძლება შეიცვალოს? როგორ შეიძლება, საზოგადოებამ დაანახვოს ხელისუფლებას, რომ საჭიროა პრინციპული, სამართლიანი მიდგომა?**

— სიმართლე გითხრათ, არ მაქვს იმედი, რომ ხელისუფლება ხვალ-ზეგ გონს მოვა და მკაცრ ზომებს მიმართავს იმ პოლიტიკური დამნაშავეების მიმართ, რომლებსაც თავის დროზე ყველაფრის უფლება მისცა. ეს აღემატება მმართველი გუნდის ნებასაც და შესაძლებლობებსაც, ამიტომ ამ თვალსაზრისით ცვლილებებს ნაკლებად ველოდები. მეორე მხრივ, ოპოზიციური სპექტრი მუდმივად თვითგანადგურების რეჟიმშია, ამიტომ ვფიქრობ, ამ დესტრუქციული ძალებისგან ქვეყანას საფრთხე ნაკლებად ემუქრება. **პრობლემა უფრო ის არის, რომ რეალური პოლიტიკური ალტერნატივის ჩამოყალიბება ვერ ხერხდება; ალტერნატივის, რომელიც ძირეულად შეცვლიდა სისტემას; შეცვლიდა დღის წესრიგს და ერთხელ და სამუდამოდ წერტილს დაუსვამდა მავნე პრაქტიკას, რომლიდანაც სარგებელს ყველა იღებს, სახელმწიფოსა და ხალხის გარდა...**

> **«პრობლემა უფრო ის არის, რომ რეალური პოლიტიკური ალტერნატივის ჩამოყალიბება ვერ ხერხდება, ალტერნატივის, რომელიც ძირეულად შეცვლიდა სისტემას; შეცვლიდა დღის წესრიგს და ერთხელ და სამუდამოდ წერტილს დაუსვამდა მავნე პრაქტიკას, რომლიდანაც სარგებელს ყველა იღებს, სახელმწიფოსა და ხალხის გარდა»**

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ხელისუფლება გაკოტრებულია, ისინი სამართალდამცავების ზურგს უკან მდგარი ადამიანები არიან, ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკა გამარგინალებულია, ხალხიც დაიღალა პოლიტიკოსების უაზრო თამაშით. არავის აინტერესებს ამ ქვეყანაში, ვინ პროტესტს გამოხატავს და ვინ პარლამენტში შევა, რადგან შედეგი ყველგან ერთი და იგივე იქნება“.



რევაზ კილასონია:

# ხელისუფლებისთვის უმჯობესია, რუსეთში დაწყებულმა საპროტესტო აქციებმა აქ არ გადმოინაცვლოს

**რუსეთში ოპოზიციონერ ალექსეი ნავალნის მხარდამჭერთა საპროტესო აქციები ჩატარდა. მეზობელ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების სინქრონულად საქართველოშიც გაიმართა ქუჩის აქციები... თბილისში ნავალნის მხარდასაჭერად, მართალია, მოკრძალებულად გამოვიდნენ — მხოლოდ რამდენიმე ლოზუნგი ჩანდა, მაგრამ ე.წ. ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსები საქართველოში არეულობისა და საპროტესტო ტალღის აგორებას რომ ცდილობენ, ფაქტია. არის თუ არა რუსეთსა და საქართველოში ერთდროულად გამართული საპროტესტო აქციები მართული და, თუ მართულია, ვის მიერ — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება პოლიტოლოგი რევაზ კილასონია:**

— **ალექსეი ნავალნი**, რომელიც სათავეში უდგას ლიბერალურ პარტია „მომავლის რუსეთს“, აშკარად დასავლეთის პროექტია, რომელიც შექმნეს იმისთვის, რომ რუსეთზე რაღაც ფორმით მუდმივი ზემოქმედება განახორციელონ. ნავალნიზე დიდი წარმოდგენა არავის აქვს და მათ შორის, არც მე, ის რუსეთში ამინდს ვერ შექმნის.

სამწუხაროა ის, რაც თბილისში ხდება; სამწუხაროა, გამუდმებით ხბოს აღტაცებით პროცესების ყურება. **ქართველებმა უნდა მოიშალონ ეს ჩვევა, უფრო ზუსტად, თავიდან ამოიგდონ ის აზრი, რომ რუსეთის ხელისუფლების სათავეში მოვა ისეთი ადამიანი, რომელიც იფიქრებს საქართველოზე. ეს არასოდეს მოხდება და არ მოხდება განა იმიტომ, რომ რუსებს სძულთ ქართველები, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა არ ფიქრობს თავის თავზე.**

**500 წელიწადზე მეტია, რუსეთი უძლიერესი ქვეყანაა თავისი „ველიკოდერჟავული“ იდეით. მოგვწონს ჩვენ ეს თუ არა, არავინ გვეკითხება. ფაქტია: რუსეთი არასდროს დათმობს პოზიციებს არც გლობალურ პოლიტიკაში და არც რეგიონში, მათ შორის, არც კავკასიაში.** საქართველოსთვის აუცილებელია, გააანალიზოს ისტორიული წარსული და პოლიტიკა; აუცილებელია, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ გააანალიზოს, რა ურთიერთობები აქვს რუსეთს სხვა ქვეყნებთან, რა ძვრები მიმდინარეობს, როგორი მოჩვენებითია დასავლეთის ბრძოლა რუსეთთან, რადგან დასავლეთი ყოველთვის მზადაა, ითანამშრომლოს რუსეთთან ღიად თუ ფარულად, თუკი მათ ინტერესებში რუსული გავლენა შედის ამა თუ იმ ქვეყნის გავლენის აღსაკვეთად და სწორედ ახლაა ეს მომენტი — ჩინეთის მზარდი გავლენის აღვეთა, რაშიც რუსეთთან ერთად დადგება დასავლეთი და არა მხოლოდ დასავლეთი.

ძალიან დიდი სირცხვილია, რომ საქართველო, ეს უძველესი ქვეყანა, „ფოჩიანი კანფეტებით“ იხიბლებოდა. თუ გვინდა, რომ მივბაძოთ დასავლეთს (პოლიტიკოსები ხომ თვლიან, რომ დასავლეთია „ცივილიზაციის აკვანი“), უნდა ვიყოთ რაციონალურები, ნებისმიერი ქმედებისას გამოვიდეთ ნაციონალური ინტერესებიდან, ვიმოქმედოთ პრაგმატულად და ჩვენი საქციელი ქვეყნისთვის მომგებიან, გრძელვადიან პრესპექტივაზე გავთვალოთ და არა დასავლეთის გავლენის სფეროების გაძლიერების პერსპექტივაზე ჩვენს რეგიონში.

სამწუხაროდ, ჩვენთან პირიქით ხდება, ოღონდ ვინმემ ეროვნულ ინტერესებს ან კონსერვატიულ ფლანგს დაარტყას და მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება — ნავალნი თუ ვინმე სხვა...

ნავალნი ქართველებს გვიწოდებს „გრიზუნებს“, ქართველი ლიბერალების მიერ შეთხზული სიტყვის თარგმანის თუ შერქმეული მეტსახელის „ღრუზინებიდან“ გამომდინარე. ნავალნი თანახმა იყო, რომ 2008 წლის ომში რუსეთს დავებომბეთ და ეს რეალობაა.

როდესაც რუსეთში დაძაბული პროცესები მიმდინარეობს, ჩვენთვის, პატარა საქართველოსთვის, სასურველი, უფრო მეტიც, აუცილებელია, განზე გავდგეთ, რადგან იქ განვითარებული არასასურველი პროცესების ჩვენს ქვეყანაში გადმოტანა უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენებს, კიდევ უფრო გაართულებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, რაც ნამდვილად არ გვაძლევს ხელს და, თუ ვინმეს ჭკუა აქვს, ამას უნდა ხვდებოდეს.

**— ექსპერტები ამბობენ, რომ რუსეთში მართული პროცესები მიმდინარეობს, თქვენც თქვით, რომ ნავალნი დასავლეთის პროექტია. ხომ არ ფიქრობთ, რომ საქართველოშიც იმავე ცენტრიდან იმართება პროცესები?**

— საქართველოში არ არსებობს დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშე, დამოუკიდებლად მოღვაწე პოლიტიკოსი, ყველა მათგანი მართულია და მართულია არა საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ დასავლეთის, და მხოლოდ იმ მიზნით, რომ საქართველოსა და რეგიონში განავრცოს საკუთარი გავლენები. შესაძლოა, ვცდები, მაგრამ განა საღად მოაზროვნე ადამიანს სხვა აზრი გაუჩნდება, როდესაც მათ ქმედებებს უყურებს?

**— როგორ შეაფასებთ ხელისუფლების პოზიციას?**

— ხელისუფლება, ერთი შეხედვით, თითქოს ფრთხილობს განცხადებების გაკეთებას რუსეთში მიმდინარე პროცესებზე, რომლებმაც საქართველოშიც გადმოინაცვლა. ისინი ცდილობენ, ნავალნისაც ასიამოვნონ და აქ არსებული, ე.წ. ოპოზიცია და მათი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ლიდერი, ყოფილი პრეზიდენტი **სააკაშვილი დააკნინონ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა თქვეს — ნავალნი ვაჟკაცია, ის რუსეთში ჩავიდა და თავი დააჭერინა მთავრობას, სააკაშვილისგან განსხვავებით, რომელიც თავს აფარებს უკრაინასო... მოკლედ, ნავალნი დადებითად მოიხსენიეს, რაც იმის აშკარა დადასტურებაა, რომ ესენიც „ვიღაცის“ გავლენის ქვეშ არიან, მათ, ფაქტობრივად, თქვეს, რომ ნავალნი უკეთესია, ვიდრე პუტინი. დიდი განსხვავება არსებულ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის რეალურად არ არსებობს.**

ავიღოთ თუნდაც პანდემია, რომელიც არსებობს, პანდემიის გამო არის აკრძალვებიც, მაგრამ... ყველა აკრძალვა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას და უნდა იყოს ადეკვატური. ყოვლად დაუშვებელია კომენდანტის საათი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს და რომლის ახსნაც დღემდე ვერ შეძლეს. ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე ამბობს, — შეზღუდვები არსებობს დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში; მათ ვეტყვი: — არ ვეთანხმები, რადგან თუკი რომელიმე განვითარებულ ქვეყანაში არის შეზღუდვები, მთავრობა სერიოზულ დახმარებას უწევს ბიზნესსაც და დასაქმებულებსაც, სადაც ეს არ ხდება, იქ პროტესტია და წინააღმდეგობა...

**— წინააღმდეგობა შეზღუდვების გამო თბილისშიც დაიწყო...**

— სწორედ მაგაზე მინდოდა მეთქვა. შეზღუდვების გამო აქციებს ვინ მართავს? — **ადამიანები, რომლებიც ნაცების პერიოდში „ქადაგებდნენ“, ნულოვანი ტოლერანტობა ნებისმიერი დანაშაულის წინააღმდეგო, ახლა საპროტესტო აქციაზე გამოდიან და ამის უფლება არ აქვთ. ვერც შეკრებენ ხალხს, ეს რომელიღაც ქვეყნის გავლენით ხდება...**

ხელისუფლებისთვის სჯობს, რუსეთში აგორებულმა საპროტესტო აქციებმა აქ არ გადმოინაცვლოს, რადგან იქ მიმდინარე პროცესები გაცილებით დიდ დონეზე გადაწყდება, ვიდრე ჩვენ ვართ... მაგრამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე ჩვენგან გადადგმული ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ნაბიჯი უარყოფითად აისახება.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება ამ საპროტესტო მუხტით, რომელიც ახლა ე.წ. ოპოზიციამ დაიწყო, თავის სათქმელს ამბობს, რადგან, თვითონ აშკარად არ სურს პოზიციის გამოხატვა?**

— არ გამოვრიცხავ, რადგან „ქართულ ოცნებას“ ახასიათებს მსგავსი რამ, მათ ეს გაუკეთებიათ. ეს ხელისუფლება არ არის რუსეთის მიმართ რადიკალური განცხადებებითა და ქმედებებით გამორჩეული, მაგრამ რუსეთში მიმდინარე პროცესების თბილისში გადმონაცვლების არაღკვეთა ცუდი იქნება.

**ხელისუფლება გაკოტრებულია, ისინი სამართალდამცავების ზურგს უკან მდგარი ადამიანები არიან, ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკა გამარგინალებულია, ხალხიც დაიღალა პოლიტიკოსების უაზრო თამაშით. არავის აინტერესებს ამ ქვეყანაში, ვინ პროტესტს გამოხატავს და ვინ პარლამენტში შევა, რადგან შედეგი ყველგან ერთი და იგივე იქნება.**

საქართველო ფსკერზეა და ეს ფაქტია. ყველაზე კარგი, რაც ჩვენს ქვეყანაში არსებული ვითარებიდან ჩანს, არის ის, რომ გამოთავისუფლებულია პოლიტიკური ველი. დიდი იმედი მაქვს, რომ აუცილებლად გამოჩნდება ახალი, მართლაც ეროვნული ძალა, რომელიც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს და არა დაკვეთით, რომელიც ამ პატარა ქვეყანას უფსკრულში გადაჩეხავს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**



ნავალნის მხარდამჭერთა აქცია თბილისში

«ქართველებმა თავიდან ამოიგდონ ის აზრი, რომ რუსეთის ხელისუფლების სათავეში მოვა ისეთი ადამიანი, რომელიც იფიქრებს საქართველოს ბედნიერებაზე. ეს არასდროს მოხდება და არ მოხდება განა იმიტომ, რომ რუსებს სძულთ ქართველები, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა არ ფიქრობს თავის თავზე»

«საქართველო ფსკერზეა და ეს ფაქტია. ყველაზე კარგი, რაც ჩვენს ქვეყანაში არსებული ვითარებიდან ჩანს, არის ის, რომ გამოთავისუფლებულია პოლიტიკური ველი. დიდი იმედი მაქვს, რომ აუცილებლად გამოჩნდება ახალი, მართლაც ეროვნული ძალა, რომელიც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს და არა დაკვეთით, რომელიც ამ პატარა ქვეყანას უფსკრულში გადაჩეხავს»

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველო უნდა დაუბრუნდეს იმ რეალობას, რომელიც მაშინვე თვალში საცემია, როგორც კი კავკასიის რუკას დავხედავთ. მოგვწონს თუ არა, ჩვენ ამ გეოპოლიტიკური ოჯახის ნაწილი ვართ და ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ აქ „თეთრი სახლის“ სტრატეგიული ამოცანები კი არ არის გადამწყვეტი ან ევროკავშირის, არამედ რუსეთის, ირანის, თურქეთის ინტერესები.**



### გურამ ნიკოლაიშვილი:

# ჩვენ სხვა რეალობაში ვართ

**22 იანვარს ბრიუსელში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე რეგიონში შექმნილ გამოწვევებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ, მიუხედავად სამეზობლოში არსებული კონფლიქტებისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან პროვოკაციებისა, რომლებსაც გარკვეული გარე ძალები რეგულარულად ახორციელებენ, საქართველო განუხრელად განაგრძობს სწრაფვას ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ. სალომე ზურაბიშვილის განმარტებით, ეს ყველაფერი სწორი საგარეო და საშინაო პოლიტიკის შედეგია, თუმცა რეგიონში ძალთა ბალანსის ახალი კონფიგურაცია აშკარაა, რომელიც ცხადყოფს, რომ ახლა შავი ზღვა და კავკასია, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია და მან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მეტი ყურადღება უნდა მიიპყროს: „ჩვენ რეგიონში ვნახეთ ძალთა ბალანსის ახალი კონფიგურაცია, რაც გვაჩვენებს, რომ ახლა, ისე, როგორც არასდროს, შავი ზღვა და კავკასია მნიშვნელოვანია უსაფრთხოების თვალსაზრისით და უნდა მიიპყროს უფრო მეტი ყურადღება ნატოს მხრიდან...“**

მოგვიანებით შეფასება ალიანსის გენერალურმა მდივანმა **სტოლტენბერგმაც** გააკეთა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის ახალარჩეული პრეზიდენტი **ჯო ბაიდენი** ტრანსატლანტიკური კავშირის აქტიური მხარდამჭერია, ამ კავშირის ნაწილი კი, სხვა ქვეყნებთან ერთად, საქართველოცაა.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯო ბაიდენის (საეჭვო) გაპრეზიდენტებამ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში გარკვეული მოლოდინი გააჩინა. მათ შორის, ასეთიც: ბაიდენის ადმინისტრაცია გაზრდის შავ ზღვაში სამხედრო წარმომადგენლობას და რუსეთს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის, აიძულებს პოზიციების დათმობას...

**რას შეცვლის საქართველოსთვის ამერიკაში დემოკრატი ჯო ბაიდენის გაპრეზიდენტება და რა შეიცვლება იმ შემთხვევაში, თუ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ძალები შავ ზღვაში გააქტიურებას შეეცდებიან?**

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი.**

**— ბატონო გურამ, ბრიუსელში ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურ მდივანთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ კავკასიის რეგიონში აშკარაა ძალთა ბალანსის ახალი კონფიგურაცია, რომელიც ალიანსის მხრიდან მეტ ყურადღებას საჭიროებს. მან შავ ზღვაში ამერიკის სამხედრო ძალების გააქტიურების აუცილებლობაც ახსენა... თქვენი აზრით, რა გზავნილებს შეიცავდა ეს ყველაფერი და, საერთოდ, ადეკვატურია ის მოლოდინი, რომელიც ქართულ პოლიტიკურ სპექტრში გაჩნდა ბაიდენის გაპრეზიდენტების გამო, რომ, თურმე, ახალი ადმინისტრაცია უფრო აქტიური იქნება რუსეთის წინააღმდეგ და უფრო ქმედით პოლიტიკას გაატარებს საქართველოს მხარდასაჭერად?**

— სალომე ზურაბიშვილის განცხადებაში, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ახალი არაფერი ყოფილა. ეს იყო ერთი-ერთზე გამეორება იმ რიტორიკისა, რომელიც უკვე, თითქმის 20 წელია, გვესმის, რომ თურმე საქართველოს სჭირდება ნატოს მხარდაჭერა და ნატოს სჭირდება საქართველო, როგორც საიმედო პარტნიორი რეგიონში. მორჩა.

რაც შეეხება კონკრეტულად შეფასებას, რომ სამხრეთ კავკასიაში ძალთა ბალანსის კონფიგურაცია შეიცვალა და საჭიროა უფრო მეტი ყურადღება დასავლეთის მხრიდან, ალბათ, **სალომე ზურაბიშვილს** მხედველობაში ჰქონდა ის რეალობა, რომელიც ყარაბაღის მოვლენების შემდეგ შეიქმნა და რომელიც ნამდვილად არის ახალი გეოპოლიტიკური დღის წესრიგის განმაპირობებელი. მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, **სიახლე არავისთვისაა ის, რომ ამ პროცესებმა რეგიონში რუსეთის მნიშვნელობა გამოკვეთა; რასაკვირველია, თურქეთთან ერთად, რომლის გავლენამ და ავტორიტეტმაც ასევე ძალიან მოიმატა.** საერთოდ, ეს ერთგვარი განგაშის ამტეხი პოლიტიკური გზავნილები და მოწოდებები, რომ რუსეთი ძლიერდება და, არიქა, რამე ზომებია საჭირო, უკვე მორალურად დაძველდა. რეალურად **ეს თვითონ დასავლეთის სისტემური და პოლიტიკური სისუსტის ინდიკატორი გახდა, იმიტომ, რომ, თუ ამას ამდენ ხანს უცვლელად გაიძახი, ესე იგი, ვერაფერს აკეთებ...**

ახლა რა იყო თვალშისაცემი ამ შეხვედრაში, ზურაბიშვილისა და სტოლტენბერგის შეხვედრას ვგულისხმობ: პირველი, რასაც ვუყურე, შეხვედრა ძალიან მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ალიანსის წარმომადგენლობა ქართულ დელეგაციას ყოველთვის მაღალ დონეზე ხვდება. ამის მიზეზი მარტივია და დიდი ანალიზი არ სჭირდება — **საქართველო არის ქვეყანა, რომელიც ნატოს სამშვიდობო მისიებში ყველაზე მეტ ჯარისკაცს გზავნის. ე.ი., როცა თვითონ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნები თავიანთ კონტინგენტებს ამცირებენ, აბსოლუტურად უანგაროდ, ყოველგვარი პოლიტიკური ანგარების გარეშე, საკუთარი ხარჯებით გზავნის სამხედროებს მისიებში. რა თქმა უნდა, ასეთი ქვეყნის წარმომადგენლებს მაღალ დონეზე დახვდებიან...**

**— რა რეალობას უქმნის საქართველოს რეგიონში შექმნილი ძალთა ბალანსის ახალი კონფიგურაცია?**

— ყარაბაღის ომმა, ჩვენდა სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინა, რომ ის კურსი, რომელსაც ჩვენ, უკვე მრავალი წელია, ვატარებთ, აბსოლუტურად ამოვარდნილია ამ რეგიონის გეოპოლიტიკური კონიუნქტურიდან. წარმოიდგინეთ, რამდენი რამ მოხდა ამ მოკლე პერიოდში და დღესაც ხდება: იყო ომი ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის, აზერბაიჯანმა დაიბრუნა დაკარგული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი. მერე დაიწყო მოლაპარაკებები და მთავარი — ამ მოლაპარაკებებში დასავლეთი კი არ იყო შუამავალი, როგორც გვევლინება ხოლმე კონფლიქტებში, არამედ რუსეთი და თურქეთი... (და ეს მოლაპარაკებები ყველასთვის მისაღები შედეგით დასრულდა. რედ.).

**დღეს უკვე მიდის საუბარი მოლაპარაკებების ახალ პერსპექტივებზე სომხეთსა და აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს შორის; იქ აქტიურად გამოიკვეთა ირანის ფაქტორიც, რუსეთზე აღარაფერს ვამბობ... ამ პროცესებში სადმე საქართველოს როლი გამოჩნდა?! საერთოდ, ვინმე რამე კონტექსტში გვახსენებს?! (სამაგიეროდ, ამ მოლაპარაკებებით მიღწეული ახალი სატრანსპორტო შეთანხმებებით ჩვენი ხელისუფლების უმოქმედობისა და უუნარობის გამო საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი დადგა მნიშვნელოვანი გაუფასურების საფრთხის წინაშე. რედ.).**

რაც შეეხება იმ მოლოდინს, რომ თურმე ბაიდენის ადმინისტრაცია უფრო ქმედითუნარიანი იქნება რუსეთის წინააღმდეგ და საქართველო უფრო აქტიურ მხარდაჭერას მიიღებს, ჯერ მოდი, დავიწყოთ იმით, რომ დღეს ამერიკას საკმაოდ სერიოზული შიდაპოლიტიკური პრობლემები აქვს, რომლის მსგავსიც მას, ალბათ, ბევრი არ ჰქონია, თუ საერთოდ ჰქონია, თავისი ორასწლიანი ისტორიის განმავლობაში. ეს ერთი. მეორე — ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ აშშ-ის საგარეო ვალმა უკვე 30 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა... ხვდებით, რაზეა საუბარი?! ეს ეკონომიკური კრიზისის საკმაოდ სერიოზული მაჩვენებელია, რომლის აღმოფხვრასაც, თუნდაც ყველაზე სწორი და მიგნებული პოლიტიკის პირობებშიც, მრავალ წელს მოუნდებიან...

**— გინდათ, თქვათ, რომ ამერიკელები ჩვენთვის, პრაქტიკულად, ვერ მოიცლიან?**

— ყოველ შემთხვევაში მოლოდინი, რომ კავკასიაში ძალთა ბალანსის ახალ კონფიგურაციას შეცვლიან და ამისთვის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო გემები შავ ზღვაში შემოვლენ, როგორც მხსნელები, არის ილუზია. სხვათა შორის, მინდა, შევახსენო საზოგადოებას, რომ კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო ნატომ 2019-2020 წლებში ვერც ერთი სწავლება ნორმალურად ვერ ჩაატარა. ამ დროს შევხედოთ, რას შვრება რუსეთი — ჯერ მხოლოდ შავ ზღვაში 30 ახალი სამხედრო გემი შეიყვანა, თანაც ახალი და არა ძველი, გარემონტებული, და მოდერნიზაცია ჩაუტარა შეიარაღებას; გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გააძლიერა ნოვოროსიისკისა და სევასტოპოლის ბაზები, აგრეთვე, გააძლიერა აზოვის ზღვის ბაზაც. კასპიის ზღვაზე არაფერს ვამბობ. რეალურად ხდება ის, რომ რეგიონის მთავარი გეოპოლიტიკური მოთამაშე უფრო და უფრო იმყარებს, უფრო და უფრო იმტკიცებს პოზიციებს, ამ დროს ჩვენ ვართ ილუზორულ რეალობაში, რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, აქედანვე ცხადყოფს, რომ, რაც დრო გავა, **საქართველო კიდევ უფრო გაირიყება, კიდევ უფრო მოსწყდება და დაშორდება ამ შეუქცევად პროცესებს...** ჩვენ მომავალში კიდევ უფრო მძიმე შედეგებს მოგვიტანს ბრმა და გაუაზრებელი სწრაფვა ზღაპრული სამყაროსკენ, სახელად ნატო. რაც შეეხება სამხედრო ექსპანსიის საფრთხეს: მრავალი პოლიტიკოსისგან მსმენია, რომ, თუ ალიანსი გააქტიურდება, მათ შორის შავ ზღვაში და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრირების საკითხი სერიოზულად თუ დადგება, კრემლმა, შესაძლოა, აგრესიას მიმართოს. ამის პასუხად ადრეც ვთქვი დ ახლაც გავიმეორებ: კრემლში ჩვენზე უკეთ იციან, რომ საქართველოს ნატოში შესვლის პერსპექტივა ნულია, ამიტომ ის ამ მიმართულებით საფრთხეს ვერ ხედავს და ამის გამო პროვოკაციულ ქმედებებს არ მიმართავს; **პროვოკაციებსა და ექსპანსიაზე თუ ვსაუბრობთ, ეს უნდა განვიხილოთ არა როგორც მოსკოვის ინტერესი, არამედ, როგორც პოტენციური დესტრუქცია „თეთრი სახლის“ მხრიდან, რათა სამხრეთ კავკასიაში კიდევ ერთი ცხელი წერტილი გაჩნდეს.**

**— თქვენი აზრით, ეს ყველაფერი როგორ შეიძლება აივიცილოთ თავიდან?**

— დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველომ, ჩვენდა სამწუხაროდ, მსგავსი საფრთხეები ვერც ერთხელ ვერ აიცილა, ამიტომ, სიმართლე გითხრათ, დიდი ოპტიმიზმით არ ვარ განწყობილი. ყოველ შემთხვევაში, **ბოლო 20-25 წლის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ჩვენი ხელმძღვანელობები პოლიტიკური პრაგმატიზმისგან შორს არიან, განსხვავებით სომხებისა და განსაკუთრებით აზერბაიჯანელებისგან.**

რაც შეეხება გამოსავალს, თეორიულად ეს ძალიან მარტივია — საქართველო უნდა დაუბრუნდეს იმ რეალობას, რომელიც მაშინვე თვალში საცემია, როგორც კი კავკასიის რუკას დავხედავთ. მოგვწონს თუ არა, ჩვენ ამ გეოპოლიტიკური ოჯახის ნაწილი ვართ და ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ აქ „თეთრი სახლის“ სტრატეგიული ამოცანები კი არ არის გადამწყვეტი ან ევროკავშირის, არამედ რუსეთის, ირანის, თურქეთის ინტერესები.

ესაუბრა **ჯაბა ჭანია**

**«ბოლო 20-25 წლის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ჩვენი ხელმძღვანელობები პოლიტიკური პრაგმატიზმისგან შორს არიან; განსხვავებით სომხებისა და განსაკუთრებით აზერბაიჯანელებისგან»**

**«განგაშის ამტეხი პოლიტიკური გზავნილები და მოწოდებები, რომ რუსეთი ძლიერდება და, არიქა, რამე ზომებია საჭირო, უკვე მორალურად დაძველდა. რეალურად ეს თვითონ დასავლეთის სისტემური და პოლიტიკური სისუსტის ინდიკატორი გახდა, იმიტომ, რომ, თუ ამას ამდენ ხანს უცვლელად გაიძახი, ესე იგი, ვერაფერს აკეთებ»**

**«კრემლში ჩვენზე უკეთ იციან, რომ საქართველოს ნატოში შესვლის პერსპექტივა ნულია, ამიტომ ის ამ მიმართულებით საფრთხეს ვერ ხედავს და ამის გამო პროვოკაციულ ქმედებებს არ მიმართავს; პროვოკაციებსა და ექსპანსიაზე თუ ვსაუბრობთ, ეს უნდა განვიხილოთ არა როგორც მოსკოვის ინტერესი, არამედ როგორც პოტენციური დესტრუქცია «თეთრი სახლის» მხრიდან, რათა სამხრეთ კავკასიაში კიდევ ერთი ცხელი წერტილი გაჩნდეს»**

პროცესების ანალიზი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველო მსხვერპლია, — გაიძახიან და მართლებიც არიან, ოღონდ მისამართია არეული. საქართველო დასავლეთის მიერ აქ დაკანონებული უსამართლობის მსხვერპლია, ჩვენს რეგიონში აშშ-ის სრულიად არალეგიტიმური ამბიციების მსხვერპლია. მიმძიმს ჩემი ხალხისთვის ამის კადრება, მაგრამ უნდა ვთქვა: საქართველო, პირველ რიგში, საკუთარი უგუნური გადაწყვეტილებების მსხვერპლია!

# «მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»



ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

## პირველი გამოშვება

# დაკანონებული ბოროტება

**„მე შიშით ვცახცახებ ჩემი ქვეყნის გამო, როდესაც ვფიქრობ, რომ ღმერთი სამართლიანია!“**

**თომას ჯეფერსონი,**
**აშშ-ის მესამე პრეზიდენტი (1801-1809 წ.წ.)**



### ЭТО РАЗВЕ НОРМАЛЬНО?!

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში დავასრულე ციკლი „ოქროს კვეთა“. დღეიდან ვიწყებ პუბლიცისტური წერილების ახალ ციკლს — „მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...“**

ისე გამოვიდა, რომ ჩემი ხალხი სხვა გზით მიემართება, მე კი ჯიუტად სხვა გზის აუცილებლობას ჩავჩიჩინებ, მრავალი წელიწადია. იმასაც ვფიქრობ, ხალხის ნებას წინ ვით უნდა აღუდგე-მეთქი, მაგრამ როდესაც ვხედავ, რომ არასწორია გზა, რომელსაც ხალხი და ქვეყანა ადგანან, მეორე ფიქრი მძალავს ასეთ დროს, უნდა გეყოს ძალა ამის სათქმელად. რუსთაველიც წამომეშველა, ავთანდილს რომ ათქმევინა მეფისთვის: **„მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...“**

კაცობრიობის ისტორია სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის ისტორიაა. კაცობრიობამ გამოიარა ევოლუციაც და რევოლუციებიც; გამოიარა უდიდესი აღმშენებლობის პერიოდებიც და უსასტიკესი ომებიც; შექმნა ფილოსოფია, რელიგია, მეცნიერება, ხელოვნება; მიაღწია უდიდეს ტექნიკურ პროგრესს, მაგრამ... აღმოჩნდა, რომ ვერც ადამიანი და ვერც საზოგადოება ამით ვერ გაუმჯობესდა. **„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა?!“** — ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში ბრძანა ჩვენმა დიდმა წინაპარმა. რა აზრი აქვს ხანგრძლივი გზის გამოვლას, ცოდნის დაგროვებას, აზროვნების განვითარებას, ტექნიკურ მიღწევებს, თუკი ამით ადამიანი (საზოგადოება) ზნეობრივად ვერ მაღლდება?! ადამიანმა ატომში შეაღწია, აითვისა იგი და შეჰქმნა... **ატომური ბომბი; ადამიანი კოსმოსში გაიჭრა და... იქაც ადამიანის გასანადგურებელი იარაღი განათავსა. კაცობრიობამ გამოიარა ორი მსოფლიო ომი, რომლებმაც ჯამში ას მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ აქედან მხოლოდ ის დასკვნა გააკეთა, რომ მესამე მსოფლიო ომისთვის მზადება უნდა დაეწყო და დაიწყო კიდეც.** დედამიწაზე მცხოვრები თითქმის რვა მილიარდი ადამიანი რომ გამოკითხო, მათ შორის, ალბათ, ერთსაც ვერ ნახავთ, ომი რომ უნდა, მაგრამ მსოფლიო მაინც ომის მიმართულებით მიდის. ე.ი., არსებობს რაღაც ძალა, რომელიც მთელი პლანეტის მოსახლეობის ნებას აღემატება და მისი დათრგუნვა შეუძლია.

**რა ძალაა ეს?**

საზოგადოდ, ეს ძალა ბოროტებაა, სიძულვილია, უსამართლობაა.

სად იღებს სათავეს ბოროტება და მისი დიალექტიკური საპირისპირო — სიკეთე? რელიგიურ ხედვას პირველ ადამიანებამდე მივყავართ. ბიბლიის მიხედვით, ხე ცნობადისა ერთადერთი იყო, რომლის ნაყოფი, ღმერთის რჩევით, ადამსა და ევას არ უნდა გაესინჯათ, მაგრამ იგემეს. ღმერთმა ისინი დასაჯა, მოკვდავებად აქცია და სამოთხიდან გააძევა. ასე ჩაეყარა საფუძველი ბოროტებასა და სიკეთეს, სიძულვილსა და სიყვარულს...

ბოროტებისა და სიკეთის, უსამართლობისა და სამართლიანობის ჩასახვის ეტაპად მეცნიერებაც კაცობრიობის გარიჟრაჟს მიიჩნევს, მაგრამ მე მაინც იმ აზრისკენ ვიხრები, რომლის მიხედვითაც ნამდვილი ბოროტება იქ იწყება, სადაც იგი კონკრეტული ადამიანის მასშტაბს სცდება და სისტემის სახეს იღებს, მისი დაკანონება ხდება. ბოროტების დაკანონება მაშინ დაიწყო, როდესაც ანტაგონისტური კლასები ჩამოყალიბდა, შედეგად ცალკეულ ადამიანთა ბოროტებამ, ერთი მხრივ, ლეგალური, მეორე მხრივ კი, კოლექტიური და სოციალური ხასიათი შეიძინა. **კაცობრიობამ დაკანონებული უსამართლობის ვითარებაში ათასწლეულები გამოიარა. მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური სისტემები სწორედ ადამიანის მიერ მეორე ადამიანის დაკანონებულ ჩაგვრასა და უსამართლობაზე იდგა.** მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში (რუსეთში) შეიქმნა შესაძლებელი სოციალისტური რევოლუციის განხორციელება, რომელმაც სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე აგებული პირველი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას დაუდო დასაბამი, მაგრამ **უსამართლობის პრინციპზე დაფუძნებულ სახელმწიფოთა მტრულმა გარემოცვამ ყველაფერი (მსოფლიო ომის ჩათვლით) იღონა იმისთვის, რომ სოციალისტური სახელმწიფო დაენგრია.** მეოცე საუკუნის დასასრულს მათ ამ მიზანს მიაღწიეს და მსოფლიო ჰეგემონად კვლავ დაკანონებული უსამართლობა მოგვევლინა. **დაკანონებულ სოციალურ უსამართლობასა და ადამიანთა უთანასწორობაზე დაფუძნებული სისტემა არის სწორედ ის ძალა, რომელიც პლანეტის მოსახლეობის ნებას თრგუნავს და მის ფიზიკურ არსებობას საფრთხეს უქმნის. ამ სისტემას კაპიტალიზმი ჰქვია.** ადამიანი იაზროვნებდა, იმოქმედებდა და იცხოვრებდა ზნეობის კანონების მიხედვით, მაგრამ მას ამის უფლებასა და საშუალებას არ აძლევენ ძალები, რომლებისთვისაც ბოროტების კანონებით ცხოვრება სარფიანი და მომგებიანია. დაგროვილი უზარმაზარი კაპიტალის წყალობით ეს ტრანსნაციონალური ძალები ზესახელმწიფოებზეც კი დომინირებენ. ცხოვრების ეს უწესო წესი წარმოშობს სოციალურ ანომალიას, მსოფლიო მოსახლეობის სრულ გაღატაკებასა და ადამიანთა მცირე ჯგუფის ხელში განუზომელი კაპიტალის თავმოყრას. მაგალითად: **ამერიკელი მეწარმის, ილონ მასკის, კაპიტალმა 2021 წლის 10 იანვრისთვის, Bloomberg Billionaires Index (BBI)-ის მონაცემებით, 200 (ორას) მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ამ ასტრონომიული თანხის მასშტაბის გააზრება ადვილი არ არის. ამ რთულ საქმეში დახმარება იქნებ ერთმა უცნაურმა შედარებამ გაგვიწიოს: ეს თანხა უტოლდება რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის წლიურ სამხედრო ბიუჯეტს, ერთად აღებულს. წარმოგიდგენიათ?** ასეთი გაუგონარი სიმდიდრის ერთი ადამიანის ხელში კონცენტრაცია თავხედურად თამამ ზრახვებსა და ამბიციებს წარმოშობს. აკი, გაუჩნდა კიდევაც ამ კაცს პლანეტა მარსის კოლონიზაციის გეგმა. მას მარსზე საცხოვრებლად და სამუშაოდ მილიონი ადამიანის გადაყვანა სურს. თავი დავანებოთ იმის განხილვას, რამდენად რეალურია ამ ეტაპზე ამგვარი მეგაპროექტის განხორციელება. მთავარი აქ სხვა რამ არის. დღეს თუ არა, ხვალ ამგვარი სუპერპროექტის შესრულება ტექნიკურად შესაძლებელი თუ შეიქნება, მისი ფინანსური მხარის უზრუნველყოფას მხოლოდ ეს ერთი ადამიანი თავისუფლად შეძლებს. გახმაურებული ქართული ფილმის პერსონაჟისა არ იყოს, **Это разве нормально?!**

ესაა ერთი ნათელი მაგალითი იმისა, რომ კაცობრიობა მცდარ გზას ადგას და არასწორად ვითარდება. **დედამიწის ერთმა ნაწილმა სწორი (სოციალისტური) მიმართულებით განვითარება რომ დაიწყო, აშშ-მა და მსოფლიოს დანარჩენმა არასწორმა ნაწილმა, როგორც უკვე ვთქვი, ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ეს პრეცენდენტი აღეკვეთა, ანუ კონტრრევოლუცია განეხორციელებინა. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ რუსეთიც კი, სადაც მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის აკვანი დაირწა, კაპიტალიზმის გზას ადგას.** ისტორიის ჩარხის ამგვარი შემოტრიალების სავალალო შედეგებს დღეს ყველა ერთად ვიმკით. **კაპიტალისტური სისტემაა ის საფრთხე, რომელიც კაცობრიობის თავზე დამოკლეს მახვილივით კიდია. ყველაზე საკვირველი კი ისაა, რომ კაცობრიობის უდიდესმა ნაწილმა ამ ჭეშმარიტების გაცნობიერება ჯერაც ვერ შეძლო. მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში გლობალური პრობლემების ჩამონათვალი, ძირითადად, ასე გამოიყურება:**

ბირთვული ომის საფრთხე; ცალკეული სახელმწიფოებისა და რეგიონების (აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის) ეკონომიკური ჩამორჩენილობა; ბუნებრივი რესურსების (საკვები, სასარგებლო წიაღისეული, ენერგომატარებლები) ამოწურვის საფრთხე; ეკოლოგიური კრიზისი; პლანეტის ჭარბი მოსახლეობა; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უარყოფითი შედეგები.

სამწუხაროდ, ამ ჩამონათვალში ვერსად შეხვდებით კაპიტალისტურ სისტემას, როგორც დაკანონებულ ბოროტებას, რომელიც დღეს მსოფლიოს წინაშე მდგარი ყველა პრობლემის სათავე და საფუძველია. სრული კატეგორიულობით შეიძლება ითქვას: **მოაშორეთ მსოფლიოს კაპიტალისტური ურჩხული და ზემოჩამოთვლილ პრობლემათა უმრავლესობა ავტომატურად მოიხსნება დღის წესრიგიდან.**

### მსხვერპლი

2021 წლის 21 იანვარს საქართველოს სასიხარულო ცნობა მოეფინა. მასმედია იუწყება: „სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის მიერ 21 იანვარს გამოცხადებული გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს სახელმწიფომ რუსეთის ფედერაციას მოუგო საქმე, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომს უკავშირდება. სასამართლომ დააკმაყოფილა ქართული მხარის სახელმწიფოთაშორის საჩივარში ჩამოთვლილი ყველა ძირითადი მოთხოვნა და დაადგინა, რომ 2008 წლის აგვისტოში, საქართველოსთან შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რუსეთის ფედერაციამ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არაერთი მუხლი“.

— გვეშველა! — გაიფიქრებდა ქართველი, რო- ▶

**ევროპულმა სასამართლომ თუ ის დაადგინა, რომ 2008 წლის ომი საქართველომ დაიწყო და ამ ომის პირველ ხუთდღიან მონაკვეთში რუსეთი საქართველოს თავდასხმას იგერიებდა, მაშინ ეს რა ქარიშხალი ტრიალებს ჩვენს ტელეეკრანებსა და პოლიტიკურ წრეებში? რა უხარიათ? რას ზეიმობენ? ეს იმ ზეიმის ექოა, ალბათ, 2008 წლის აგვისტოს ომში მარცხის შემდეგ სააკაშვილმა «გამარჯვების» აღსანიშნავად რომ გააჩაღა რუსთაველის პროსპექტზე**

**„თავისუფლებამოპოვებულმა“ ქართველებმა გამარჯვებისა და დამარცხების ახალი, მხოლოდ ჩვენთვის დამახასიათებელი „ფილოსოფია“ შევქმენით, რომლის მიხედვით არ აქვს მნიშვნელობა, გაიმარჯვებ თუ დამარცხდები; მთავარია, საკუთარ ხალხს დამარცხება გამარჯვებად მიასაღო. ამ „ფილოსოფიის“ მიხედვით, 2008 წელსაც გავიმარჯვეთ და ახლაც გავიმარჯვეთ, მაგრამ ამ „ისტორიულ გამარჯვებებს“ ერთი რამე აყენებს ჩრდილს — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დაკარგულია. თუმცა, არა მგონია, ეს ამბავი ან ნაცებს ადარდებდეთ, ან — ქოცებს.**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საოცარი დემოკრატია აქვთ ამერიკელებს, დედამიწის ნებისმიერ წერტილში ომობენ, სახელმწიფო გადატრიალებას აწყობენ, «ფერად რევოლუციებს» ახორციელებენ, მაგრამ, ჰოი, საოცრებაავ, ყველაფერ ამას ისე აკეთებენ, რომ ადამიანის უფლებებს არსად არღვევენ. ტაში და აპლოდისმენტები, სხვა რა გვეთქმის მსოფლიოს წინაშე მათი ფანტასტიკური თავხედობისა და უტიფრობის პასუხად?!

როდესაც საქართველოს პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილის** მიერ ბრიუსელში გაკეთებულ განცხადებას ყურს მოჰკრავდა: **„დღეს სტრასბურგმა მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება. საქართველო სამართლებრივად არის გამართლებული, იგი აღიარებულია, როგორც ამ ომის მსხვერპლი, და ეს არის ძალიან დიდი მიღწევა ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი საზოგადოებისთვის, ჩვენი ისტორიისთვის და ჩვენი მომავლისთვის, იმიტომ, რომ ეს არის ის საყრდენი, რომელზეც ახლა უნდა ავაშენოთ ჩვენი მომავალი და ჩვენი გაერთიანება!“**

— გვეშველა! — გაიფიქრებდა ქართველი, როდესაც საქართველოს პრემიერმინისტრ **გიორგი გახარიას** შეფასებას მოისმენდა: **„დღეს საქართველოს უახლეს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი დღეა. დავა საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში საქართველოს გამარჯვებით დასრულდა. ეს საერთო გამარჯვებაა!“**

— გვეშველა! — გაიფიქრებდა ქართველი, როდესაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **არჩილ თალაკვაძის** განცხადებას მოისმენდა: **„სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებამ თითოეულ ჩვენგანში კიდევ უფრო განამტკიცა სამართლიანობის აღდგენის რწმენა!“**

— გვეშველა! — გაიფიქრებდა ქართველი, როდესაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ **დავით ზალკალიანის** შეფასებას მოისმენდა: **„ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საქმეზე არის საქართველოს სახელმწიფოს უპრეცენდენტო საერთაშორისო გამარჯვება, რომელმაც ცალსახად, სამართლებრივად დაამტკიცა რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროსა და შემდგომ პერიოდში!“**

— გვეშველა! — გაიფიქრებდა ქართველი, როდესაც საქართველოს ექსპრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილის** შეფასებას მოისმენდა: **„ეს არის გამარჯვება საქართველოსთვის, ისტორიული სიმართლის დადგენისთვის, რომ საქართველო იყო მართალი და არის ცამდე მართალი და არის აგრესიის მსხვერპლი. მიუხედავად ივანიშვილისა და მისი მოსკოველი პატრონების მცდელობებისა, რომ საქართველო გამოეყვანათ ომის დამწყებად, ოკუპანტად, დამნაშავედ, ეს ჩაუფლავდათ. ჩვენ წინ დიდი ბრძოლები გვაქვს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს დამთავრდება საქართველოს დეოკუპაციით და გამთლიანებით!“**

— უჰ, — ამოისუნთქავდა დამშვიდებული ქართველი, — რა არის სამშობლოს სიყვარული, ამ მთავარმა საკითხმა ხომ გააერთიანა აქამდე სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ძალები!

როგორც იქნა, გაიხარა სრულიად საქართველომ — ევროპულმა სასამართლომ რუსეთის ძალმომრეობაც გამოავლინა და მათი არაადამიანური ბუნებაც გააშიშვლა, — ზეიმობს ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში მუდამ ჩაწიხლული და დამარცხებული საქართველო, მაგრამ... მოიცადეთ, ეს რა არის, „ევრონიუსია“? **რაო, რას ამბობს „ევრონიუსი“?** კარგად დაუგდეთ ყური:

„ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაუსაბუთებლად ცნო საქართველოს მიერ რუსეთისთვის წაყენებული მთელი რიგი ბრალდებები სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოვლენებზე 2008 წლის აგვისტოში. გამოქვეყნებული გადაწყვეტილების თანახმად, რუსეთი არ არის პასუხისმგებელი რუსი სამხედროების მიერ სამშვიდობო კონტინგენტზე და ადგილობრივ სამოქალაქო მოსახლეობაზე ქართული არმიის თავდასხმის მოგერიების მსვლელობისას 2008 წლის 8-დან 12 აგვისტომდე მომხდარ ინციდენტზე“ (პატივცემულო მკითხველო, ყურადღება მიაქციე ევროსასამართლოს სიტყვებს „სამშვიდობო კონტინგენტზე და ადგილობრივ სამოქალაქო მოსახლეობაზე ქართული არმიის თავდასხმა...“! ამ ფრაზით ახლა უკვე საერთაშორისო სასამართლო პირდაპირ ადანაშაულებს საქართველოს სამშვიდობო კონტინგენტსა და მძინარე ცხინვალზე სამხედრო თავდასხმაში! რედ.)...

რაო, რას ამბობენ, **რუსეთი არ არის პასუხისმგებელიო?** სხვათა შორის, ქართველ ჟურნალისტებს ამის გამო ხმაში ბზარი უკვე გაუჩნდათ. მაგალითად, ტელეკომპანია „მთავარი“ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მეორე დღესვე ცხარე ცრემლით ტიროდა: **„საქართველოს ისტორიული გამარჯვება სამართალმცოდნეებში კითხვებს იწვევს. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ დიდი პალატის გადაწყვეტილება უფრო მკაცრი უნდა ყოფილიყო. საერთო შეფასებით, კრემლს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა არა მხოლოდ ომის შემდგომ, არამედ ომის ხუთი დღის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულებისთვისაც“.**

რუსეთი ომის დაწყებასა და ომის მსვლელობაზე თუ არ არის პასუხისმგებელი, აბა, რაზე აკისრებენ პასუხისმგებლობას, ომის შემდეგ ვიღაც რომ შეურაცხყო და ვიღაცის უფლებები დაარღვიაო? რუსეთმა ეს თუ გააკეთა, არ უნდა ექნა. **წესიერი და დემოკრატიული სახელმწიფო თუ ხარ, ადამიანის უფლებები, ომის შემდეგ კი არა, ომის დროსაც არ უნდა დაარღვიო. ამ საკითხზე შემიძლია თავს ხუმრობის უფლებაც კი მივცე: სახელმწიფოს მხრიდან ომში წესიერი ქცევის ნიმუში თუ გნებავთ, აშშ აგერ არ არის?! მსოფლიოში რეგიონი არ დარჩენილა, ამერიკელებს რომ არ ეომოთ, მაგრამ ადამიანის უფლებები არსად დაურღვევიათ:**

* არც **იაპონიაში,** მეორე მსოფლიო ომის დამთავრების მერე, სადაც მძინარე ქალაქებს — ჰიროსიმასა და ნაგასაკს ატომური ბომბები დააყარეს;

* არც **იუგოსლავიაში,** მეოცე საუკუნის დასასრულს, ქვა ქვაზე რომ არ დატოვეს;

* არც **ერაყში,** სადაც, მართალია, მასობრივი განადგურების იარაღი ვერ იპოვეს, მაგრამ პრეზიდენტი **სადამ ჰუსეინი** მაინც ჩამოახრჩვეს;

* არც **ლიბიაში,** რომელიც აყვავებული სახელმწიფო იყო, მაგრამ პრეზიდენტ **მუამარ**



**კადაფის** ლინჩის წესით გაუსწორდნენ.

მართლაც **საოცარი დემოკრატია აქვთ ამერიკელებს, დედამიწის ნებისმიერ წერტილში ომობენ, სახელმწიფო გადატრიალებას აწყობენ, „ფერად რევოლუციებს“ ახორციელებენ, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, ყველაფერ ამას ისე აკეთებენ, რომ ადამიანის უფლებებს არსად არღვევენ. ტაში და აპლოდისმენტები, სხვა რა გვეთქმის მსოფლიოს წინაშე მათი ფანტასტიკური თავხედობისა და უტიფრობის პასუხად?!**

ეს ყველაფერი სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას მოვაყოლე. სადღეისოდ, **ყველა დასავლური ორგანიზაცია, სტრასბურგის სასამართლოთი დაწყებული და ნობელის პრემიის კომიტეტით დამთავრებული, უკიდურესად და სამარცხვინოდ პოლიტიზებულია. სტრასბურგის სასამართლოს ეს გადაწყვეტილებაც სუბიექტური და მიკერძოებულია. იგი დასავლეთში გაბატონებული ანტირუსული ისტერიკის ნაყოფი და გამოძახილია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ გადაწყვეტილებაშიც ვერ მოხერხდა ჭეშმარიტების იმ დოზით დამახინჯება, რომ თეთრი შავად წარმოჩენილიყო და შავი — თეთრად.**

ევროპულმა სასამართლომ თუ ის დაადგინა, რომ 2008 წლის ომი საქართველომ დაიწყო და ამ ომის პირველ ხუთდღიან მონაკვეთში რუსეთი საქართველოს თავდასხმას იგერიებდა, მაშინ ეს რა ქარიშხალი ტრიალებს ჩვენს ტელეეკრანებსა და პოლიტიკურ წრეებში? რა უხარიათ? რას ზეიმობენ? ეს იმ ზეიმის ექოა, ალბათ, 2008 წლის აგვისტოს ომში მარცხის შემდეგ სააკაშვილმა „გამარჯვების“ აღსანიშნავად რომ გააჩაღა რუსთაველის პროსპექტზე. **„თავისუფლებამოპოვებულმა“ ქართველებმა გამარჯვებისა და დამარცხების ახალი, მხოლოდ ჩვენთვის დამახასიათებელი „ფილოსოფია“ შევქმენით, რომლის მიხედვითაც არ აქვს მნიშვნელობა, გაიმარჯვებ თუ დამარცხდები, მთავარია, რომ საკუთარ ხალხს დამარცხება გამარჯვებად მიასაღო. ამ „ფილოსოფიის“ მიხედვით, 2008 წელსაც გავიმარჯვეთ და ახლაც გავიმარჯვეთ, მაგრამ ამ „ისტორიულ გამარჯვებებს“ ერთი რამ აყენებს ჩრდილს — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დაკარგულია. თუმცა, არ მგონია, ეს ამბავი ან ნაცებს ადარდებდეთ, ან — ქოცებს.** მათი ბედნიერებისთვის საკმარისია, ხალხი მოატყუონ, საზოგადოებას პოლიტიკური ილუზია შეუქმნან, რომ მუდამ მართალი და გამარჯვებული სახელმწიფო ვართ, რათა ხალხმა ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი არ დააყენოს, დანარჩენი წყალსაც წაუღია. მესმის, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც მათთვის გადმოყრილი ამგვარი საკენკით იკვებებიან, მაგრამ **საზოგადოების დიდმა ნაწილმა ხომ იცის (უნდა იცოდეს!), რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ვერც სტრასბურგის სასამართლოს მიერ ჩვენთვის გადმოგდებული ფარატინა ქაღალდი უშველის, ვერც საერთაშორისო ორგანიზაციების ყაყანი და ვერც დასავლეთის სახელმწიფოების მესვეურთა მიერ გადმოღვრილი ნიანგის ცრემლები. ეს საქმე მთლიანად რუსეთის ხელშია. რუსეთი უკვე შემოვიდა ამიერკავკასიაში და ჩვენს მომავალ ბედზე მას თუ არ დაველაპარაკებით, ასეთ შემთხვევაში, აუცილებლად თურქეთთან მოგვიწევს ლაპარაკი, რომლის ინტერესები აჭარის რეგიონს უკვე გამოსცდა და, აგერ, გურიაში შემოიჭრა, ანუ სულ უფრო ღრმად შემოდის საქართველოში.**

საქართველო მსხვერპლიაო, — გაიძახიან და მართლებიც არიან, ოღონდ მისამართია არეული. საქართველო დასავლეთის მიერ აქ დაკანონებული უსამართლობის მსხვერპლია, ჩვენს რეგიონში აშშ-ის სრულიად არალეგიტიმური ამბიციების მსხვერპლი. მიმძიმს ჩემი ხალხისთვის ამის კადრება, მაგრამ ესეც უნდა ვთქვა: საქართველო, პირველ რიგში, საკუთარი უგუნური გადაწყვეტილებების მსხვერპლია!

## ეპოქალური მესაფლავე

2021 წლის 23 იანვარს რუსეთის რიგ ქალაქებში გაიმართა **ალექსეი ნავალნის** მხარდამჭერი მიტინგი. გერმანიიდან რამდენიმე დღის წინათ დაბრუნებული ნავალნი, როგორც ცნობილია, აეროპორტშივე დააკავეს. ნავალნი, რომელიც ვითომ „ნოვიჩოკით“ (საბრძოლო მომწამლავი ნივთიერება) იყო მოწამლული, სამკურნალოდ გერმანიაში იმყოფებოდა. **ნავალნის დაპატიმრებიდან მეორე დღესვე „იუთუბზე“ აიტვირთა მის მიერ მომზადებული ფილმი „სასახლე პუტინისთვის“. ამ ფილმშივე ჩანს, რომ ნავალნი გერმანიაში სამკურნალოდ კი არ იმყოფებოდა, ფილმს ამზადებდა. რაც მთავარია, ამ მასალიდან ისიც ჩანს, რომ იგი, ნავალნის მიერ კი არა, დასავლეთის სპეცსამსახურების მიერ არის მომზადებული.** დასავლეთის კვალი 23 იანვრის მიტინგების ორგანიზებაშიც აშკარაა. 22 იანვარს აშშ-ის საელჩომ რუსეთში გამოაქვეყნა იმ ქალაქების სია, რომლებშიც მიტინგები უნდა გამართულიყო და ამ სიას მიტინგებზე მისასვლელი დეტალური მარშრუტებიც მოაყოლა. ეს ვითომ რუსეთში მყოფი აშშ-ის მოქალაქეების უსაფრთხოების მოტივით გაკეთდა, მაგრამ სინამდვილეში იგი მიტინგზე მისვლის მოწოდება იყო. **დასავლეთმა უკადრებელი იკადრა. პანდემიის ვითარებაში მათ სოციალური ქსელების მეშვეობით, რომლებიც მთლიანად აშშ-ის სპეცსამსახურების ხელშია, ორგანიზება მოახდინეს რუსეთში მცხოვრები მცირეწლოვნებისა იმ მიზნით, რომ მიტინგზე მათი მაქსიმალური რაოდენობა მიეყვანათ. დაგეგმილი ჰქონდათ პროვოკაციები, რომ მერე ეყვირათ, — რუსეთში ადამიანების უფლებები ფეხქვეშ ითელებაო. როგორ არ უნდა რცხვენოდეს დასავლეთს, როდესაც ისინი ადამიანის უფლებების დაცვისკენ სხვებს მოუწოდებენ მას შემდეგ, რაც მათ სახელმწიფოებში ხდება?!**

საერთაშორისო კაპიტალიზმი, რომელიც მსოფლიოში ყველა უბედურების სათავეა, როგორც ჩანს, სირცხვილის ატროფიასაც იწვევს. აქამდე თუ არ დაკვირვებიხართ, დააკვირდით დასავლეთის პოლიტიკოსების ქცევებს, საუბარს, ლოგიკას, ორმაგ სტანდარტებს, ყოვლისმკადრებლობას და მიხვდებით, რომ მათ შუბლის ძარღვი გაწყვეტილი კი არ აქვთ, საერთოდ არ დაჰყოლიათ დედის მუცლიდან.

რუსეთში გამართულ მიტინგებზე რომ ვსაუბრობ, მერწმუნეთ, არანაირი სურვილი არ მამოძრავებს რუსული პოლიტიკის გამოსარჩლებისა. კაპიტალისტური რუსეთიც დასავლური კაპიტალიზმის ნაწილადაა ქცეული. ბიბლიის ენით რომ ვთქვათ, რუსეთმა გასინჯა აკრძალული ნაყოფი ხე ცნობადისა (კაპიტალიზმისა) და ამის გამო, წესისამებრ, ისჯება. დასავლეთთან რუსეთის დღევანდელი კონფლიქტი სულაც არ მომდინარეობს იდეოლოგიური საფუძვლებიდან. **კაპიტალისტური ამერიკა კაპიტალისტურ რუსეთს ებრძვის, რათა დაასუსტოს იგი, როგორც ყველაზე ძლიერი კონკურენტი. რუსეთში ჯერჯერობით სხვა არაფერი ხდება, მაგრამ შორს არ არის ის დღე, როდესაც რუსულ კაპიტალიზმსაც აუცილებლად მიადგება მისი ეპოქალური მესაფლავე. ეს არ იქნება დასავლეთის სპეცსამსახურებში გამოჩეკილი ვინმე ნავალნი ან დასავლეთის „მეხუთე კოლონის“ სხვა რომელიმე წარმომადგენელი. ეს რუსი ხალხის მტკიცე ნება იქნება, დაკანონებული ბოროტების წინააღმდეგ საერთაშორისო პროტესტითა და მსოფლიო ამბოხით გაჯერებული.**

ყოველმხრივ ჩიხში შესული მსოფლიოსთვის სხვა გზა, სხვა ხსნა არ არსებობს!

**ვალერი კვარაცხელია**

## ავი მუსაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**აშშ-ის „ხანგრძლივ“ ისტორიაში პირველი და, აქედან გამომდინარე, უპრეცედენტო შემთხვევა იყო, როდესაც აშშ-ის ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტი არ დაესწრო მისი შემცვლელის ინაუგურაციას და თავად არ შეუძლვა მემკვიდრეს ოვალურ კაბინეტში; ასევე ისტორიაში პირველად ჯერ კიდევ პირველმა ლედიმ, მელანია ტრამპმა, არ დაპატიჟა ტრადიციულ ლანჩზე მომავალი პირველი ლედი.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერი მკითხველმა 20 იანვარს იხილა — ჯო ბაიდენის ინაუგურაციის დღეს და, აქედან გამომდინარე, თქვენი მონამორჩილი იმ ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „არ არსებობს ლიბერალზე უფრო მძვინვარე მხეცი“ იმაზე საუბარს, როგორ, რა სცენარით ჩაატარებდა აშშ ახალი პრეზიდენტის ფიცის დადების „საზეიმო“ ცერემონიას, მხოლოდ ვარაუდებით თუ შევძლებდი. ერთადერთი, რისი დანამდვილებით თქმა 20 იანვრამდეც შეიძლებოდა, იყო ის, რომ, რაც უნდა ელონათ წარსულში თეთრი სახლის მიერ სხვადასხვა მიზეზ-საბაბთა გამო საზეიმო ღონისძიებათა ჩატარებაში გამოცდილ ავტორებს, რეჟისორებს, ერთი სიტყვით, „ცერემონმაისტერებს“ (თუ ასე თქმა უპრიანია), 20 იანვარს ვერავითარი ნამდვილი ზეიმი, როგორც ასეთი, ველარ გაიმართებოდა. ამიტომ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვარაუდებზე უნდა ამეგო ჩემი „ავი მუსაიფი“...**

# ანგლოსაქსებმა ამერიკაში ლიბერალური დიქტატურა დაამყარეს

წინა წერილი „არ არსებობს ლიბერალზე უფრო მძვინვარე მხეცი“, ძირითადად, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში განვითარებულ მოვლენებსა და უეჭველ ფაქტებზე დაყრდნობით ავაგე. მოვლენებსა და ფაქტებზე, რომლებსაც შაპიტოს ცირკი დავარქვი — ცირკი, საზოგადოდ, მხიარულების, სიცილ-ხარხარის სინონიმია, მაგრამ, რაც ზემოთ ხსენებულ შაპიტოს ცირკში ხდებოდა, სამწუხაროდ, სატირალი იყო და არა სასაცილო. დიახ, სამწუხაროდ, რადგან შაპიტოს არენაზე გამართული პოლიტიკური კლოუნადა, ადრე თუ გვიან, ჩვენამდეც მოაღწევს, ჩვენზეც იქონიებს ნეგატიურ გავლენას. მე, უწინარესად, ეს მადარდებს, ამაზე ვფიქრობ და ვწუხვარ, თორემ ლიბერასტი ანგლოსაქსები წყალსაც წაუღია...

რომელ ზეიმზე შეიძლება საუბარი, როცა თეთრი სახლის ირგვლივ 1 კილომეტრის (!) რადიუსით 3 მეტრის სიმაღლის ფოლადის ღობე შემოავლეს, რომელსაც შიგნიდან 35 ათასი გვარდიელი იცავდა. სამხედროების ეს რაოდენობა გაცილებით მეტია აშშ-ის მიერ ერაყში, ავღანეთსა თუ სირიაში გაგზავნილი სამხედროების საერთო რაოდენობაზე.

წარსულში ჩატარებულ ინაუგურაციებზე, ყოველთვის, სულ ცოტა, 200 ათასი მიწვეული თუ მიუწვეველი სტუმრით ივსებოდა თეთრი სახლის წინა მოედანი, რომელიც წელს სიმბოლურად აშშ-ის 200 ათასი დროშით გადაავსეს — ვერაფერს იტყვი, დიდებული ანტურაჟის ფონზე შეასრულა აშშ-ის სახელმწიფო ჰიმნი **ლედი გაგამ**...

აშშ-ის „ხანგრძლივ“ ისტორიაში პირველი და, აქედან გამომდინარე, უპრეცედენტო შემთხვევა იყო, როდესაც აშშ-ის ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტი არ დაესწრო მისი შემცვლელის ინაუგურაციას და თავად არ შეუძლვა მემკვიდრეს ოვალურ კაბინეტში; ასევე ისტორიაში პირველად ჯერ კიდევ პირველმა ლედიმ, **მელანია ტრამპმა** არ დაპატიჟა ტრადიციულ ლანჩზე მომავალი პირველი ლედი.

**დონალდ და მელანია ტრამპები დილაუთენია უკანასკნელად ავიდნენ ჯერ პრეზიდენტის ვერტმფრენში, შემდეგ საპრეზიდენტო თვითმფრინავის, ე.წ. ბორტი №1-ის ტრაპზე და ხაზგასმული დემონსტრაციულობით განერიდნენ „საზეიმო ცერემონიას“, რომელსაც ერთმა ენაკვიმატმა ჟურნალისტმა, ჯო ბაიდენის თეთრ სახლში საზეიმო შესვლა კი არა, თეთრი სახლიდან დონალდ ტრამპის საპროტესტო გამოსვლა უწოდა.**

დონალდ ტრამპმა ბოლო მომენტამდე, არც ე.წ. შავი ჩემოდანი გადასცა ახალ მთავარსარდალს. რის გამოც ჯო ბაიდენისთვის შექმნეს ბირთვული შეტევის ახალი კოდი, რომლის „წაკითხვა“, დიდი ალბათობით, გაუჭირდება ჯოს — კაცს საკუთარი შვილებისა და შვილიშვილების სახელები ვერ დაუმახსოვრებია და...

რაც შეეხება ახალ პირველ ლედის — **ჯილ ბაიდენს**, ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს, რომ მელანია ტრამპმა ტრადიცია დაარღვია, თორემ ყოფილი პირველი ლედის (რომელსაც უკვე 21-ე საუკუნის ჯეკი კენედის უწოდებენ) ფონზე ახალი პირველი ლედი იაფფასიანი სასტუმროს მოსამსახურე ქალივით გამოჩნდებოდა.

მოკლედ, **თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ დონალდ ტრამპმა ზემოხსენებული „უსაქციელობით“, პრაქტიკულად, ჩაამწარა ჯო ბაიდენს გაპრეზიდენტება, რითაც, ჟარგონით თუ ვიტყვით, პატარა „აბაროტი“ აუღო დემოკრატებს, რომლებმაც, თავის მხრივ, ტრამპს პრეზიდენტობა ჩაამწარეს — მას ხომ 4 წლის განმავლობაში პრეზიდენტად, პრაქტიკულად, არც კი უმუშავია, რადგან ნიადაგ იმის მტკიცებაში გაატარა 4 წელიწადი, რომ პუტინის აგენტი არ იყო.**

ტრამპს უტევდა მთელი ლიბერალური მასმედია (თუმცა სხვანაირი არსებობს?), ტელევიზია და პრესა, სოციალური ქსელები: „ტვიტერი“, „ფეისბუკი“, „იუთუბი“ და ა.შ. შოუბიზნესი, ლგბტ-თა სამოთხე ჰოლივუდი, საკუთარი პარტიაც კი... და რისთვის, რატომ? იმიტომ, რომ დონალდ ტრამპი **ჯონ კენედის** შემდეგ აშშ-ის ისტორიაში ერთადერთი პრეზიდენტია, რომელიც თანამედროვე დასავლეთის და კონკრეტულად აშშ-ის „წმიდათაწმინდა“ ღირებულებას — ლიბერალიზმს, ე.ი., აშშ-ის მმართველ სისტემას დაუპირისპირდა, სისტემას, რომელიც მსოფლიოს ჩრდილოვანი მმართველია.

**დონალდ ტრამპი აშშ-ის ისტორიაში ჯონ კენედის შემდეგ მეორე კათოლიკე პრეზიდენტია. კენედი დალასში მოკლეს უამრავი ადამიანის თვალწინ, ხოლო ტრამპის მორალურ მკვლელობას, მისთვის იმპიჩმენტის გამოცხადებით, გამალებით ამზადებს აშშ-ის, პრაქტიკულად, ერთპარტიული ხელისუფლება.**

წინა წერილში ნათქვამს გავიმეორებ: დონალდ ტრამპის ერთ-ერთი წინასაარჩევნო



ჯო ბაიდენი ფიცს დებს

**დონალდ ტრამპი აშშ-ის ისტორიაში ჯონ კენედის შემდეგ მეორე კათოლიკე პრეზიდენტია. კენედი დალასში მოკლეს უამრავი ადამიანის თვალწინ, ხოლო ტრამპის მორალურ მკვლელობას, მისთვის იმპიჩმენტის გამოცხადებით, გამალებით ამზადებს აშშ-ის, პრაქტიკულად, ერთპარტიული ხელისუფლება**

დაპირება იყო ის, რომ ვაშინგტონის ბიუროკრატიულ პოლიტიკურ ჭაობს ამოაშრობდა, მაგრამ მოხდა პირიქით — ვაშინგტონის კორუფცირებულმა პოლიტიკურმა ჭაობმა ჩაითრია აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი...

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, პატარა იმედი იმისა, რომ ყველა და ყველაფერი არ გალიბერასტდება, ჯერ კიდევ არსებობს — გვირაბის ბოლოს სინათლის პატარა სხივი სჩანს და ამ სხივს ის 75 მილიონი ამამრჩეველი ჰქვია, რომელმაც დონალდ ტრამპს მისცა ხმა.

75 მილიონი(!) — ეს არის ე.წ. ერთსართულიანი, კბილებამდე შეიარაღებული ამერიკა. ეს არის აშშ-ის მოსახლეობის მეოთხედზე მეტი, რომელსაც ღმერთი სწამს (ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანი კათოლიკეა, მორმონი, მართლმადიდებელი, პროტესტანტი თუ სხვა სარწმუნოების მიმდევარი) და არა ლგბტსატანისტები.

ზემოთ უსახურ, პრაქტიკულად, ჩაშლილ ინაუგურაციაზე „ვიღადავეთ“ (მომიტევეთ ამდენი ქალაქური ჟარგონი), მაგრამ სალადაოდ ნამდვილად არ გვაქვს საქმე, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის მოსახლეობის უმრავლესობა გულის სიღრმეში (დიახ, გულის სიღრმეში, ფარულად, რადგან ხმამაღლა თქმა იმისა, რომ ლიბერასტებს არ თანაუგრძნობ, საფრთხის შემცველია, თქვენ წარმოიდგინეთ, შეიძლება დაგაპატიმრონ კიდეც) ტრადიციული, ნორმალური ფასეულობა-ღირებულებების მიმდევარია.

ბაიდენის გაპრეზიდენტებას მთელი ე.წ. ლიბერასტული დასავლეთი (სხვათა შორის, ჩვენშიც) მიესალმა. ლიბერასტები დასავლეთის სახელისუფლო წრეებში უმრავლესობაში არიან. საზოგადოების უმცირესობა მართავს უმრავლესობას, რაც პარადოქსია, მაგრამ, სამწუხაროდ, უეჭველი ფაქტი. აქედან გამომდინარე, ჯო ბაიდენის გაპრეზიდენტება ანგლოსაქსების მიერ ლიბერალური დიქტატურის ოფიციალურად დამყარებას ნიშნავს. აი ეს მქონდა მხედველობაში, როცა ზემოთ აგრესიული ნეოლიბერალიზმის „სიკეთეებზე“ ვწერდი და ანგლოსაქსები წყალსაც წაუღია-მეთქი, გავლანძღე ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირეები“.

თავად განსაჯეთ — **მისტერ ჯომ ოვალურ კაბინეტში შესვლისთანავე დონალდ ტრამპის ბრძანებულებათა გაუქმებას მიჰყო ხელი და პირველი, რაც გააუქმა, დონალდ ტრამპის მიერ აკრძალული, აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში ტრანსგენდერთა მსახურების უფლების აღდგენა იყო.** აქედან გამომდინარე, პენტაგონში, რომ იტყვიან, თავი ასტკივდათ — საერთო ყაზარმებში განათავსონ ტრანსგენდერები, თუ მათთვის ახალი საძილე კორპუსები ააშენონ...

ეს ისე, პრეზიდენტის ახალი ადმინისტრაციის აბსურდულობის საილუსტრაციოდ. თორემ, ასე იზამენ თუ ისე, ამით ქვეყანა არ დაიქცევა. მე ის მადარდებს, რომ **იანკებს ქართველი ერის დამანგრეველი რჩევები (წაიკითხე, ბრძანება) ექნებათ, რომელთა შესრულებასაც აუცილებლად მოსთხოვენ თავიანთ მარიონეტ საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც ენთუზიაზმით აღასრულებს პატრონთა ნებას...**

ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო და მეგონა, კაპიტოლიუმის შტურმით აღებისა და დარბევის შემდეგ ამერიკელები სხვებისთვის დემოკრატიის სწავლებაზე მთლად უარს თუ არ იტყოდნენ, მენტორულ ტონს ოდნავ მაინც შეარბილებდნენ, მაგრამ არა — 23 იანვარს ალექსი ნავალნის მხარდამჭერებმა რუსეთის რამდენიმე ქალაქში აშკარად პროვოკაციული ხასიათის საპროტესტო აქციები მოაწყვეს და, ვინც ამის ამსახველ კადრებს უყურა, დამეთანხმება, რომ პოლიციელები მაქსიმალურად კორექტულები იყვნენ. მიუხედავად ამისა, მოსკოვში აშშ-ის საელჩომ რუსეთი ზედმეტი ძალის გამოყენებაში დაადანაშაულა, რის გამოც აშშ-ის ელჩი დაიბარეს საგარეო საქმეთა სამინისტროში და უმკაცრესი ნოტა გადასცეს.

იანკები კაპიტოლიუმის დარბევაშიც რუსულ კვალს ეძებენ — 6 იანვარს, ანუ მაშინ, როდესაც კაპიტოლიუმი შტურმით აიღეს და დაარბიეს, დონალდ ტრამპი ტელეფონით ესაუბრა მის „ხაზეინ“ ვოვა პუტინსო, რაც სრული აბსურდია. თუმცა ეს სხვა თემაა, ისევე, როგორც გელენჯიკის სასახლე, და ამაზეც და საქართველოსთვის სხვა საჭირბოროტო თემებზე მომავალ ოთხშაბათს ვისაუბრებთ.



**დავით მხეიძე**

**დასავლეთმა დანარჩენ მსოფლიოს პირდაპირ უთხრა, რომ პრიორიტეტი ჯერ საკუთარი ხალხია და მერე — დანარჩენები, არანაირ თანასწორობაზე საუბარი არ არის და არც იქნება, რეალურად არც არასდროს ყოფილა, თუმცა გვარწმუნებდნენ, რომ თანასწორები ვართ, ევროკავშირის ქვეყნებშიც უვიზოდ გვიშვებენ, მაგრამ კრიტიკულ მომენტში, უბრალოდ, არა გვითხრეს.**

**ვაქცინაციის დილემა**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დასავლეთს საქართველო მხოლოდ ერთი რამისთვის სჭირდება — ჩვენი ქვეყანა კარგი პოლიგონია რუსეთთან საომრად

**კოვიდინფიცირებულთა რაოდენობამ მსოფლიოში 100 მილიონ ადამიანს გადააჭარბა. სამწუხაროდ, 2 მილიონზე მეტი გარდაიცვალა და ამ რიცხვში საქართველოს წილიც არის — 3 ათასზე მეტი გარდაცვლილი გვყავს. ვირუსი ჩვენთან 250 ათას ადამიანზე მეტს შეხვდა, მაშინ, როცა ეს რაოდენობა ჩინეთში 100 ათასს არ აჭარბებს. ეს ყველაფერი ცალკე საუბრის თემაა და არაერთხელ გამოჩნდა, რომ საკუთარ თავს როგორმე თვითონვე უნდა ვუშველოთ და თითოეული ჩვენგანი მაქსიმლურად შეეცადოს, როგორც საკუთარი თავი, ისე გარშემომყოფნი დაიცვას. პირბადის ტარება სასიამოვნო არავისთვისაა, მაგრამ ისე ჩანს, პირბადე არის ერთადერთი (და არა ერთ-ერთი) საშუალება, რომელიც თავის დასაცავად შემოგვრჩა და ის მაინც გამოვიყენოთ ჯეროვნად.**

ზესახელმწიფოებმა ვაქცინის შესაქმნელად მზადება ვირუსის გამოჩენიდან ლამის ერთ კვირაში დაიწყეს. ის, რომ ვაქცინა ასე მცირე დროში ვერ იქნებოდა (თავიდან 6 თვე დასახელდა), ყველასთვის თუ არა, სპეციალისტებისთვის მაინც დღესავით ნათელი იყო. მარტივ მაგალითს გეტყვით: ელემენტარული გამაყუჩებელი წამალი რომ დამტკიცდეს და წარმოებაში ჩაუშვან, 2-დან 4 წლამდე ხანგრძლივობის ციკლი უნდა გაიაროს — ჩატარდეს კვლევა, უკუჩვენებები შეფასდეს და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს წამლის მწარმოებელი სერთიფიკატს. ჰოდა, როცა საუბარი ლამის მთელი დედამიწის მოსახლეობის აცრაზეა, ვაქცინა ნახევარ წელიწადში ვერ იქნებოდა. ასეა თუ ისე, რამდენიმე მეცნიერმა მოახერხა ვაქცინის შექმნა, რომელიც ჯანმომ სასწრაფოდ აღიარა (სხვა გზა არ ჰქონდა) და დაიწყო ამ ვაქცინის წარმოება. გამონაკლისი მხოლოდ რუსეთია. რუსმა მეცნიერებმაც შექმნეს ვაქცინა და რუსეთში ვაქცინაცია უკვე მასიურად მიმდინარეობს, მაგრამ მსოფლიოს ბევრი ქვეყანა რუსულ ვაქცინას ვერ ყიდულობს. მიზეზი მარტივია — სანქციებდაწესებულ რუსეთს ვაქცინა რომ გამოართვა, გამოვა, რომ მისი გჯერა და ამას დასავლეთი არ აკეთებს, არ აკეთებს ადამიანების, საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლის ხარჯზე და ყველაფერს პოლიტიკის გამკაცრებით ნიღბავს. ვერ გეტყვით, რატომ არ ვცდილობთ, შევიძინოთ რუსული ვაქცინა, მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა...

ჰოდა, როცა რამდენიმე ვაქცინა დამტკიცდა, რიგში სწორედ ზესახელმწიფოები ჩადგნენ და მოურიდებლად განაცხადეს, რომ ჯერ მათი ქვეყნის მოქალაქეები აიცრებიან, შემდეგ — მეორე რანგის ქვეყნები, შემდეგ — მესამე რანგის და ბოლოს ე.წ. ბანანის რესპუბლიკები. ტერმინი „ბანანის რესპუბლიკა“ აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშიუმცროსმა გამოიყენა და მე ნუ შემრისხავთ. საქართველო მესამე რანგის ქვეყნებშია და, შესაბამისად, ვაქცინა ჩვენამდე გვიან მოაღწევს. როგორც ხელისუფლება გვეუბნება, „ეს გვიან“, ალბათ, შემოდგომა იქნება, მაგრამ დაზუსტებით შეგვიძლია გითხრათ, რომ შემოდგომაზე საქართველოში მასობრივი აცრები ვერანაირად ვერ დაიწყება.

ვაქცინის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მწარმოებელ კომპანია AstraZeneca-ს ვაქცინა ევროკავშირის 27 ქვეყნისთვის უნდა მიეწოდებინა და 80 მილიონი დოზა უნდა გაეცა, მაგრამ... **წარმოების პრობლემების გამო, ASTRAZENECA წლის პირველ კვარტალში, ევროკავშირს კოვიდ 19-ის ვაქცინის 31 მილიონ დოზას მიაწვდის, რაც დაგეგმილზე 60%-ით ნაკლებია. ASTRAZENECA-ს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში დადასტურებულია, რომ მიწოდებული ვაქცინების რაოდენობა ნაკლები იქნება, თუმცა კომპანია რაოდენობის შესახებ დეტალურ ინფორმაციას არ ასაჯაროებს.**

„წარმოების ადგილზე პროდუქციის შემცირების გამო თავდაპირველად მიწოდებული რაოდენობა უფრო მცირე იქნება, ვიდრე თავდაპირველად იყო მოსალოდნელი“, — ასეთი მშრალი განცხადება გააკეთეს AstraZeneca-ს წარმომადგენლებმა.

საქართველო კი არა, ვირუსთან საბრძოლველად მსოფლიოს ჯანდაცვა რომ ვერ აღმოჩნდა მზად, უკვე შევიტყვეთ. ახლა ირკვევა, რომ ვაქცინის წარმოებისთვის საჭირო პროდუქციის მოძიებაც პრობლემურია და, რაც მთავარია, პრობლემური ჩვენთვის, მესამე რანგის ქვეყნებისთვის კი არა, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვისაა. ვილაცებმა ისიც თქვეს, — ეს ყველაფერი ვაქცინაზე ფასის აწევის გამო კეთდება, ერთი დოზა დაახლოებით 19-დან 22 ევრომდე მერყეობსო და მწარმოებლებს ეიაფებათო. შეთქმულების თეორიების მომხრე არ ვარ და, იმედია, ოდესმე ტყუილ-მართალიც გაირკვევა. ახლა აქცენტის გაკეთება სხვა რამეზე გვსურს.

ევროკავშირი და ამერიკა ხომ გვეუბნება, თქვენთვის კარი ფართოდ გავაღეთ და, რომ შემოხვიდეთ, რეფორმებია საჭიროო. რეფორმების რაობასა და ოდენობაზე ბუნდოვანი წარმოდგენა არა მხოლოდ მათ აქვთ, ვინც ამას გვთავაზობს, არამედ ჩვენს ხელისუფლებასაც (წინამორბედთა მსგავსად, მაპ-ზე უკეთესის მოლოდინში ვართ მუდამ). ხომ გვიმტკიცებენ, რომ ჩვენ დასავლური ღირებულებების მქონენი გავხდით და, როგორც ძირძველი ევროპელები, ტოლ-სწორად დაგვიყენეს?! ჰოდა, **როცა საქმე საქმეზე მიდგა და ურთიერთობა ადამიანების სიცოცხლემდე დავიდა, მესამე ხარისხის აღმოვჩნდით,** „ატბროსკი ობშჩესტვა“, როგორც ადრე ამბობდნენ ხოლმე და **არავის აინტერესებს, რა მოუვა საქართველოსა და საქართველოს მსგავსი ქვეყნების მოსახლეობას. ჯერ ამერიკისა და ევროკავშირის ცისფერსისხლიანი მოსახლეობა უნდა აიცრას, ჯერ ისინი უნდა გადარჩნენ, თორემ ჩვენ ერთ დღესაც გავწყვეტილვართ.** ეს ყველაფერი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ჩვენს მოსახლეობაზე დასავლეთს არც არასდროს უფიქრია, არც იფიქრებს და საქართველო მხოლოდ მათთვის ხელსაყრელი ტერიტორიისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამო სჭირდება. **საქართველო ყველაზე კარგი პოლიგონია რუსეთთან საომრად,** აქეთ — შავ ზღვაზე გასასვლელი, იქით — პირდაპირი სახმელეთო საზღვარი რუსეთთან და ნატო თავის რაკეტების განსალაგებლად უკეთეს ადგილს ვერც იპოვის. ჰო, **ნატო ის ორგანიზაციაა, კარს რომ არ გვიღებს, მაგრამ მუდმივად გვეუბნება: კაკუნი არ შეწყვიტოთ, და ჩვენც, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, კარგა ხანია, ვაკაკუნებთ.**

დასავლეთმა დანარჩენ მსოფლიოს პირდაპირ უთხრა, რომ პრიორიტეტი ჯერ საკუთარი ხალხია და მერე — დანარჩენები, არანაირ თანასწორობაზე საუბარი არ არის და არც იქნება. რეალურად არც არასდროს ყოფილა, თუმცა გვარწმუნებდნენ, რომ თანასწორები ვართ, ევროკავშირის ქვეყნებშიც უვიზოდ გვიშვებენ, მაგრამ ყველაზე კრიტიკულ მომენტში, უბრალოდ, არა გვითხრეს.

ამის პარალელურად საქართველოს ხელისუფლება საყოველთაო ვაქცინაციის დაწყების ვადებზე გვესაბრება: ჯერ ზამთარშიო; მერე გაზაფხულზე, ოღონდ რისკ-ჯგუფებსო; მერე ზაფხულშიო და ახლა გვითხრეს, რომ შემოდგომაზე უნდა ველოდოთ ვაქცინას. როგორ გგონიათ, **ხელისუფლებაში არ იციან, რეალურად რა ხდება და როდის იქნება შანსი იმისა, რომ საქართველოში ვაქცინა შემოვიდეს? იციან და თანაც ჩვენზე კარგად, მაგრამ იმას ხომ არ გვეტყვიან, ევროკავშირი და ამერიკა ვაქცინას არ გვაძლევენ, ჯერ თავისთვის უნდათო? არც იმას გვეტყვიან, რუსული ვაქცინის ავკარგიანობაზე ვერ ვმსჯელობთ, აგვიკრძალა სტრატეგიულმა პარტნიორმა და როგორმე უნდა გავძლოთ, სანამ ვაქცინა ჩვენამდე მოაღწევსო.**

ერთი მხრივ, ამ ყველაფერში სარგებლის ნახვა შეიძლება — სასწრაფოდ დამზადებულ ვაქცინას არაერთი უკუჩვენება აღმოაჩნდა და ხარვეზების გასწორება მიმდინარეობს. ეს ჩვენ ხარჯზე არ მოხდება, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ცივილიზებული მსოფლიო უფრო მეტ ზარალს ელოდება ვირუსისგან, ვიდრე წარმოგვიდგენია და ამიტომ რისკავს. აი, ეს არის გასათვალისწინებელი და, თუ ბრიტანეთის პრემიერის სიტყვებსაც გავითვალისწინებთ, დასკვნების გამოტანა მარტივდება. **ბორის ჯონსონმა ყოველგვარი შელამაზების გარეშე თქვა, მუტაციაგანცდილი ვირუსი გაცილებით მეტ ადამიანს შეიწირავს, ვიდრე ეს პირველ ჯერზე იყოო. პირველ ჯერზე 2 მილიონს გავცდით და ახლა ზესახელმწიფოების აჩქარებაც გასაგებია.**

ნამდვილად ძნელია პროგნოზირება, როდის გვექნება ვაქცინა საქართველოში. ცალკე პრობლემაა ის, რომ ჩვენთან მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილს ვირუსის არსებობის, უბრალოდ, არ სჯერა და ისინი აცრაზეც უარს იტყვიან. სავარაუდოდ, ამიტომ იქმნება საყოველთაო ბაზა, რომელშიც აცრილები და ასაცრელები იქნებიან შეყვანილი და ვინც აცრაზე უარს იტყვის, მოგზაურობასა და სხვა ქვეყანაში შესვლას ვერ შეძლებს. ეს საყოველთაო ბაზაც ცალკე კითხვის ნიშნებს აჩენს და მოსახლეობაში სერიოზულ ეჭვს იწვევს, ეს ლოგიკურიცაა...

ამ ყველაფრიდან ჩვენთვის მთავარი სწორი დასკვნების გაკეთებაა. **რამდენჯერაც მიეცა შანსი ევროპასა და ამერიკას, რომ ჩვენთვის ხელი ეკრა, იმდენჯერ გამოიყენა და ახლაც, როცა საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება, „თანასწორი სტრატეგიული პარტნიორები“ მოულოდნელად მესამე ხარისხის ქვეყნის რიგებში აღმოვჩნდით** და, პრაქტიკულად, ბედის ანაბარად მიგვატოვეს. მორალი ერთია: საკუთარ თავს ჩვენ უნდა მივხედოთ და ევროპა-ამერიკის იმედად ყოფნას გადავეჩვიოთ.



**რამდენჯერაც მიეცა შანსი ევროპასა და ამერიკას, რომ ჩვენთვის ხელი ეკრა, იმდენჯერ გამოიყენა და ახლაც, როცა საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება, ვითომ თანასწორი სტრატეგიული პარტნიორები მოულოდნელად მესამე ხარისხის ქვეყნის რიგებში აღმოვჩნდით**

**როცა საქმე საქმეზე მიდგა და ურთიერთობა ადამიანების სიცოცხლემდე დავიდა, მესამე ხარისხის ქვეყანა აღმოვჩნდით, და არავის აინტერესებს, რა მოუვა საქართველოს და საქართველოს მსგავსი ქვეყნების მოსახლეობას. ჯერ ამერიკისა და ევროკავშირის ცისფერსისხლიანი მოსახლეობა უნდა აიცრას, ჯერ ისინი უნდა გადარჩნენ, თორემ ჩვენ ერთ დღესაც გავწყვეტილვართ**

**ბესო ბარბაქაძე**

ბალკანეთის სინდრომი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბალკანეთის სინდრომის“ დიაგნოსტიკის შედეგებით პირველად 20 წლის წინათ შეშფოთდნენ — 2001 წლის იანვარში, როდესაც ნატოსა და ევროკავშირის შტაბ-ბინებში თათბირები ჩატარდა ამ საკითხზე. საუბარი იყო არა საომარ მოქმედებებში მონაწილე პირებისთვის დამახასიათებელ პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობაზე, არამედ ლეიკემიასა და სხვა ონკოლოგიურ დაავადებებზე.**

**ათასობით სერბმა დაიწყო სასამართლო ბატალიები ნატოს წინააღმდეგ. მათი მიზანი კომპენსაციის მიღებაა გაიშვიათებული ურანის ჭურვებით იუგოსლავიის დაბომბვის გამო. ასეთი იარაღი კიბოს პროვოცირებას რომ იწვევს და ბალკანეთს ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დააყენებდა, არაერთხელ დაწერილა, მაგრამ ევროპაში მხოლოდ მაშინ შეშინდნენ, როცა კიბო თვით ნატოელებს დაემუქრა და ისტორიაში შევიდა, როგორც „ბალკანეთის სინდრომი“.**

# ნატო ევროპისთვის კანცეროგენად იქცა

„ბალკანეთის სინდრომის“ დიაგნოსტიკის შედეგებით პირველად 20 წლის წინათ შეშფოთდნენ — 2001 წლის იანვარში, როდესაც ნატოსა და ევროკავშირის შტაბ-ბინებში თათბირები ჩატარდა ამ საკითხზე. საუბარი იყო არა საომარ მოქმედებებში მონაწილე პირებისთვის დამახასიათებელ პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობაზე, არამედ ლეიკემიასა და სხვა ონკოლოგიურ დაავადებებზე.

ამ მომენტისთვის ონკოლოგიური დაავადებებისგან გარდაცვლილია ნატოს 18 სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც მონაწილეობდნენ სამშვიდობო ოპერაციებში კოსოვოში. მათგან 7 იტალიელია, 5 — ბელგიელი, 2 — დანიელი, 2 — ესპანელი, 1 — პორტუგალიელი და 1 — ჩეხი. კიდევ 4 ფრანგსა და 4 ბელგიელს დაუდგინეს ლეიკოზი.

**მთავარი ეჭვმიტანილი აღმოჩნდა პენტაგონი, რომელიც გაიშვიათებული ურანის საბრძოლო მასალებს იყენებდა.** ამ მასალების დამღუპველ ზემოქმედებაზე რეგიონის ეკოლოგიაზე, აგრეთვე, ბალკანელ სერბებსა და ალბანელებზე იმხანად მხოლოდ მუნჯი არ ლაპარაკობდა, თუმცა ერთია სერბები, მეორე — ნატოს ჯარისკაცები. საერთაშორისო სკანდალი გარდაუვალი იყო, თუმცა ის უშედეგოდ დასრულდა. დისკუსიას წერტილი დაუსვა აშშ-ის იმჟამინდელმა სახელმწიფო მდივანმა **მადლენ ოლბრაიტმა: „ჯერჯერობით არ არსებობს ფაქტობრივი მონაცემები, რომლებიც სამშვიდობო ქვედანაყოფების ჯარისკაცების ჯანმრთელობის პრობლემებს დააკავშირებდა გაიშვიათებული ურანით დამზადებულ იარაღთან“.** დაახლოებით იგივე განაცხადეს საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროების წარმომადგენლებმა, ხოლო სასამართლოებმა, რომლებშიც დაზარალებულებმა სარჩელი შეიტანეს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მხარე დაიკავეს.

სურათი თითქოს ნათელია **— ნატოს აგრესია იუგოსლავიის წინააღმდეგ სამხედრო დანაშაულია. 2000-იანი წლების დასაწყისში აშშ მსოფლიო ჰეგემონია, რომელსაც თავისი გავლენის სფეროებში შეუძლია პოლიტიკოსების დირიჟორობა, პენტაგონი არ წირავს თავისიანებს, როგორ მხეცობაზეც უნდა დაადანაშაულონ ისინი. და უარს არ ამბობს თავის მეთოდებზე ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნებში.** ოლბრაიტი კი, რა თქმა უნდა, ცრუობს და არ შეუძლია, არ იცრუოს, იმიტომ, რომ ის დამნაშავეა სერბების თვალში.

ეს ყველაფერი ასეა ან თითქმის ასეა, მაგრამ, რაც შეეხება გაიშვიათებული ურანისგან დამზადებულ ჭურვებს, აქ საქმე უფრო რთულადაა. სხვათა შორის, ოლბრაიტის ფორმულირება დღესაც აქტუალურია: არ არსებობს ჯანმოს, გაეროს ან სამეცნიერო საზოგადოების ვერდიქტი, რომ მსგავსი ჭურვების გამოყენებამ შეიძლება ონკოლოგიური დაავადებები გამოიწვიოს.

მასმედიაში შეიძლება შეხვდეთ მტკიცებას, რომ ეს გაეროს მიერ აკრძალული იარაღია, მაგრამ ეს ასე არ არის. ადამიანის უფლებების გაეროს კომისია მართლაც მუშაობს გაიშვიათებული ურანისგან დამზადებული საბრძოლო მასალების აკრძალვაზე, მაგრამ ჯერჯერობით წარუმატებლად.

**გაიშვიათებული ურანისგან დამზადებული საბრძოლო მასალის შექმნაზე მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ნაცისტი გერმანელები მუშაობდნენ, 1970-იან წლებში კი პენტაგონის წინაშე დადგა ამერიკული ჭურვების სასწრაფოდ მოდერნიზაციის ამოცანა, რადგან ძველი ჭურვები უეფექტო იყო საბჭოთა ტანკებისა და მძიმე ტექნიკის განახლებული ჯავშნის წინააღმდეგ. ასე დაიწყეს საბრძოლო მასალად გაიშვიათებული ურანის გამოყენება, რომელსაც ამისთვის მნიშვნელოვანი თვისება აქვს — ძალიან მსუბუქია, ამასთანავე, ძალიან მკვრივი.** ამიტომ იყენებენ მას ტანკების ჯავშანში. ცოტა მეტი სიმკვრივე აქვს **ოქროს,** აგრეთვე, **ვოლფრამს,** რომელსაც ფართოდ იყენებენ სამხედრო მრეწველობაში. სწორედ ამ ლითონის დეფიციტმა აიძულა ვერმახტი, გადასულიყო ურანზე. ამერიკელებსაც შეექმნათ დეფიციტი და თავიანთ ტერიტორიაზე ვოლფრამის მოპოვებასთან ერთად ამ ლითონს ყიდულობდნენ (დღესაც ყიდულობენ), ძირითადად, ჩინეთისგან. გაიშვიათებული ურანი კი ატომური იარაღის მქონე ყველა სახელმწიფოს აქვს და, სანამ საბრძოლო მასალად გამოიყენებდნენ, უბრალოდ, მის უტილიზაციას ეწეოდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **გაიშვიათებული ურანისგან ჭურვების დამზადება „ბირთვული კლუბის“ ნებისმიერ წევრს თავისუფლად შეუძლია. და დაამზადეს კიდეც, მაგრამ გამოიყენეს მხოლოდ ერაყში (ერაყის პირველ და მეორე ომშიც), ბოსნიასა და მილოშევიჩის იუგოსლავიაში.**

მაგალითად, გერმანიას ასეთი ჭურვები არ აქვს. როგორც გერმანიის თავდაცვის იმჟამინდელმა მინისტრმა **რუდოლფ შარპინგმა** განაცხადა „ბალკანური სინდრომის“ სკანდალის პიკზე, „კარგი იქნებოდა, თუ ასეთი იარაღი არავის ექნებოდა“. თუმცა იარაღის ზოგიერთი სპეციალისტი, როგორც რუსი, ისე ამერიკელი, ამბობს, რომ გაიშვიათებული ურანისგან დამზადებულ საბრძოლო მასალას რადიაქტიული საფრთხის შექმნა არ შეუძლია, მაგრამ მას აქვს ტოქსიკურობის საფრთხე — **თუ ასეთი ურანის ნაწილაკები ადამიანის ფილტვებში ან ჭრილობაზე მოხვდება. თუმცა ასეთ შემთხვევებშიც, ჯანმოს ვერდიქტის მიხედვით, ონკოლოგიური დაავადების რისკი მხოლოდ ორი პროცენტით მოიმატებს. რა თქმა უნდა, არსებობს სხვა თვალსაზრისიც — გაიშვიათებული ურანის მოხვედრა გარემოსა და ადამიანის სხეულში ძალიან სახიფათოა. ამ თვალსაზრისს ავრცელებენ ეკოლოგები, უფლებადამცველები, პაციფისტები, მემარცხენე ლიბერალი აქტივისტები...** ამ საკითხში ყველაფერი ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, თუმცა **თქმა იმისა, რომ გაიშვიათებული ურანი ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა, მკრეხელობაა.** მაგრამ ის მუდამ ახლავს პროპაგანდისტულ დაპირისპირებებს, პოლიტიზებულ განმარტებებს, ემოციებით სპეკულაციას — ყველაფერს, რაც სდევს ომს, იარაღის ბაზარსა და დიდ პოლიტიკას. ასე იყო 20 წლის წინათ, ასეა დღესაც, მაგრამ რაღაც მაინც შეიცვალა. **ახლა, როცა ტერმინი „ბალკანეთის სინდრომი“ თითქმის დავიწყებულია, იტალიის სასამართლომ აღიარა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი გაიშვიათებულ ურანსა და ონკოლოგიურ დაავადებებს შორის, რის შემდეგაც ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა დაზარალებულ იტალიელებს კომპენსაციები გადაუხადა.**

იტალიელი ადვოკატები, რომლებმაც საქმე მოიგეს, ახლა კონსულტაციას უწევენ სერბებს, რომლებსაც გრძელი გზის გავლა მოუწევთ სასამართლოებში, რადგან მათი ქვეყანა არ არის ევროკავშირისა და ნატოს წევრი, მაგრამ მიზანი ანალოგიურია — მიაღწიონ იმას, რომ ბრიუსელმა საკომპენსაციო თანხები გადაუხადოს დაახლოებით 2 ათასამდე სერბს, რომლებსაც ჯანმრთელობა დაუზიანდათ გაიშვიათებული ურანის ჭურვებით მათი ქვეყნის დაბომბვისას გამო. სერბებისთვის სულაც არ არის მნიშვნელოვანი, გაიშვიათებული ურანის ჯანმრთელობისთვის მავნეობა მითია თუ მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტი. **აშშ-მა და ნატომ დანაშაული ჩაიდინეს, როცა იუგოსლავია უმოწყალოდ დაბომბეს.**







**ამ მომენტისთვის ონკოლოგიური დაავადებებისგან გარდაცვლილია ნატოს 18 სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც მონაწილეობდნენ სამშვიდობო ოპერაციებში კოსოვოში. მათგან 7 იტალიელია, 5 — ბელგიელი, 2 — დანიელი, 2 — ესპანელი, 1 — პორტუგალიელი და 1 — ჩეხი. კიდევ 4 ფრანგსა და 4 ბელგიელს დაუდგინეს ლეიკოზი. მთავარი ეჭვმიტანილი აღმოჩნდა პენტაგონი, რომელიც გაიშვიათებული ურანის საბრძოლო მასალებს იყენებდა**





vz.ru-ე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი ბაჩეჯილაძე**

# ძველი ამერიკის დახურვა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ატომური იარაღის ჩემოდანი ბაიდენს უკვე გადასცეს. მეორე დღესვე, 21 იანვარს, პირველი პრესკონფერენცია გამართა „დიდმა გეოგრაფმა“ ჯენიფერ ფსაკიმ, რომელიც აშშ-ის მოსახლეობას მალე საბოლოოდ დაუმტკიცებს, რომ ბოლო 100 წლის განმავლობაში თეთრ სახლში ისხდნენ არა მხოლოდ ოლიგარქიული კლანების დანიშნულები, არამედ როტშილდების, როკფელერების, სოროსების, გეიტსების, ცუკერბერგებისა და სხვათა აშკარა მარიონეტები.**

**ამერიკაში დასრულდა არჩევნების ეპოპეა. 25 ათასი ჯარისკაცის ზურგს ამოფარებულმა „სახალხო პრეზიდენტმა“ ჯო ბაიდენმა ათასი რჩეული ამერიკელის წინაშე დადო ფიცი. ჯენიფერ ფსაკიმ — ჯო ბაიდენის პრესსპიკერმა, პირველი პრესკონფერენცია ჩაატარა, ხოლო ინაუგურაციაზე აშშ-ის ჰიმნი ლედი გაგამ შეასრულა.**



## ცირკი მოვიდა: ბაიდენი, ფსაკი და ლედი გაგა ამერიკის სიმბოლოებად იქცნენ

## 2021 წლის 20 იანვარი ისტორიაში შევა, როგორც თეთრკანიანი ქრისტიანი პროტესტანტების მიერ შექმნილი ძველი ამერიკის საბოლოო დახურვა

აი ასე, სირენების კივილისა და აფეთქების საფრთხის გამო აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ევაკუაციის ფონზე შევიდნენ „ახალ საოცარ სამყაროში“ (ინგლისელი მწერლის, **ოლდოს ჰაქსლის,** ანტიუტოპიური რომანი — ნ.კ.), როცა სამუდამოდ დაიხურა ძველი ამერიკა და გაძლიერდა გლობალისტების სწრაფვა მსოფლიო ბატონობისკენ.

რაც უნდა მოხდეს შემდეგ, **ეს დღე ისტორიაში შევა, როგორც თეთრკანიანი ქრისტიანი პროტესტანტების მიერ შექმნილი ძველი ამერიკის საბოლოო დახურვა.** ის აშშ არ იყო კეთილი, იმ აშშ-მა გენოციდი მოუწყო ინდიელებს; ის აშშ დაავადდა განდიდების მანიით, გაძარცვა თითქმის მთელი მსოფლიო, რომელსაც თავს მოახვია თავისი ვალუტა (უფრო ზუსტად, არა თავისი, არამედ რამდენიმე კერძო პირის ნებას დამორჩილებული ფედერალური სარეზერვო სისტემის), თავის პარტნიორ ინგლისელებთან ერთად შეძლო ორი მსოფლიო ომისა და უამრავი ეკონომიკური კრიზისის პროვოცირება, გააჩაღა რამდენიმე ათეული ომი და მოაწყო „ფერადი რევოლუციები“ და ეს მხოლოდ ბოლო 70 წლის განმავლობაში. ეს ამერიკა არ ყოფილა პატიოსანი. მისი მთავარი ლოზუნგი იყო „ბიზნესი და არაფერი პირადული“, ეროვნული გმირები კი იყვნენ კოვბოი და ბანდიტი **ალ კაპონე...** მაგრამ ის იყო გასაგები. თავის ოცნებასთან დიდ ოჯახზე თავის სახლში, მამაზე, რომელიც ფულს გამოიმუშავებს, და შვილებზე მზრუნველ დედაზე. თავისი ჰოლივუდური ფილმებით. **20 იანვარს ის ძველი ამერიკა საბოლოოდ დასრულდა, როცა ტახტზე დასვა მოხუცი ულტრა-კონიუნქტურისტი, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში თეთრკანიანებისა და შავკანიანების ერთად სწავლის წინააღმდეგ გამოდიოდა, ხოლო 2020 წელს შავკანიანებს ეუბნებოდა, რომ ისინი არ იქნებიან ნამდვილი შავები, თუ ხმას არ მისცემდნენ არჩევნებში. ხელისუფლების სათავეში მოვიდა ჯგუფი ბოროტი კლოუნებისა, რომელთა უკანაც ჩანს ტრანსნაციონალური კორპორაციების ეშვები.**

**„ეს დემოკრატიის დღეა. ეს არის იმედის ისტორიული დღე. ჩვენ ბევრ გამოცდას გავუძელით. ჩვენ დღეს ვზეიმობთ ხალხის ნების აღსრულებას. ჩვენი დემოკრატიის მიერ ცოტა ხნის წინათ გამოვლენილი სისუსტის მიუხედავად, ჩვენ შევძელით, ბოლო მოგვეღო მათთვის, ვინც ცდილობდა ძალადობას. დარწმუნებული ვარ, ჩვენ მალე დავწერთ დიდებულ თავს აშშ-ის ისტორიაში. ჩვენ უნდა განვამტკიცოთ ჩვენი დემოკრატია. ასე შევძლებთ უკეთესი მსოფლიოს დატოვებას ჩვენი შვილებისთვის. მინდა, ფიცი დავდო ღმერთისა და ყველა თქვენგანის წინაშე: მე ყოველთვის დავიცავ კონსტიტუციას, დემოკრატიასა და ამერიკას. მინდა, ყველას მოგცეთ თავისუფლება, მინდა, იგემოთ თქვენი შრომის ნაყოფი; ჩვენ ყველა ერთად დავწერთ აშშ-ის ახალ ისტორიას. ეს იქნება ნათელი და არა უკუნი. ეს იქნება სიყვარულისა და დიდების ისტორია. ეს ჩვენ მიგვიყვანს მომავლამდე, რომლის აშენებაც გვსურს“,** — თქვა თავის გამოსვლაში ბაიდენმა.

ამას ცირკის გარდა ვერაფერს დაარქმევ. რომელ დემოკრატიაზეა ლაპარაკი, როცა ტრამპისტების წინააღმდეგ რეპრესიები მძვინვარებს? ძალადობის მომხრეთათვის რა ბოლოს მოღებაზეა ლაპარაკი, როცა ანტიფა და BLM კვლავ მართავენ აქციებს, ხოლო ხალხზე ლაპარაკი, უბრალოდ სასაცილოა?

№1 ფოტოზე აღბეჭდილია „ტირანი“ ტრამპის 2017 წლის 20 იანვრის ინაუგურაცია, ტრამპის, რომელსაც „რადიკალების მცირერიცხოვანი ჯგუფი“ უჭერს მხარს. სხვათა შორის, ტრამპმა ბაიდენის ინაუგურაციაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა და მშვიდად გაემგზავრა ფლორიდაში.

ფოტო №2 კი ყველაზე ნათლად გამოხატავს ამერიკელთა სახალხო სიყვარულს ახალი ლიდერისადმი. 2021 წლის 20 იანვარს გამართულ ინაუგურაციაზე არ დაუშვეს ისინიც კი, ვინც მთელი წლის განმავლობაში ანგრევდა და ამსხვრევდა ირგვლივ ყველაფერს, რათა ტრამპისთვის ხელი შეეშალათ არჩევნებში. ისინი იძულებულნი იყვნენ, სახლების კუთხეებს ამოფარებოდნენ, რათა სნაიპერებს შემთხვევით არ მოეკლათ.

სულ კი **ინაუგურაციაზე ახალი ამერიკის ათასი „გმირი“ მიიწვიეს: ოლიგარქები, პოლიტიკოსები-ნეოკონები, პოპულარული მსახიობები. საზოგადოება რაღაცით ხომ უნდა გაერთოთ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჰიმნი საჯაროდ გაშიშვლების მოყვარულმა შეასრულა — ლედი გაგამ, რომელსაც სტრიპტიზი არ უცეკვია და შავ-წითელ (ანარქისტების ფერები) კაბაში გამოწყობილი გამოვიდა.**

ატომური იარაღის ჩემოდანი ბაიდენს უკვე გადასცეს. მეორე დღესვე, 21 იანვარს, პირველი პრესკონფერენცია გამართა „დიდმა გეოგრაფმა“ ჯენიფერ ფსაკიმ, რომელიც აშშ-ის მოსახლეობას მალე საბოლოოდ დაუმტკიცებს, რომ ბოლო 100 წლის განმავლობაში თეთრ სახლში ისხდნენ არა მხოლოდ ოლიგარქიული კლანების დანიშნულები, არამედ როტშილდების, როკფელერების, სოროსების, გეიტსების, ცუკერბერგებისა და სხვათა აშკარა მარიონეტები.

საერთოდ, 20 იანვარს ვაშინგტონში სიმბოლოები საკმაოზე მეტი იყო. **მავთულხლართების ღობე, სპეცდანიშნულების დივიზია მოზეიმე ხალხის ნაცვლად და სირენების კივილი მავთულხლართების მიღმა, სადაც პოლიცია უზენაესი სასამართლოსკენ მიიჩქაროდა.** წელს სირენების კივილი ჩვეულებრივ ბგერებად იქცევა ამერიკელი პატრიოტებისთვის. ისინი ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარან, რომ არანაირი რევოლუციის მოწყობას არ დაანებებენ, მათ მიმართ კი მკაცრ რეპრესიებს განახორციელებენ. ამიერიდან დემოკრატია — ეს არის მაშინ, როცა უსიტყვოდ ასრულებ „მთავარი დემოკრატების“ განკარგულებებს.

რაც შეეხება მსოფლიოს, **ევროკავშირში გლობალისტებს უხარიათ: თეთრ სახლში მათი ადამიანი მივიდა და ახლა „ევროპული ფასეულობების“ წინ წამოწევა და დამკვიდრება აქტიურად გაგრძელდება.**

**katyusha.org-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**


№1


№2


BLM-ის აქცია ვაშინგტონში 21 იანვარს


ლედი გაგამ აშშ-ის ჰიმნი შეასრულა

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1918 წელს პირველ მსოფლიო ომში კაიზერული გერმანიის დამარცხებამ და გერმანიაში პოლიტიკურმა გადატრიალებამ გერმანიას საქართველოდან ფეხი ამოაკვეთინა, მაგრამ მტერს რა გამოლევს?! იმავე დღეს გერმანია ინგლისმა ჩაანაცვლა და საქართველოში ინგლისის საოკუპაციო ჯარი შემოვიდა. ბრიტანეთის მთავარსარდალმა ამიერკავკასიაში, გენერალმა ჯორჯ მილნმა 1919 წლის 2 მარტს ოფიციალურად განაცხადა, — ინგლისის ჯარებმა ამიერკავკასიის ოკუპაცია შეძლესო. ინგლისელები სულ მალე იტალიელებმა ჩაანაცვლეს, იტალიელები — ფრანგებმა...**

# უსტალინოდ დარჩენილი საქართველო

**(პოლიტიკური ექსკურსის გაგრძელება)**

დასაწყისი იხ. №1, 2021 წ.

## როდესაც პოლიტიკურ არსენალში მხოლოდ ანტირუსული რიტორიკა გაქვს და სხვა არაფერი, სჯობს, წახვიდე და გზა სხვას დაუთმო



მაქსიმ შევჩენკო და მისი მეუღლე სტუმრად გრიგოლ ონიანთან

**სანამ ძირითად თემაზე გადავიდოდე, მინდა, მკითხველის ყურადღება მივაპყრო ერთ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს.**

**დონალდ რეიფილდი** — ერთ-ერთი დიდი ლიტერატურათმცოდნე, დიდი ბრიტანელი მწერალი, ისტორიკოსი, ადამიანთა და მცირე ეროვნებათა უფლებების შეუდარებელი დამცველი და უისტორიო ხალხის ისტორიის შემქმნელი — მოსკოვის ლიტერატურულ საზოგადოებასა და ინტელიგენციას აცნობდა მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ისტორიას, როგორც ამ ერისა და ამ ხალხის წარმომადგენელი და აბორიგენი. ჩემი გაოცება იმან გამოიწვია, რომ ეს შესანიშნავი ინგლისელი მწერალი და მკვლევარი გაკვირვებას ვერ მალავს, რომ ქართველებმა თავიანთი ისტორია შუა საუკუნეების პერიოდის უფრო დაწვრილებით და უტყუარად იციან, ვიდრე თავიანთი თანამედროვე ისტორია, რომელშიც ცხოვრობენ. ჟურნალისტთან საუბარში მან განაცხადა, რომ XI-XII საუკუნეების საქართველოს ისტორიას შეადარებ ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნისა და ხალხის ისტორიას, ხოლო თანამედროვე ისტორია ბურუსშია გახვეული. დონალდ რეიფილდმა, როგორც უცხოელმა მწერალმა და მკვლევარმა, თავისი ამ შეფასებებით დღეს ცხადყო მიზეზები იმ ტრაგედიისა, რომელმაც შეძრა არა მხოლოდ ქართველი ხალხი, არამედ რუსეთისა და ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მოაზროვნე ადამიანთა დიდი ნაწილი, რომელიც კარგად იცნობს **ტიციან ტაბიძესა** და **პაოლო იაშვილს.**

დონალდ რეიფილდს რამდენიმეჯერ ჰყავს დამოწმებული აკადემიკოსი **როინ მეტრეველი,** რათა უფრო სანდო გახადოს თავისი მოძიებული მასალა ისტორიის ფოლიანტებში. ფეოდალური ხანის საქართველო იმიტომ უსწრებს თავისი კულტურითა და ტრადიციებით ატომური ეპოქის საქართველოს, რომ ფეოდალური ხანის ისტორიის ფალსიფიკატორები „ცეცხლზე დაწვა“ და ქურიდან გადმოსულმა ფოლადმა სამარადისო დიდების შარავანდედით შემოსა პატრონყმობის ეპოქა ლეგენდარული **დავითის, თამარის, შოთას** თაოსნობით. ბედნიერია ეპოქა და ადამიანები, როდესაც მათ ღვაწლს შემსწავლელი და დამწერი ეყოლება, მაგრამ მძიმეა ხვედრი უსახელოდ წასული ადამიანებისა, რადგან ერთი ადამიანისთვის დიდია ისტორიის ყველა მოვლენის ერთნაირად აღწერა. სწორედ ეს დაგვანახვა ნისლიანი ალბიონიდან მოსულმა დიდმა მწერალმა. მადლობა მას!

დავუბრუნდეთ თემას — „უსტალინოდ დარჩენილი საქართველო“.

**საქართველოს სერიოზული ჟამთააღმწერელი რომ ჰყავდეს და ქვეყნის ისტორია მოვლენების კვალდაკვალ იწერებოდეს, მომავალში მკვლევარს საშუალება ექნება, მსგავსება იპოვოს საქართველოს ბოლო 30-წლიან ისტორიასა (1990 წლიდან დღემდე) და მენშევიკური მთავრობის 19181-1921 წწ. მოღვაწეობას შორის.**

უსუსური მენშევიკური მთავრობა, რომელსაც სახელმწიფოს მშენებლობის არათუ ნიჭი, მონახაზიც არ ჰქონდა, დაჟინებით გაიძახოდა, თუ ჭიათურის მარგანეცის საბადოსა და კარიერებს უცხოელებს დავუთმობთ, საქართველოს მეტი არაფერი დასჭირდება ბიუჯეტის იმ დეფიციტის შესავსებად, რომელმაც 75%-ს მიაღწიაო. მთავრობის უშედეგო მცდელობით, მარგანეცით მიზანს რომ ვერ მიაღწია, მსგავსად 1990-იანი წლების საქართველოს მთავრობისა, მარგანეცს ბორჯომის წყალიც მიუმატეს, მაგრამ ფონს ვერც ამით გავიდნენ. ამიტომ, ბოლოს და ბოლოს, მთავრობამ გადაწყვიტა, შემოეყვანა ევროპის რომელიმე ქვეყანა საქართველოში, რომელიც თავს დაადგამდა რესპუბლიკის დეფოლტიდან გამოყვანის საქმეს.

* მენშევიკურმა მთავრობამ, მსგავსად გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს მთავრობისა და აშშ-თან შეთანხმებისა, რუსეთთან სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი და სტრატეგიულ პარტნიორად აშშ გამოაცხადა.

* მენშევიკურმა მთავრობამ იმხანად ქვეყანაში შექმნილი უკიდურესად მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად საქართველოში გერმანიის საოკუპაციო ჯარი მოიწვია, რომელიც საქართველოში 1918 წლის 28 მაისს განლაგდა, და დაიდო ხელშეკრულება „წინასწარი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის“.

ამავე წლის ზაფხულში ბერლინში ჩასულ საქართველოს დელეგაციას გერმანიის საგარეო უწყებაში განუცხადეს, რომ ისინი საქართველოს განიხილავენ, როგორც კოლონიას, და ისიც განაცხადეს, რომ გეოგრაფიულად შორს რომ არ იყოს, საქართველოსთვის უფრო მართებული იქნებოდა გერმანიის ფედერაციაში შესვლა, მაგრამ, რადგან ეს არ ხერხდებოდა, სამინისტროს გამონახული ჰქონდა შესაბამისი სტატუსი — **„შორეული კოლონია“.**

საქართველოს დელეგაციის წევრის კითხვას — როგორ გესახებათ მომავალში გერმანიის წარმომადგენლის მდგომარეობა საქართველოში? — ასე უპასუხეს:

— ფორმით ეს ჩვეულებრივი დიპლომატიური წარმომადგენლობა იქნება, არსებითად კი შეიძლება უახლოვდებოდეს ინგლისის რეზიდენტს დამოუკიდებელ ჰინდურ სახელმწიფოსთან.

**ჩემ მიერ დაფუძნებულ სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ისინი დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით დარწმუნდებიან, რომ ქართველი ხალხის ამ წარმატების თავიდათავი იყო სტალინი და მისი ქართველობა. აი, რატომ ეთმობა მთავარი ადგილი ჩემს ცენტრში სტალინის ფენომენის შესწავლას, სიამოვნებით გავაცნობ მათ სტალინის მოღვაწეობაზე ჩემ მიერ გამოცემულ ექვსტომეულს და ვურჩევ, იკითხონ გაზეთი «საქართველო და მსოფლიო» და ჩემი საავტორო გვერდი, რათა კარგად ჩასწვდნენ სიმართლეს, ვინაიდან სიმართლეა მთავარი, რომელიც ასე აკლია ახლანდელ დროებას**

გენერალი **კრეს ფონ კრესენშტაინი,** ფაქტობრივად, ასრულებდა რეზიდენტის მსგავს ქმედებას საქართველოში და დაუფარავად ერეოდა „დამოუკიდებელი საქართველოს“ საშინაო საქმეებში. მაგალითად, იგი ძალიან შეწუხებული იყო, გორის მაზრის მემამულეებმა რომ ვერ შეძლეს 1917 წლის ღალის აკრეფა, რისთვისაც გენერალმა ბრძანა, შეექმნათ კომისია შემდეგი შემადგენლობით: „ორი კაცი მემამულეებიდან, ორი მთავრობიდან და ერთი გერმანიიდან (თავმჯდომარე)“ და განესაზღვრათ, რამდენია ასაღები ღალა. შემდეგ „გერმანიის სპეციალურმა რაზმმა უნდა გაუწიოს დახმარება კომისიას ღალის აკრეფაში“.

გერმანელებმა ერთპიროვნულად დაიწყეს ჭიათურის მარგანეცის საბადოს მართვა, რომელზეც უნდა აშენებულიყო საქართველო-გერმანიის ურთიერთობა, რომლის მიხედვით საქართველო უუფლებო აქციონერი იქნებოდა. დაიდო კაბალური ხელშეკრულება, რომლის რატიფიკაციაც დღე-დღეზე უნდა მომხდარიყო. მარიამ ღვთისმშობლის „წილხვედრ“ ქვეყანას საბოლოო გაქრობა არ ეწერა და **1918 წელს პირველ მსოფლიო ომში კაიზერული გერმანიის დამარცხებამ და გერმანიაში პოლიტიკურმა გადატრიალებამ გერმანიას საქართველოდან ფეხი ამოაკვეთინა, მაგრამ მტერს რა გამოლევს?! იმავე დღეს გერმანია ინგლისმა ჩაანაცვლა და საქართველოში ინგლისის საოკუპაციო ჯარი შემოვიდა. ბრიტანეთის მთავარსარდალმა ამიერკავკასიაში, გენერალმა ჯორჯ მილნმა 1919 წლის 2 მარტს ოფიციალურად განაცხადა, — ინგლისის ჯარებმა ამიერკავკასიის ოკუპაცია შეძლესო. ინგლისელები სულ მალე იტალიელებმა ჩაანაცვლეს, იტალიელები — ფრანგებმა...**

საქართველოზე ოდითგანვე გადიოდა საქარავნო გზები და თბილისი ყოველთვის იყო ამიერკავკასიის ცენტრი. საქართველოს გავლით იმართებოდა და რეგულირდებოდა ვაჭრობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის ხალხები უმოწყალოდ ხოცავდნენ და ჟლეტდნენ ერთმანეთს, ეს ხელს არ უშლიდა დატვირთული აქლემების ქარავანს ტვირთების გადატანაში და არასოდეს ცარიელდებოდა თბილისის ქარვასლები უცხოელი ვაჭრებისგან.

1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ საქართველოში გამარჯვებულმა დროებითმა მენშევიკურმა მთავრობამ, სომხეთში — დაშნაკებმა, ხოლო აზერეიჯანში — მუსავატებმა კიდევ უფრო გაამძაფრეს და გააძლიერეს ურთიერთთავდასხმა და ხოცვაჟლეტა. საკავშირო მთავრობამ კავკასიაში და სხვა განაპირა მრავალეროვან რეგიონებში მართვის ორიგინალური მეთოდი შემოიღო: „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოების ფედერაციული მართვა.

ქართველ უკლონისტებს არ სურდათ ფედერაციის გავლით საბჭოთა კავშირში შესვლა. მათ სურდათ, ჰქონოდათ ზღვაზე გასასვლელი ბათუმისა და ფოთის პორტების სახით და რკინიგზის კვანძი თბილისში, ამ სატრანსპორტო კვანძების გარეშეც არ შეეძლოთ არსებობა ბაქოსა და ერევანს, ამიტომ უარყვეს ფედერაციაში გაერთიანება, კავშირი გაწყვიტეს რუსეთთან და პირი იბრუნეს ევროპისკენ.

**გერმანელების, ინგლისელების, იტალიელების, ფრანგებისა და სხვების მონაცვლეობით შემოსვლამ სამი წლის განმავლობაში სრულიად მოშალა საქართველოში როგორც ეკონომიკა, ისე სახელმწიფოს მართ-** ►

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გერმანელების, ინგლისელების, იტალიელების, ფრანგებისა და სხვების მონაცვლეობით შემოსვლამ სამი წლის განმავლობაში საქართველოში სრულიად მოშალა როგორც ეკონომიკა, ისე სახელმწიფოს მართვის ორგანოები, ოხრად დარჩა პორტები და სარკინიგზო კვანძები. საქართველო სრულ იზოლაციაში მოექცა. ბიუჯეტი თანდათან მცირდებოდა და დეფიციტი კატასტროფულად იზრდებოდა. არსაიდან იყო სესხის მიღების იმედი. 1920 წლის ოქტომბრის ეკონომიკურ თათბირზე ნოე ჟორდანიამ გამოაცხადა: „თუ აქამდე ჩვენ ვამბობდით, რომ მივექანებით კატასტროფისკენ, დღეს უკვე მივედით კატასტროფამდე“.**

**◀ვის ორგანოები. ოხრად დარჩა პორტები და სარკინიგზო კვანძები. საქართველო სრულ იზოლაციაში მოექცა. ბიუჯეტი თანდათან მცირდებოდა და დეფიციტი კატასტროფულად იზრდებოდა. არსაიდან იყო სესხის მიღების იმედი. 1920 წლის ოქტომბრის ეკონომიკურ თათბირზე ნოე ჟორდანიამ გამოაცხადა: „თუ აქამდე ჩვენ ვამბობდით, რომ მივექანებით კატასტროფისკენ, დღეს უკვე მივედით კატასტროფამდე“.**

თუ ქართულ ზღაპრებს გვერდზე გადავდებთ და **მარო მაყაშვილის** გმირობაზე არ ავაგებთ საქართველოს მომავალს, უნდა ვივარაუდოთ, რომ იმხანად ბოლშევიკების შემოსვლა კავკასიაში არამხოლოდ ხალხის, არამედ ტერიტორიის გადარჩენაც იყო კატასტროფისგან. სწრაფმა აღმავლობამ და რკინის ხელმა წესრიგი დაამყარა და სახელმწიფო დაადგა განვითარების სტრატეგიულ გზას, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი მტერი შეეცადა მისი განვითარების შეჩერებას.

სამწლიანი ნგრევის შემდეგ ათი წელიწადი დასჭირდა ქვეყანას, სისხლითა და ბრძოლით დალაგებულიყო და 1929 წელს დადგა დიადი გარდატეხის წელი. არამხოლოდ მზიურმა საქართველომ, არამედ დედამიწის 1/6-მა იხილა ბრძოლისა და შრომის ფონზე გიგანტური ნახტომი და გაპარტახებული რუსეთის იმპერია 1923-დან 1953 წლამდე ზესახელმწიფოდ იქცა.

**1953-დან 1991 წლამდე ქვეყანა ინერციით განაგრძობდა არათუ განვითარებასა და აღმშენებლობას, რამედ სუნთქვას და რეანიმაციის პირობებში იმყოფებოდა. 1991 წელს სოციალიზმის განადგურების შემდეგ გავიდა 30 წელი და ქვეყანა სრულ უძრაობასა და ქაოსში აღმოჩნდა. ოკეანეებში ერთმანეთს ეჯახებოდა ტვირთებითა და ადამიანებით სავსე ხომალდები, ჰაერში ნადგურდებოდა საჰაერო ლაინერები, ფეთქდებოდა ატომური ელექტროსადგურები, ჯარში ბარდებოდა ზესაიდუმლო წყალქვეშა ატომური ხომალდები, იყიდებოდა უძვირფასესი წიაღისეულის საბადოები, უკიდეგანო ხოდაბუნები, რასაც ადამიანთა სინდისიც ემატებოდა.**

ბოიკოტი გამოვუცხადეთ რუსეთიდან შემოსულ სხვადასხვა სასურსათო თუ სამრეწველო საქონელს. ათასობით ვაგონი დაუცლელი იდგა საქართველოს რკინიგზებზე, საწყობებიდან თუ საკოლმეურნეო მინდვრებიდან განუკითხავად ეზიდებოდნენ სახელმწიფო დოვლათს, დანადგარ მოწყობილობებს, საქონელს. 10 წელიწადია, შავ ბაზარზე იყიდება დაშლილი სსრ კავშირის შავი თუ ფერადი მეტალი, დაზგა-დანადგარები და სხვა მოწყობილობები.

**საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალებს ასცდა მილიონობით ტონა ტვირთის გადატანის მოვალეობა. სულ მალე ჩვენს საზღვაო პორტებს აღარ დაეკისრება საექსპორტო ტვირთების მომსახურება; საქართველო აღარ იქნება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დამაკავშირებელი დერეფანი. რუსეთმა, თურქეთმა, აზერბაიჯანმა და შავი ზღვის სხვა ქვეყნებმა, სხვადასხვა გზა გამონახეს სატრანსპორტო მიმოსვლისთვის. აღარავის სჭირდება აფხაზეთის რკინიგზის გახსნა, სხვა გზით შეიქნა შესაძლებელი ამ უზარმაზარი შემოსავლის წყაროს გამოყენება.რუსეთის დაკარგვით საქართველომ დაკარგა მაღალპროდუქტიული ძროხა, რომელიც საუკუნეები კვებავდა მცირე რესურსების მქონე საქართველოს.**


რუსთაველის პროსპექტი საბჭოთა საქართველოში


უპატრონოდ დარჩენილი სარკინიგზო გადასასვლელი 1990-იანებში

2020 წელს მსოფლიოში განვითარებული მწვავე პანდემიურ ფონზე არავისთვის საეჭვო არ არის ის გარემოება, რომ უახლოეს წლებში, პანდემიის დაძლევის პირობებშიც კი, მას აუცილებლად მოჰყვება სერიოზული ეკონომიკური კრიზისი, რომლის გადალახვა, შესაძლოა, უფრო რთული აღმოჩნდეს, ვიდრე თვით პანდემიის.

ამ ვითარებაში, რა თქმა უნდა, უფრო დაზარალდება ისეთი პატარა და მყიფე ეკონომიკის ქვეყნები, როგორიცაა საქართველო. არადა, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ პანდემიამდე მწვავედ იდგა ეკონომიკური პრობლემები, როგორიცაა:

*** უმუშევრობის მაღალი დონე;**

*** სიღარიბე;**

*** საშუალო ხელფასის დაბალი დონე;**

*** ჩრდილოვანი ეკონომიკის პრობლემები და მასთან დაკავშირებული კორუფციული ფონი;**

*** სოფლის მეურნეობის სექტორის განუვითარებულობა და მისი საკმაოდ დაბალი წილი მთლიან შიდა პროდუქტში;**

*** განათლების სისტემის წარმოჩენა და მცირე ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში;**

*** ჯანმრთელობის სისტემაში არსებული პრობლემები, რომლებიც ნათლად გამოჩნდა კოვიდთაან ბრძოლის დროს;**

*** საპენსიო უზრუნველყოფის დაბალი დონე და ხანდაზმული ადამიანების გაუსაძლის პირობებში ყოფნა;**

*** წლიდან წლამდე საქართველოდან მიგრაციის მაღალი ტემპები, განსაკუთრებით მთიანი რეგიონებიდან;**

*** ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში არავითარი პროგრესი, რაც ასევე მოითხოვს დევნილთათვის სერიოზული საბიუჯეტო ხარჯების მობილიზაციას.**

ამ სიის გაგრძელება, რა თქმა უნდა, კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ **ჩემი წერილის მიზანი, ეკონომიკური ანალიზი კი არა, იმაში გარკვევა უფროა, ასეთი მძიმე ეკონომიკური აწმყოთი და უფრო მძიმე მომავლით გვაქვს კი ჩვენ უფლება, კარგად არ გავაანალიზოთ, რას გვაძლევს რუსეთთან ასეთი მწვავე დაპირისპირება და კარგია ეს ჩვენი ქვეყნისთვის თუ ცუდი.** იქნებ ვინმემ ურჩიოს ანტირუსული რიტორიკის ავტორებს, საკმაოდ გაცვეთილი ლოზუნგი რომ შემორჩათ არსენალში, თავისუფლება თუ გინდათ, ქამრები შემოიჭირეთო, მივიდნენ ელიავას ბაზრობაზე და კარგად დააკვირდნენ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან ჩამოსულ, ერთ დროს ყველაფრით უზრუნველყოფილ თანამემამულეებს, და იქნებ შეამჩნიონ კიდეც, რომ მათ ქამრები, დიდი ხანია, ბოლო ნიშნულზე აქვთ შეკრული. ისინი ისე აღამ-ათენებენ, შეიძლება, ერთი ლუკმაც ვერ მიიტანონ ოჯახში, მაგრამ არ იზამენ ამას ჩვენი ე.წ. ლიბერალური, ახალგამოჩეკილი თაობის წარმომადგენლები, იმიტომ, რომ თვითონ არასდროს უფიქრიათ არც ქამრების შემოჭერაზე და არც თავიანთი, ყველაფრით უზრუნველყოფილი ცხოვრების დათმობაზე.

მხოლოდ პირადი კეთილდღეობისთვის უნდათ მათ პოლიტიკაც, ჟურნალისტიკაც და არასამთავრობო ორგანიზაციებიც. მრჩება შთაბეჭდილება, რომ, რაც უფრო მწვავე იქნება ანტირუსული რიტორიკა, მით მეტ ქულებს დააგროვებენ ისინი თავიანთი პოლიტკიური პატრონების წინაშე.

ყველას კარგად გვახსოვს, ბოლო წლებში საქმე იქამდე მივიდა, რომ საქართველოში ჩამოსულ რუს ტურისტებს რესტორანში შესვლისას იქ დამხვდურები უსვამდნენ კითხვას — გვითხარით, რუსეთი უკუპანტია თუ არაო? და თუ კითხვაზე პასუხს არ მიიღებდნენ, მაშინ არ მოემსახურებოდნენ; ან, საერთოდ, დიდი ასოებით იყო ეს ტექსტი შესასვლელთან გაკრული. საბოლოოდ, მივიღეთ (პანდემიაცაა ამაში, რა თქმა უნდა, დამნაშავე) დაცარიელებული საოჯახო სასტუმროები ქობულეთსა და მესტიაში, კახეთსა თუ ბათუმში და ათასობით სამაუშაოდაკარგული ადამიანი, რომელთა სასოწარკვეთას საზღვარი არ აქვს...

## დასკვნისთვის

მათ გასაგონად, ვისაც პოლიტიკაში ან ჩვეულებრივ ყოფაში თავი ვერ დაუღწევია შავ-თეთრი აზროვნებისგან და საკითხს მხოლოდ ასე უყურებს — კარგია თუ ცუდი რუსეთი? აი, პუტინის ბრალია ყველაფერი, თორემ ჩვენ არც აფხაზეთს დავკარგავდით და არც სამაჩაბლოს. ასე პრიმიტიულად მოაზროვნეთა გასაგონად მარტივი პასუხი არსებობს — **დიდ ქვეყნებს ყოველთვის ჰქონდათ და ექნებათ თავიანთი ინტერესები და ისინი ვერასოდეს ვერ იქნებიან ალტრუისტები. ვისაც ჰგონია, რომ პრობლემა პუტინშია, მას უნდა ახსოვდეს, რომ, სულ რაღაც, 3 ათეული წლის წინათ გვიწოდა ჩვენ მცირე იმპერია მსოფლიოში ისეთმა აღიარებულმა რუსმა ლიბერალმა, როგორიც იყო ანდრეი სახაროვი, ხოლო თანამედროვე რუსი ოპოზიციონერების — ნავალნისა და ნემცოვის (ღმერთმა ნათელში ამყოფოს) აზრები საქართველოზე, ვფიქრობ, პუტინის ქმედებებზე უფრო მკვეთრია, რადგან მათი ინტერესები მათ ქვეყანას ეხება.** ასე რომ, დასკვნისთვის შეიძლება შემოგთავაზოთ: ყველა ის რუსი პოლიტიკოსი და ჟურნალისტი, შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენელი თუ მეცნიერი, რომლებსაც ობიექტურობის (კიდევ კარგი, რომ ასეთები არსებობენ) ნიშანწყალი ეტყობათ, დიდი პატივით უნდა მივიღოთ; შევეცადოთ, გამოვიყენოთ სახალხო დიპლომატია თუ ოფიციალური არხები, რათა ბევრ შემთხვევაში ჩვენ მიერ გაუაზრებელი მოქმედებებით მიღებულმა შედეგმა უარეს მდგომარეობაში არ ჩაგვაყენოს.

აი, სწორედ ამას ემსახურებოდა ჩემ მიერ რუსი გავლენიანი ჟურნალისტის, **მაქსიმ შევჩენკოს,** მასპინძლობა და თქვენც **გირჩევთ, ეძებოთ, მოიწვიოთ, უმასპინძლოთ და აუხსნათ მათ, რა არის ჩვენი მიზნები ამ ახალ რეალობაში; ჩამოიბერტყეთ ზედმეტი ამბიციები და სწორად დავანახვოთ მათ ჩვენი საჭიროების აუცილებლობაც, მანამდე კი კვლავ განვაგრძობ XX საუკუნის კვლევას და ჩემს ცენტრში მომსვლელ ყველა დამთვალიერებელსა თუ დაინტერესებულ პირს ფაქტებით ავუხსნი, რომ სწორედ საქართველოსთვის იყო ეს პერიოდი ერთ-ერთი წარმატებული. სწორედ ამ ეპოქაში მიაღწია საქართველომ შედეგებს ეკონომიკაში, ლიტერატურაში, თეატრსა და კინოში თუ სპორტში.** მე კონკრეტული ფაქტებით დავარწმუნებ მნახველებს, როგორი საინჟინრო კადრები გამოიზარდა იმხანად რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასა და თბილისის საავიაციო ქარხანაში, რომ ჩვენი მეცნიერების — **ილია ვეკუასა** და **ნიკოლოზ მუსხელიშვილის, ელეფთერ ანდრონიკაშვილისა** თუ **ეგნატე ფიფიას** სახელები შორს იყო გაცდენილი საქართველოს საზღვრებს და მათ მსოფლიო აღიარებდა.

ავუხსნი იმასაც, ამ წლებში როგორ დავანგრიეთ მეცნიერების დიდი ტაძარი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და ჯეროვანი, ამ მხრივ, არაფერი გაგვიკეთებია. მომსვლელებისათვის მომზადებული მაქვს მასალები (რადგან ამ თაობამ მართლა არ იცის) საუკუნის ისეთი კორიფეების შემოქმედებაზე ქართულ ლიტერატურაში, როგორებიც იყვნენ **გალაკტიონი, ირაკლი აბაშიძე, გოგლა ლეონიძე, ოთარ ჭილაძე** და მრავალი სხვა. რათა კარგად იცოდნენ, რომ ქართველი მწერლობა არ არის **ლაშა ბუღაძე** და **ერეკლე დეისაძე.** მე დოკუმენტური ვიდეო თუ ფოტომასალების არქივზე დაყრდნობით ვაჩვენებ მათ ქართული თეატრის ისეთ გრანდებს, როგორებიც იყვნენ **აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სესილია თაყაიშვილი, ეროსი მანჯგალაძე** და მრავალი სხვა. მათ უნდა იცოდნენ ეს, რათა თეატრზე წარმოდგენა მხოლოდ დუტათი არ ჰქონდეთ. ასეა მხატვრობაშიც, ასეა მუსიკაშიც.

რაც მთავარია, **ჩემ მიერ დაფუძნებულ სამეცნიეროკვლევის ცენტრში ისინი დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით დარწმუნდებიან, რომ ქართველი ხალხის ამ წარმატების თავიდათავი იყო სტალინი და მისი ქართველობა. აი, რატომ ეთმობა მთავარი ადგილი ჩემს ცენტრში სტალინის ფენომენის შესწავლას, სიამოვნებით გავაცნობ მათ სტალინის მოღვაწეობაზე ჩემ მიერ გამოცემულ ექვსტომეულს და ვურჩევ, იკითხონ გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ და ჩემი საავტორო გვერდი, რათა კარგად ჩასწვდნენ სიმართლეს, ვინაიდან სიმართლეა მთავარი, რომელიც ასე აკლია ახლანდელ დროებას.**




## ყურადღება!

„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

შორს დოლარისგან
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დონალდ ტრამპის ინიციატივებმა ევროს როლის გაძლიერებასა და დოლარზე დამოკიდებულების შემცირებაზე საუბრის განახლების საბაბი გააჩინა. ამერიკის ხელისუფლება ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში განსაკუთრებით ფართოდ იყენებდა სანქციებს, რომლებსაც ილებდნენ ცალმხრივად, ევროპასთან კონსულტაციების გარეშე.**

# ევროკავშირმა დოლარის უღლისგან გათავისუფლება გადაწყვიტა

**ევროკავშირს განზრახული აქვს, შეამციროს დოლარის მიმართ დამოკიდებულება. შესაბამისი გეგმა უკვე გაჩნდა ევროკომისიაში და რამდენიმე დღეში დაამტკიცებენ კიდეც.**



ევროპელები ძალიან უკმაყოფილონი არიან ვაშინგტონის მხრიდან სხვადასხვა ქვეყნისთვის დაწესებული ცალმხრივი სანქციებითა და თავიანთი ფინანსური სისტემის დაბალი მედეგობით დოლართან დაკავშირებული რისკების მიმართ. ამ პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილი **დონალდ ტრამპის** პრეზიდენტობის პერიოდში წარმოიქმნა, მაგრამ დოკუმენტი **ბაიდენის** გაპრეზიდენტებამდე რამდენიმე დღით ადრე შეიმუშავეს, რაც მიუთითებს ევროკავშირის ლიდერების შორსმიმავალ განზრახვაზე, რომელსაც საერთო არაფერი აქვს პოლიტიკურ კონიუნქტურასთან.

საფინანსო სამყაროში აშშ-ის დომინანტი მდგომარეობით გამოწვეული უკმაყოფილება, ევროპის ქვეყნებში 50 წელზე მეტია, არსებობს. საკმარისია, გავიხსენოთ საფრანგეთის პრეზიდენტ **შარლ დე გოლის** 1960-იანი წლების ოპერაცია, როცა ქვეყნის სარეზერვო ფონდის დოლარების დიდი ნაწილი ოქროზე გადაცვალა. საფრანგეთის მომავალმა პრეზიდენტმა **ვალერი ჟისკარ დ'ესტენმა** ასე განსაზღვრა დოლარის, როგორც მსოფლიო სარეზერვო ვალუტის, სტატუსი და აშშ-ის შესაძლებლობები, დააფინანსოს თავისი ეკონომიკა ამ სტატუსის მეშვეობით — „განუზომელი პრივილეგია“.

2000-იანი წლების ბოლოს მსოფლიოში გამეფებული ფინანსური კრიზისის პერიოდში გერმანიის კანცლერმა **ანგელა მერკელმა** „ანგლოსაქსონური“ სისტემა არასტაბილურობისა და არამდგრადობის შექმნაში დაადანაშაულა, მაგრამ ამის შემდეგ ევროპაში კრიზისი დაიწყო და ამერიკისგან განცალკევების აუცილებლობაზე საუბრები ნელნელა ჩაცხრა.

## ნორმალიზაციის შანსის გარეშე

ევროს როლის გაძლიერებასა და დოლარზე დამოკიდებულების შემცირებაზე საუბრის განახლების საბაბი გააჩინა დონალდ ტრამპის ინიციატივებმა. ამერიკის ხელისუფლება ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში განსაკუთრებით ფართოდ იყენებდა სანქციებს, რომლებსაც ილებდნენ ცალმხრივად, ევროპასთან კონსულტაციების გარეშე. ამ მხრივ **განსაკუთრებით გამოსარჩევია 2018 წლის სანქციები ირანის წინააღმდეგ, რომლებითაც ევროპულ კომპანიებს აეკრძალათ ბიზნესის წარმოება ისლამურ რესპუბლიკასთან წინააღმდეგ შემთხვევაში თეირანის კონტრაქტორები დაკარგავდნენ წვდომას ამერიკულ ბაზართან. და, რადგან ევროკავშირსა და აშშ-ს შორის საქონელბრუნვა 45-ჯერ აღემატება ევროკავშირსა და ირანს შორის საქონელბრუნვას,** ამ საკითხში ევროპელებს არჩევანის შანსი არ ჰქონიათ.

პრობლემის მოსაგვარებლად მოუწიათ, შეექმნათ „მექანიზმი სპეციალური ამოცანებისთვის“, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ანგარიშსწორება ირანთან სანქციების რეჟიმის გვერდის ავლით, მაგრამ ამის რეალიზება უკიდურესად რთული აღმოჩნდა. ვითარება გამწვავდა **ჩინეთთანაც,** როცა სავაჭრო ომი დაიწყო მსოფლიოში ორ უდიდეს ეკონომიკას შორის. ეს ეკონომიკები დიდად არიან დამოკიდებულნი ევროპაზე. კონფლიქტი დაიწყო Huawei-ს საკითხით, ორი კვირის წინათ კი ნიუ-იორკის ბირჟამ დელისტინგი (საფონდო ბირჟაზე კოტირების ფასიანი ქაღალდების აკრძალვა — გ.გ.) განახორციელა სამი ჩინური ფირმის მიმართ. მას დაემატა ისიც, რომ მობილური ტელეფონების მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი მწარმოებელი, ჩინური Xiaomi შავ სიაში შეიყვანეს. საფრთხის ქვეშ აღმოჩნდნენ, აგრეთვე, ისეთი კორპორაციები როგორებიც არიან Alibaba და Tencent-ი. **ეს ყველაფერი ძალიან ართულებს ევროპის ქვეყნების საინვესტიციო და სხვა ურთიერთობებს ჩინეთთან, არადა, ამ ქვეყნების უმრავლესობისთვის ჩინეთი მთავარი სავაჭრო პარტნიორია კონტინენტის ფარგლებს გარეთ.** „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმაც საკმაოდ დააზარალა ევროპული ბიზნესი, უწინარესად, გერმანული.

**ევროპელები ძალიან უკმაყოფილონი არიან ვაშინგტონის მხრიდან სხვადასხვა ქვეყნისთვის დაწესებული ცალმხრივი სანქციებითა და თავიანთი ფინანსური სისტემის დაბალი მედეგობით დოლართან დაკავშირებული რისკების მიმართ. ამ პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილი დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში წარმოიქმნა, მაგრამ დოკუმენტი ბაიდენის გაპრეზიდენტებამდე რამდენიმე დღით ადრე შეიმუშავეს, რაც მიუთითებს ევროკავშირის ლიდერების შორსმიმავალ განზრახვაზე, რომელსაც საერთო არაფერი აქვს პოლიტიკურ კონიუნქტურასთან**



აშშ-ის ახალი ადმინისტრაციისგან ბევრი ელოდება მეგობრული ნაბიჯების გადადგმას, მაგრამ ეს მოლოდინი შეიძლება არ გამართლდეს — დაპირისპირების მიუხედავად, დემოკრატები და რესპუბლიკელები ანტიჩინურ პოზიციებზე დგანან. ამასთანავე, ლოზუნგი „ამერიკა, პირველ რიგში“ შეიცვლება ლოზუნგით „იყიდე ამერიკული“, რომელიც წინა პლანზე იყო ობამას ადმინისტრაციაში, ამიტომ ვარაუდი, რომ ვაშინგტონი უცებ უარს იტყვის დოლარის „განუზომელ პრივილეგიებზე“, გულუბრყვილობაა. და, სახელდობრ, ამიტომ არ გადაუხვიეს ევროპელებმა თავიანთი ფინანსური ავტონომიის გეგმიდან.

## ბარელი ევროზე

ევროპელებს მიაჩნიათ, რომ „გლობალური ფინანსური ბაზრები ძალიან არიან დამოკიდებულნი დოლარზე“, როგორც სტაბილურობის შემანარჩუნებელ ვალუტაზე, არადა, უფრო ძლიერი და გლობალური არის ევრო, რომელმაც „უნდა დაიცვას ეკონომიკა, საგარეო ეკონომიკური შოკებისგან და შეამციროს დამოკიდებულება სხვა ვალუტებზე“.

როგორ აპირებს ევროკავშირი ამ მიზნებამდე მიღწევას? უწინარესად, უნდა გააკეთოს ისე, რომ **ყველა კონტრაქტი მოწოდებაზე, მაგალითად, ნედლეულზე, გაფორმდეს ევროში. იგეგმება ფინანსური ორიენტირების მარეგულირებელი ნორმების გადახედვა. აქ მნიშვნელოვანია ნავთობის როლი — ყველა ძირითადი მარკა ამჟამად დოლარშია შეფასებული, რაც მას ეხმარება, მთავარი ვალუტა იყოს ანგარიშსწორებისას.** ევროკომისიაში იმედოვნებენ, რომ მალე განავითარებენ ბუნებრივი აირისა და წყალბადის ბაზრებს (მაგალითად, ამსტერდამში). ვაჭრობაში სწორედ ამ საქონელზე უნდა განმტკიცდეს ევროს როლი. ამას გარდა, რეგულატორებმა შეიძლება მიიღონ **უცხოური კომპანიების მიერ ევროპულის გადაყლაპვის ბლოკირების უფლება, თუკი ევროპული კომპანიები სანქციების გამო ამ საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან.** გარიგება დაიბლოკება ეროვნული უსაფრთხოების საფუძველზე. დასასრულ, **იგეგმება ევროპის დამოკიდებულების შემცირება უცხოური (ძირითადად, ამერიკული) საინვესტიციო ბანკების მიმართ,** რომლებიც სახიფათოა იმით, რომ ფინანსური კრიზისის პირობებში შეუძლიათ, სწრაფად გაიტანონ ფული ევროკავშირიდან.

## ნაბიჯები ავტონომიისკენ

ევროპელთა გეგმა უკვე მეორე ნაბიჯია ერთი თვის განმავლობაში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ევროკავშირი მართლა მიისწრაფვის ფინანსური დამოუკიდებლობისკენ. **ახალი წლის წინა დღეებში ბრიუსელმა და პეკინმა გააფორმეს ბოლო წლებში ყველაზე დიდი საინვესტიციო შეთანხმება, რომელიც ძალიან სარფიანია ევროპის ქვეყნებისთვის.** ჩინეთი თავის ბაზარზე შესვლის პროცესში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ევროკავშირის ამ კამპანიებს, რომლებიც მას საჭირო ტექნოლოგიებს გადასცემს. თავის მხრივ, ევროპელები ადასტურებენ საინვესტიციო გარანტიებს იმ ჩინური კომპანიებისთვის, რომლებიც უკვე მუშაობენ კონტინენტზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როცა მსოფლიოში მძაფრდება „უსამართლო კონკურენციასთა“ ბრძოლა. ამას გარდა, **ჩინელები მიიღებენ უფლებას, შევიდნენ ევროპის ე.წ. განახლებადი ენერგეტიკის ბაზარზე. ამ სფეროში ორი დიდი მოთამაშე ერთმანეთთან პაქტს აფორმებს და აშშ-ს, ასე ვთქვათ, ბორტს მიღმა ტოვებს.** შესაბამისად, **მოძრაობა „შორს დოლარისგან“ ძალას იკრებს.** იმის გათვალისწინებით, რომ ბაიდენის ადმინისტრაციას ეკონომიკის მხარდაჭერის გრანდიოზული გეგმა აქვს, ეს პროცესი 2021 წელსაც გაგრძელდება, და **ამ გეგმის სარელიზაციოდ ამუშავდება ფულის საბეჭდი დაზგა. შედეგად, მიმოქცევაში ჩაუშვებენ ტრილიონობით ახალ დოლარს. ეს არა მხოლოდ შექმნის რისკებს დოლარის კურსისთვის და საერთო სტაბილურობისთვის, არამედ შეამცირებს უცხოური მწარმოებლების კონკურენტუნარიანობას — უწინარესად, ევროპული კომპანიების.** ამ ვითარებაში კი ევროს როლის გაფართოება-გაძლიერებისკენ სწრაფვა ლოგიკური პასუხია.

**ბაიდენის ადმინისტრაციას ეკონომიკის მხარდაჭერის გრანდიოზული გეგმა აქვს, ეს პროცესი 2021 წელსაც გაგრძელდება და ამ გეგმის სარეალიზაციოდ ამუშავდება ფულის საბეჭდი დაზგა. შედეგად, მიმოქცევაში ჩაუშვებენ ტრილიონობით ახალ დოლარს. ეს არა მხოლოდ შექმნის რისკებს დოლარის კურსისთვის და საერთო სტაბილურობისთვის, არამედ შეამცირებს უცხოური მწარმოებლების კონკურენტუნარიანობას — უწინარესად, ევროპული კომპანიების. ამ ვითარებაში კი ევროს როლის გაფართოება-გაძლიერებისკენ სწრაფვა ლოგიკური პასუხია**

**iz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

რუსული „ცისფერი“ წყალბადის სასარგებლოდ მიუთითებს საწვავის ტრანსპორტირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ამისთვის გამოდგება არსებული მილსადენები. და, თუ მოთხოვნა იქნება, შეიძლება სხვა მილსადენების მოდერნიზებაც. რუსეთის კიდევ ერთი უპირატესობაა ქვეყანაში ბევრი ატომური ელექტროსადგურის არსებობა, რომელთა მიერ გამომუშავებული ენერგიიდან შეიძლება წყალბადის კიდევ ერთი სახეობის მიღება — „ყვითელი“ წყალბადის.

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბუნებრივი აირიდან მომავლის საწვავზე

## რუსეთი წყალბადის საწვავის ბაზარზე ლიდერობას უმიზნებს

**რუსეთს შეუძლია, სუფთა ენერგიის წყაროს, წყალბადის, მწარმოებელ და ექსპორტიორ უდიდეს ქვეყნად იქცეს მსოფლიოში, — დარწმუნებულია სამხრეთ კორეელი მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი რაე კვონ ჩუნგი. რას ეფუძნება მისი პროგნოზი და რა ხდება დღეს წყალბადის საწვავის ბაზარზე?**

„მსოფლიო ცდილობს, შეამციროს ნახშირწყალბადით ატმოსფეროს დაბინძურება, უარი თქვას ნახშირწყალბადის გამოყენებაზე და ეკოლოგიურად სუფთა საწვავი მოიძიოს. ამ პირობებში რუსეთს აქვს პოტენციალი, წყალბადის უმნიშვნელოვანეს ექსპორტიორად იქცეს“, — განაცხადა რუსეთში გამართულ ყოველწლიურ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ ფორუმზე მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატმა, პრემია „გლობალური ენერგიის“ მიმნიჭებელი საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე **რაე კვონ ჩუნგმა** და დასძინა, რომ ამ საკითხის ტექნიკური მიმართულების მოსაგვარებლად რუსეთს დასჭირდება სამხრეთ კორეისა და ევროკავშირის დახმარება, რომლებმაც უნდა აიღონ ვალდებულება, რომ რუსეთში წარმოებულ წყალბადს შეისყიდიან“.

როგორც ექსპერტმა აღნიშნა, **„ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვების ნულამდე შემცირება ქვეყნებისთვის იქნება ახალი დარგის შექმნისა და ნახშირწყალბადისგან ნეიტრალური ეკონომიკის განვითარების სტიმული“.**

წყალბადის წვის შედეგად არ გამოიყოფა $CO_2$, ამიტომ ის ნახშირწყალბადის სათბობის პირდაპირი ალტერნატივაა.

„რუსეთს წყალბადის საწვავის წარმოების საქმეში კონკურენტებზე აშკარა უპირატესობა აქვს“, — დარწმუნებულია რუსეთის ეროვნული ენერგეტიკული უსაფრთხოების ფონდის წამყვანი ექსპერტი **იგორ იუშკოვი.** მისი თქმით, წყალბადის მიღება შეიძლება მეთანისგან. წყალბადის ამ სახეობას „ცისფერს“ უწოდებენ. ის ხარისხით ჩამორჩება „მწვანე“ წყალბადს, რომელიც წყლის ელექტროლიზისა და განახლების უნარის მქონე ენერგიის წყაროს დახმარებით მიიღება. თუმცა „ცისფერი“ წყალბადის დამზადება დღეს გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე „მწვანე“ წყალბადის.

**რუსული „ცისფერი“ წყალბადის სასარგებლოდ მიუთითებს საწვავის ტრანსპორტირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ამისთვის გამოდგება არსებული მილსადენები. და, თუ მოთხოვნა იქნება, შეიძლება სხვა მილსადენების მოდერნიზებაც. რუსეთის კიდევ ერთი უპირატესობაა ქვეყანაში ბევრი ატომური ელექტროსადგურის არსებობა, რომელთა მიერ გამომუშავებული ენერგიიდან შეიძლება წყალბადის კიდევ ერთი სახეობის მიღება — „ყვითელი“ წყალბადის.**



წყალბადის საწვავზე მომუშავე ავტომობილი

„ასეთი წყალბადიც სასურველია ევროპისთვის, თანაც ატომური ელექტროსადგურები თითქმის არ გამოყოფენ ისეთ აირებს, რომლებიც სათბურის ეფექტს ქმნის. ასე რომ, რუსეთს შეუძლია სხვადასხვანაირი წყალბადის წარმოება და ექსპორტი“, — განაცხადა იუშკოვმა.

წყალბადის ბაზრის პოტენციურ მონაწილეთა შორის ექსპერტები ასახელებენ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს — **ყატარსა** და **საუდის არაბეთს,** აფრიკის სტაბილურ ქვეყნებს, რომლებშიც „მზის ბატარეის პანელებს ჩაქუჩებით არ დალეწავენ“, მაგრამ ამ ქვეყნებში შეიძლება რესურსები არ შეესაბამებოდეს ტექნოლოგიებს. მათ სჭირდებათ ინვესტიციები, წარმოების აწყობა და ამის შემდეგ წყალბადის გატანა ბაზარზე.

„თვითონ ევროკავშირისთვის გაცილებით მომგებიანი იქნება წყალბადის წარმოების აწყობა თავის საზღვრებში და შემდეგ გაყიდვა“, — ამბობენ ექსპერტები. ახლო მომავალში რუსეთი ევროპაში „ცისფერი“ და „მწვანე“ წყალბადის ტრანსპორტირებისთვის გამოიყენებს „ჩრდილოეთის ნაკადი-1“-სა და „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ს, აგრეთვე, ამ მიზნით ააშენებს „ჩრდილოეთის ნაკადი-3“-ს.

აღსანიშნავია, რომ **უკვე 2050 წლისთვის ევროპა აპირებს, მთლიანად გადავიდეს „მწვანე“ წყალბადზე. ამასთანავე, ევროკავშირს სურს, ყოველწლიურად გაყიდოს 630 მლრდ ევროს წყალბადი და შექმნას 1 მლნ სამუშაო ადგილი.**

ამჟამად წყალბადის ძირითად ნაწილს, დაახლოებით 75%-ს, აწარმოებენ ბუნებრივი აირისგან. ამ მიზნით გამოყენებულია 205 მლრდ კუბური მეტრი. **რუსეთში წარმოებული წყალბადის საერთო ოდენობა ამჟამად 5 მლნ ტონას არ აღემატება (მსოფლიოში სულ 72 მლნ ტონას იყენებენ), მაგრამ 30 წლის შემდეგ ეს რაოდენობა 5-ჯერ მოიმატებს. უკვე 2024 წლისთვის რუსეთი დაიწყებს 0,2 მლნ ტონა წყალბადის ექსპორტს, 2055 წელს კი ექსპორტი 2 მლნ ტონას მიაღწევს.**

საუდის არაბეთს უკვე აქვს რეალიზებული პროექტი, რომლის მიხედვითაც აწარმოებს „ცისფერ“ წყალბადს და გააქვთ აზიის ქვეყნებში. ამასთანავე, ხორციელდება პროექტები სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ 2050 წლისთვის წყალბადის წარმოების მხრივ ლიდერობა აშშ-ს სურს, მაგრამ რუსეთი ბაზრის და, შესაბამისად, ლიდერობის დათმობას არ აპირებს.

**რუსეთმა უკვე დაიწყო წყალბადის გამოყენება მრეწველობის რამდენიმე სფეროში. კომპანია „ნოვატეკი“ თავის ერთ-ერთ ტურბინას წყალბადზე ამუშავებს, „როსატომი“ და რუსეთის რკინიგზა ერთობლივად ახორციელებენ მატარებლისთვის წყალბადზე მომუშავე ძრავების შექმნის პროექტს,** მაგრამ რუსეთს „მწვანე“ წყალბადის წარმოების ტექნოლოგია სჭირდება და, ალბათ, ამის შესაძენად საკმაო თანხის გადახდა მოუწევს.




**რუსეთმა უკვე დაიწყო წყალბადის გამოყენება მრეწველობის რამდენიმე სფეროში. კომპანია «ნოვატეკი» თავის ერთ-ერთ ტურბინას წყალბადზე ამუშავებს, «როსატომი» და რუსეთის რკინიგზა ერთობლივად ახორციელებენ მატარებლებისთვის წყალბადზე მომუშავე ძრავების შექმნის პროექტს... 2024 წლისთვის რუსეთი დაიწყებს 0,2 მლნ ტონა წყალბადის ექსპორტს, 2055 წელს კი ექსპორტი 2 მლნ ტონას მიაღწევს**

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

# არგენტინის პრეზიდენტი რუსული ვაქცინით აიცრა

**არგენტინის პრეზიდენტი ალბერტო ფერნანდესი პირველი აიცრა რუსული ვაქცინა „სპუტნიკ V“-ის კომპონენტით, რომელიც დაამზადეს გამალეიას ცენტრში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მონაწილეობით, — იუწყება არგენტინის პრეზიდენტის პრესსამსახური.**



„პრეზიდენტმა **ალბერტო ფერნანდესმა** ვაქცინა „სპუტნიკ V“-ის პირველი დოზა მიიღო“, — ნათქვამია არგენტინის ლიდერის პრესსამსახურის განცხადებაში.

მედიკამენტების კონტროლის არგენტინის ეროვნულმა სასამართლომ რამდენიმე დღის წინათ დაასრულა რუსული ვაქცინის შემოწმება. შედეგად დადგინდა, რომ ვაქცინა „სპუტნიკ V“ ეფექტიანი და უსაფრთხოა 60 წელს გადაცილებული ადამიანებისთვისაც.

**tvzvezda.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

# ბერნი სანდერსმა ამერიკელ დემოკრატებს კრახი უწინასწარმეტყველა

**„შუალედური არჩევნები კონგრესში აშშ-ის დემოკრატიული პარტიისთვის შეიძლება ძალიან ცუდად დასრულდეს, თუ გადამწყვეტ ზომებს არ გაატარებს ქვეყანაში ვითარების ნორმალიზებისთვის, — განაცხადა პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა ბერნი სანდერსმა. — არჩევნები 2022 წელს უნდა გაიმართოს და დემოკრატებმა შეიძლება ადგილები დაკარგონ პარლამენტში“, — დარწმუნებულია პოლიტიკოსი.**



„ჩვენზე იმსჯელებენ იქიდან გამომდინარე, რას მივცემთ ამერიკელ ხალხს რთულ პერიოდში. ადამიანებს სურთ, ქმედებები და არა თავის მართლება. და, ნება მომეცით, გულწრფელი ვიყო: ეჭვი არ მეპარება, რომ, თუ ამ წელს ვერ გავაუმჯობესებთ ამერიკელი ხალხის ცხოვრებას, დემოკრატები განადგურდებიან 2022 წლის შუალედურ არჩევნებზე“ — განაცხადა ბერნი სანდერსმა.

**News-Front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ის ტელერეპორტაჟები, რომლებითაც ქართულმა უღირსმა ტელევიზიებმა ეს თავისმომჭრელი ინფორმაცია გაავრცელეს, ხომ ყველა კავკასიელმა ერმა ნახა?! ამის შემდეგ რა წარმოდგენა შეექმნებოდათ ქართველთა ღირსებაზე ჩერქეზებსა და ინგუშებს, ჩეჩნებსა და დაღესტნელებს, უფრო კი ოსებს, რომლებმაც საკუთარი თვალით იხილეს კაცობის, ღირსების დაცემა? შარვალ-ნიფხავჩახდილს რომელი ღირსეული კაცი დაგელაპარაკება, როგორც თანასწორს?!**

# ბაძვით მორცხვის გაურცხვდება!

# სირცხვილია სირცხვილი?!

**წერილის სათაური, მართალია, ბრჭყალებში არ ჩავსვი, მაგრამ ცხადია, მკითხველი მიხვდა, რომ იგი დავით გურამიშვილს დავესესხე: „უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძვით მორცხვიც გაურცხვდების!“ გურამიშვილის პერიოდში ურცხვი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე მორცხვი. დღეს კი მორცხვები უმცირესობაში არიან და სწორედ ამ უმცირესობას უნდა მხარდაჭერა და გაფრთხილება, რადგან, თუ კაცობრიობა იარსებებს, მომავალი იმ უმცირესობისაა, რომელმაც სირცხვილი იცის და არასოდეს იტყვის: მე არაფრის მრცხვენიაო. ადამიანია და იმიტომ.**


შიშველი უკანალების აქცია

## ხელისუფლებამ შარვალ-ნიფხავჩახდილების ე.წ. პარტია საპარლამენტო არჩევნების რეგისტრაციაში რომ გაატარა, რით განსხვავდება იგი იმ ნიფხავჩახდილებისგან? ანდა ის ადამიანები, რომლებმაც ხმა მისცეს ამ უსირცხვილოებს, განა მათნაირები არ არიან? არიან და უფრო უარესებიც კი!

სირცხვილი მხოლოდ ადამიანის თვისებაა. შიში და სიმშვიდე, სიყვარული და სიძულვილი, სიხარული და მრისხანება, ერთგულება და მტრობა ცხოველმაც იცის, მაგრამ სირცხვილი არ იცის ცხოველმა. ცხოველია და იმიტომ.

სირცხვილი ზნეობრიობის გამოვლენაა და, რამდენადაც მყარია ზნეობრივი ფენომენი სუბიექტში, იმდენად ძლიერია სირცხვილის გრძნობა და სინდისის მარეგულირებელი ძალა, რომლებიც ადამიანს, შემეცნების უნართან ერთად, სოციალურ არსებად აქცევს.

**კაცობრიობის დიდმა ნაწილმა, სამწუხაროდ, დაივიწყა ეს ათადან და ბაბადან ყველასთვის ცნობილი და შეუვალი ჭეშმარიტება და დღეს ე.წ. წამყვან, ანუ მოწინავე ქვეყნებში გაბატონებულმა ნეოლიბერალურმა იდეოლოგიამ სირცხვილის არსებობა ადამიანურ სისუსტედ გამოაცხადა, ანუ სირცხვილი სირცხვილად და თავისმოჭრად, ჩამორჩენილობად და წარსულის გადმონაშთად ჩათვალა.**

სხვათა შორის, ეს „არახალია“. 1918 წელს, რუსეთის რევოლუციიდან სულ მალე, ტროცკისტებმა წამოაყენეს ზნეობის წამლეკავი ლოზუნგი „ძირს სირცხვილი!“ („Далой стыд!“), რომელსაც დიდი ენთუზიაზმით დაუჭირა მხარი **ლენინმა.** საბედნიეროდ, ეს ლოზუნგი მალე ჩაკვდა, რადგან იმდროინდელ რევოლუციურ ბელადთა შორის იყო ერთი, უმნიშვნელო თანამდებობის, მაგრამ მტკიცე ზნეობისა და გენიალური გონების კაცი, რომელმაც ლახვარი ჩასცა არა მხოლოდ ამ სატანურ მოწოდებას, არამედ მის შემოქმედებსაც. შედეგად, მსოფლიოს ერთ მეექვსედზე გადარჩა ზნეობრიობა, ანუ ადამიანი.

ის კაცი ღმერთი არ იყო, მოკვდავი გახლდათ, სატანა კი ჯერჯერობით უკვდავია და, ვინც ღმერთს დაშორდება, ის უთუოდ სატანის ხელში აღმოჩნდება. ასეც მოხდა. ის ქვეყნები, რომლებშიც ულმერთობა პოლიტიკის საჭესთან იდგა, სატანის ხელში აღმოჩნდნენ. ეს რომელი ქვეყნები და რეგიონებია, ამის გამოცნობას დიდი ჭკუა და გეოგრაფიის **ჯენიფერ ფსაკისებური** „ცოდნა“ არ სჭირდება. ეს იყო პოსტსტალინური საბჭოთა კავშირი, ევროპა, რომლეშიც XX საუკუნის დასაწყისში ტაშით მიიღეს „ცნობა“ ღმერთის გარდაცვალების შესახებ და ამერიკის შეერთებული შტატები, რომელშიც თავიდანვე მამონას ეთაყვანებოდნენ ამერიკის აღმომჩენი ქვეყნების წარმომადგენელი „კულტურტრეგერები“ და „ველურების“ კოლტით მომჭკვიანებლები.

მეცნიერებაში სადავოდ არავის გაუხდია ის, რომ ნებისმიერ მიზეზს აუცილებლად მოჰყვება შედეგი. ჰოდა, ადამიანის, ერისა თუ სახელმწიფოს მოქმედება თუ უმოქმედობა ხომ რეალური ფაქტია, რომელსაც, ცხადია, შედეგი უნდა მოჰყვეს. რა თქმა უნდა, ფიზიკურ მოქმედებას მოდევნებული შედეგი თვალსაჩინო და ყველასთვის საცნაურია, ხოლო ზნეობრივ სფეროში განხორციელებული მოქმედებისა (თუ უმოქმედობის) შედეგი აგრერიგად მყისიერი და თვალსაჩინო როდია.

შემეცნების ღვთიური უნარი და თავისუფალი არჩევანის უფლება ადამიანმა, სამწუხაროდ, სწორად ვერ გაიგო. ეს ჩემი დასკვნა კი არ არის, კაცობრიობის დიდ მოაზროვნეთა (კანტი, ჰეგელი, სარტრი, შპენგლერი და ბევრი სხვა უფრო შორეულ თუ უახლოეს წარსულში) ნაფიქრალია.

**შემეცნების უნარი რომ მოგვენიჭა, იქვე ზნეობრივი მცნებაც მოგვეცა: „შეიცან თავი შენი“-ო. შენი თავი თუ შეიცანი, მთელი სამყაროც შეცნობილი გექნება (შტაინერი), ხოლო თავისუფალი არჩევანი გულისხმობს არჩევანს კეთილსა და ბოროტს შორის, რასაც, აგრეთვე, მოჰყვება უმაღლესი გონისმიერი მცნება: სიკეთე ღვთიურია, ბოროტება — სატანური. სატანა კი ბოლოს აუცილებლად ცეცხლსა და გეენაში დაინთქმება.**

დიდად სამწუხაროა, რომ კაცობრიობის ერთი ნაწილი, კარგა ხანია, ასცდა სიკეთის გზას და ღვთიური მცნებების საწინააღმდეგო გზას დაადგა. საამისო მაგალითებს შეგიძლიათ რეგულარულად გაეცნოთ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ფურცლებზე ცნობილი ქართველი პუბლიცისტების წერილებსა და სხვა ინფორმაციებში, ამიტომ აქ მათ აღარ გავიმეორებ. მხოლოდ **ვეცდები, თქვენი ყურადღება გავამახვილო ჩვენში თითქმის საყოველთაოდ ქცეულ უსირცხვილობაზე, რომლის გამოც, ალბათ, ღვთის რისხვას ვიმსახურებთ. ამის მაგალითები ბევრია ჩვენს თავსდამტყდარი უბედურებების სახით.**

უსირცხვილობის მაგალითები იმ ადამიანების საქციელიდან უნდა მოვიტანო, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ამბიონზე დგანან და ხალხი უცქერის და უსმენს მათ ნამოქმედარსა და ნათქვამს, მაგრამ მეტწილად უმეტესობა ჭეშმარიტად ვერც რას ხედავს და ვერც რას ისმენს, რადგან ღვთის ხელი აკლიათ და სატანისგან არიან გაბრუებულები.

**ახლა უსირცხვილობისა და თავზე ლაფის დასხმის ის მაგალითი უნდა გავახსენო მკითხველს, რომელიც ერთ-ერთი ე.წ. პარტიის აქტივისტებმა უჩვენეს ქვეყანას: ამ უჯიშოებმა შარვალ-ნიფხვები ჩაიხადეს და წაკუზულებმა შიშველი უკანალები მიუშვირეს ცხინვალის სეპარატისტული რეგიონის სასაზღვრო მავთულხლართებს იქით მდგომ მესაზღვრეებსა და სხვებს. ეს უბედურები ისე იდგნენ, როგორც ატეხილი ძროხები დგანან ხოლმე აღგზნებული ბუღების მოლოდინში.**

ეს რომ ვნახე, ღმერთო მაპატიე, ვინატრე: ნეტავი ქართველი არ ვიყო-მეთქი. მერე, სირცხვილისაგან გაოგნებული, გონზე რომ მოვედი, გული გავიმაგრე: მე კი არა, ეგენი არ არიან ქართველები-მეთქი, მაგრამ მთელ დუნიას როგორ ავუხსნიდი ამას? არადა, **ის ტელერეპორტაჟები, რომლებითაც ეს თავისმომჭრელი ინფორმაცია გაავრცელეს ქართულმა უღირსმა ტელევიზიებმა, ხომ ყველა კავკასიელმა ერმა ნახა?! ამის შემდეგ რა წარმოდგენა შეექმნებოდათ ქართველთა ღირსებაზე ჩერქეზებსა და ინგუშებს, ჩეჩნებსა და დაღესტნელებს, უფრო კი ოსებს, რომლებმაც საკუთარი თვალით იხილეს კაცობის, ღირსების დაცემა? შარვალ-ნიფხავჩახდილს რომელი ღირსეული კაცი დაგელაპარაკება, როგორც თანასწორს?**

ახლა, შეიძლება მითხრას ვინმემ: რა იყო, შე კაცო, ყველა ხალხს ჰყავს რამდენიმე ათეული ან ასეული სულელი, უსირცხვილო და უღირსებო კაცი (პრინციპში, ეს ერთი კატეგორიაა), რომლებმაც შეიძლება პარტიაც ჩამოაყალიბონ. ლიბერასტულ სახელმწიფოში ეს სავსებით მისაღებია და მათი მაგალითით ყველაზე რატომ უნდა შეგექმნას შთაბეჭდილებაო?! მართალი ხართ, მაგრამ თქვენ ხომ ჩემი და ჩემნაირების მიერ არჩეული ხელისუფლების ზნეობ- ▶

## რა სირცხვილი და ღირსება, მეოცნებეებს იმის ეშინიათ, ამერიკელმა კონგრესმენებმა (ერთი-ორმა მაინც) ოკეანის გაღმიდან თითი არ დაუქნიონ, — რას ჰგავს თქვენი ერთპარტიული პარლამენტიო. შეიძლება თქვენი ოპოზიციონერები სულაც ქალლიშვილები არიან, მაგრამ თქვენი ქალლიშვილები არიან ესენიც, თქვენი ზნეობრივი ძმებიო. სწორედ ამიტომ მართავენ გაუთავებლად მოლაპარაკების რაუნდებს, თანაც რეფერენტებთან ერთად იწვევენ დიპლომატიურ «ავტორიტეტებს» ამერიკის ელჩის მეთაურობით

# ხელისუფლება ყურში ჩაგვყვიროდა: პომპეო ჩვენში დემოკრატიის მხარდასაჭერად ჩამოვიდა, რაც აშშ-საქართველოს მეგობრული ურთიერთობის უპრეცედენტოდ მაღალ დონეს უსვამს ხაზსო. გაერთიანებული ოპოზიცია კი გაიძახოდა: აშშ შეშფოთებულია ჩვენში არჩევნების გაყალბების ფაქტებით და დიდი პომპეო შალიკოსა და ალიკოს, „გირჩისა“ და რკოს პრეტენზიების მოსასმენად ჩამობრძანდაო (მგონი, ხოშტარიასა და უდუმაშვილსაც ახსენებდნენ).

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀რივი სახის მიხედვით უნდა იმსჯელოთ. ჰოდა, **ხელისუფლებამ შარვალ-ნიფხავჩახდილების ე.წ. პარტია საპარლამენტო არჩევნების რეგისტრაციაში რომ გაატარა, რით განსხვავდება იგი იმ ნიფხავჩახდილებისაგან? ანდა ის ადამიანები, რომლებმაც ხმა მისცეს ამ უსირცხვილოებს, განა მათნაირები არ არიან? არიან და უფრო უარესებიც კი!**

მერე უარესიც მოხდა: საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიციურმა პარტიებმა არჩევნების შედეგები გააპროტესტეს და პარლამენტში არ შევალთო, დაიჟინეს. მათ შორის ის ნიფხავ-შარვალჩახდილების პარტიაც იყო.

ეგრეთ წოდებული „ქართული ოცნებით“ მოხიბლული რომ არ ვარ, მეტყობა ალბათ, მაგრამ **ის პარტიები პარლამენტში შესვლაზე უარს რომ ამბობენ, პარლამენტში კი არა, ნეტავი საქართველოშიც არ იყვნენ. ერთადერთი „პატრიოტთა ალიანსია“, რომელიც, მინდოდა, პარლამენტში მეხილა, მაგრამ...**

ჰოდა, **პარლამენტში შესული სახელისუფლო პარტიის ლიდერები, რომლებიც წინა მოწვევის პარლამენტის ტრიბუნიდან სამართლიანად უწოდებდნენ ახლანდელ გაჯიუტებულებს კრიმინალებს, დესტაბილიზაციის მოსურნეებს, ხაზინის ქურდებს, მკვლელებს, ქართული სახელმწიფოებრიობის მტრებს, მატყუარებსა და კიდევ ათას უბედურებას, ცამდე მართლები იყვნენ მაშინ, მაგრამ, ამ პარტიის ლიდერებს ახლა ყელგამოწეულები რომ ეხვეწებიან იმ უჯიშოებს, შემოდით პარლამენტში და თქვენი წილი მრავალათასიანი ხელფასები არ დაკარგოთ, ჩვენო ზნეობრივო ძმებოო, სირცხვილსა და ღირსებაზე არაფერი სმენიათ, ნეტავი?**

რა სირცხვილი და ღირსება, მეოცნებეებს იმის ეშინიათ, ამერიკელმა კონგრესმენებმა (ერთი-ორმა მაინც) ოკეანის გაღმიდან თითი არ დაუქნიონ, — რას ჰგავს თქვენი ერთპარტიული პარლამენტიო. შეიძლება თქვენი ოპოზიციონერები სულაც ძაღლისშვილები არიან, მაგრამ თქვენი ძაღლისშვილები არიან ეგენიც, თქვენი ზნეობრივი ძმებიო. სწორედ ამიტომ მართავენ გაუთავებლად მოლაპარაკების რაუნდებს, თანაც რეფერენტებთან ერთად იწვევენ დიპლომატიურ „ავტორიტეტებს“ ამერიკის ელჩის მეთაურობით.



სალომე ზურაბიშვილისა და მაიკ პომპეოს შეხვედრა

**ჩემო მდიდარო, მაგრამ საცოდავო ხელისუფლებავ, არ გრცხვენია მარიხუანისტების (ანუ ნარკომანების) პარტიასთან, რომელსაც მოფერებით «გირჩს» უწოდებ, საქმის გასარჩევად რომ მიდიხარ და თან შენი უფროსი, «ბლატნოი» ნაცნობები მიგყავს ევროკავშირიდან თუ აშშ-ის საელჩოდან?! ქვეყანა როგორ უნდა მართო და განვითარებისკენ წაიყვანო, შე გლახა, როცა შალიკია და კაკოია დამხობით გემუქრებიან?!**

**ჩემო მდიდარო, მაგრამ საცოდავო ხელისუფლებავ, არ გრცხვენია, მარიხუანისტების (ანუ ნარკომანების) პარტიასთან, რომელსაც მოფერებით „გირჩს“ უწოდებ, საქმის გასარჩევად რომ მიდიხარ და თან შენი უფროსი, „ბლატნოი“ ნაცნობები მიგყავს ევროკავშირიდან თუ აშშ-ის საელჩოდან?! ქვეყანა როგორ უნდა მართო და განვითარებისკენ წაიყვანო, შე გლახა, როცა შალიკია და კაკოია დამხობით გემუქრებიან?!**

სირცხვილის ძარღვი თუ გაიწყვიტე შუბლზე, ყველა სიგლახის ქმნა ადვილია მაშინ. ამიტომ გეადვილებათ ყოვლად უღირსი საქციელი, ჩემო დასავლეთში დაფასებულო, მაგრამ ჩვენში მასხრად აგდებულო პოლიტელიტავ.

## პომპეოს გამოცხადება და ჩვენი ღირსების დაკნინება

ერმიტაჟში არაერთხელ მინახავს და დიდხანს ვმდგარვარ ფერწერული შედევრის — „ქრისტეს გამოცხადების“ (Явление Христа) წინ. ამ ტილოზე უამრავი პერსონაჟია გამოსახული და არც ერთის სახის გამომეტყველება მეორისას არ ჰგავს. ერთი რამ კი ყველას სახეზე აწერია — თავზარდაცემა. სასწაულის ხილვა თავზარდამცემია. ზოგი, ალბათ, სიხარულით არის თავზარდაცემული, ზოგი — შიშით, ზოგი — საკვირველებით. მაგრამ ყველა თავზარდაცემულია სასწაულის ხილვით, რადგან მისი ხილვა ყველას როდი უწერია ამ ცოდვილ დედამიწაზე...

რამდენჯერაც უნდა მენახა მხატვრის ფუნჯითა და ფანტაზიით შექმნილი ეს მხატვრული რეალობა, იმდენჯერ ვივსებოდი ახალ-ახალი შთაბეჭდილებითა და მძაფრი ემოციით. აი, ეს გამახსენდა, როცა ქართულ ე.წ. პოლიტიკურ არენაზე დიდი გნიასი ატყდა აშშ-ის სადაზვერვო სამსახურის ყოფილი შეფისა და სახელმწიფო მდივნის (ჩვენებურად, საგარეო საქმეთა მინისტრის) — **მაიკ პომპეოს** საქართველოში მოსალოდნელი ჩამოსვლის გამო. **ერთი კვირის განმავლობაში ჩვენი ტელევიზიები იმ საათებს ითვლიდნენ, საქართველოში პომპეოს გამოცხადებამდე რომ იყო დარჩენილი... და, აი, თვითმფრინავი დაეშვა თბილისის აეროდრომზე და იქიდან „გამოგვეცხადა“ პომპეო, ამერიკელებისთვის ყავლგასული სახელმწიფო მდივანი, ჩვენი პოლიტელიტისა და რაღაც-რაღაც სექტორებისთვის კი — „სასწაული“...**

ატყდა, მაგრამ რა ატყდა! ხელისუფლება ყურში ჩაგვყვიროდა: პომპეო ჩვენში დემოკრატიის მხარდასაჭერად ჩამოვიდა, რაც აშშ-საქართველოს მეგობრული ურთიერთობის უპრეცედენტოდ მაღალ დონეს უსვამს ხაზსო. გაერთიანებული ოპოზიცია კი გაიძახოდა: აშშ შეშფოთებულია ჩვენში არჩევნების გაყალბების ფაქტებით და დიდი პომპეო შალიკოსა და ალიკოს, „გირჩისა“ და რკოს პრეტენზიების მოსასმენად ჩამობრძანდაო (მგონი, ხოშტარიასა და უდუმაშვილსაც ახსენებდნენ)

ვაი, ჩვენს პატრონს, უბედურს!

**კაცი იმას რომ დაიჯერებს, ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველო რეგიონში ყველაზე საიმედო პარტნიორად მიაჩნია და ამ ერთგულებისთვის მადლობის სათქმელად ამხელა პომპეო მოავლინაო, ჭკუა თუ მოეთხოვება ნეტავი?** არადა, ბევრს სჯერა, ალბათ, მაგრამ ხელისუფლებაზე ამას ვერ ვიტყვით. ხელისუფლებამ კარგად იცის, რატომაც „გამოგვეცხადა“ პომპეო. ჩვენც ვხვდებით რაღაცას, მაგრამ ეს არ არის ამ შემთხვევაში მთავარი. ამჯერად, ჩემი ყურადღება მიიპყრო იმან, „პომპეოს გამოცხადებამ“ როგორ დააკნინა ჩვენი, აშშ-ის „საიმედო პარტნიორის“, სახელმწიფოებრივი ღირსება.

ჯერ იყო და, შალიკოს ე.წ. ფანჩატურში ჩამოყალიბებულმა ოპოზიციურმა ერთობამ რუსთაველის გამზირის ორივე მხარეს (თუ ცალ მხარეს) თავისი ერთგული მიმდევრების „ცოცხალი ჯაჭვი“ გააბა თავისუფლების მოედნიდან უნივერსიტეტის მიმართულებით, რათა პომპეოსთვის თავიასი გაპროტესტებული სიფათები ეჩვენებინა, მაგრამ ამაოდ. პომპეოს არ ეფანჩატურებოდა. მისი შეშფოთება იმას უკავშირდებოდა, რომ ამიერკავკასიაში დანთებული ომის ხანძარი ისე ჩააქრო რუსეთმა, ამერიკა და ნატო, მგონი, არც გახსენებია. არადა, პომპეომ, ალბათ, ის იკითხა საქართველოს ხელისუფლებასთან შეხვედრისას — „უჩემოდ ვინ იმლერეთა“-ო, მაგრამ ეს კითხვა რიტორიკული იქნებოდა, თანაც მუქარაგარეული.

**სულ ტყუილად დაშვრა იქ ყოფილი პრეზიდენტი, აქ კი, აგრეთვე, ყოფილი ნაპროკურორალ-ნამინისტრალ-ნადირექტორალ-ნატელეწამყვან-ნაექსპერტალ-ნაპოლიტოლოგალ აქტივისტთა ჯგუფი. დიდ პომპეოს მათთან შეხვედრა აზრადაც არ მოსვლია. ვისაც შეხვდა, ნეტავი ისიც არ მენახა! ჩვენი პრეზიდენტი ისე უკრავდა თავს, ფაქტობრივად, უკვე გადამდგარ პომპეოს, რომ ვიფიქრე, ნეტავი არ დაუჩოქებდეს მაინც-მეთქი. ასე ხვდებიან სტრატეგიული პარტნიორების მესამეხარისხოვან ჩინოსნებს მასპინძელი ქვეყნის პირველი პირები?**

რის სირცხვილი, რა სირცხვილი!

ევროკავშირისა და ნატოს წევრი პატარა ქვეყნის, მაგრამ მაღალი ღირსების სახელმწიფოს მეთაურმა თავისი კაბინეტიდან გააძევა დიდი ქვეყნის ელჩი, როდესაც მან თავისი დირექტივა გადასცა იმის თაობაზე, როგორ უნდა მოქცეულიყო რომელიღაც კონკრეტულ შემთხვევაში. ამას ჰქვია თავმოყვარეობა, რომელიც ღირსებას ეფუძნება. უამისოდ, პომპეო გამოგეცხადება, **აპატურაი, ბუკიკიო** თუ სულაც **პომპეუსი,** მყისვე დაგავიწყდება, ვინ ხარ და რა გაკისრია შენი ხალხის წინაშე.

ჩემო თანამემამულენო, თითოეულმა ჩვენგანმა როგორ დავამტკიცოთ, რომ მხარი არ დაგვიჭერია შიშველუკანალგადმოგდებულებისა და ბუღის მოლოდინში წაკუზებულებისთვის? ვერ დავამტკიცებთ და შეგვრჩება ეს სირცხვილი საშვილიშვილოდ. მე არ ვიცი, როგორ ჩამოვირეცხოთ ეს და სხვა სირცხვილები. თუ ვინმემ იცით, უმორჩილესად გთხოვთ, შემატყობინეთ.

**ზურაბ ცუცქირიძე**

**P.S. პარლამენტში შესვლაზე გაქირ (თუნდაც გაოჩნებულ) ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან ერთად, ქუჩის აქციებზე იდგა ოპოზიციის ცნობილი სახე, ყოფილი პარლამენტის სპიკერი, ორჯერ საქართველოს დროებითი პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე. საკმაოდაც აქტიურობდა, თუმცა მისმა პარტიამ 1%-იანი ბარიერიც ვერ გადალახა და დეპუტატის ერთი მანდატიც ვერ მოიპოვა. ამის მიუხედავად, ქ-ნი ნინო ქუჩის ინტერვიუებზეც აქტიურობდა. ერთ-ერთი ინტერვიუს დროს კორესპონდენტმა ჰკითხა: მასობრივი პანდემიის დროს ქუჩაში თავშეყრა და მასობრივი აქციები განა ნორმალური მოვლენაოო? მირჩევნია, კორონავირუსი იყოს ჩვენში, ვიდრე არსებული ხელისუფლებაო, — უპასუხა ყოფილმა პარლამენტის სპიკერმა.**

**რა სირცხვილი, რის სირცხვილი! ზნეობისა და ჰუმანიზმის ნიშანწყალი მაინც თუ დაინახეთ ამ „პოლიტიკოსის“ პასუხში? ნორმალური ადამიანი ვერ დაინახავდა, მაგრამ თვითონ შერცხვებოდა იმ „პოლიტიკოსის“ პასუხის გამო.**

**სულ ტყუილად დაშვრა იქ ყოფილი პრეზიდენტი, აქ კი, აგრეთვე, ყოფილი ნაპროკურორალ-ნამინისტრალ-ნადირექტორალ-ნატელეწამყვან-ნაექსპერტალ- ნაპოლიტოლოგალ აქტივისტთა ჯგუფი. დიდ პომპეოს მათთან შეხვედრა აზრადაც არ მოსვლია. ვისაც შეხვდა, ნეტავი ისიც არ მენახა! ჩვენი პრეზიდენტი ისე უკრავდა თავს ფაქტობრივად უკვე გადამდგარ პომპეოს, რომ ვიფიქრე, ნეტავი არ დაუჩოქებდეს მაინც-მეთქი**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ჭირი დანახული სჯობს დაფარულსა, თუმცა ორივ ჭირია და არც ერთი არ არის სანატრელი“ (ილია).

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

# ბავშვების სახელით გეკითხებით ამ აბდაუბდის შემოქმედთ: თქვენ ასე გასწავლიდნენ?

**დიდი ხანია, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენი ცხოვრება ისე მიდის, რომ კარგი რამ თუ გვჭირს, უნდა გვიკვირდეს, ავი კი საკვირველი აღარ არის. ასეთ ყოფაში ადამიანებს მომავლის შიში გაუჩნდათ.**

**საიდან მოჰქრის ეს შიში?**

**სათავიდან. სათავე კი ჩვენი მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეა.**

როგორც დიდი ილია ბრძანებს, **„ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივ ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხ ქარაგმით დაწერილია, თუ ესე ითქმის, და არა სხვილ და სრულ ასოებით, როგორც დამთავრებული კაცი. არ უნდა გვიკვირდეს, რომ, რასაც დიდ მდინარეში ვპოულობთ, იმას მის სათავეშიაც ვხედავთ. ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდი ადამიანისა“,** ამიტომ მასწავლებელს ამ ძნელად წასაკითხი ქარაგმისა თუ არა გაეგება რა, ის ბავშვსაც დაღუპავს და ქვეყანასაც, მით უფრო იმ სახელმწიფოში, რომელშიც ხშირ შემთხვევაში კატებს აყეფებენ ძაღლების ნაცვლად.

გავიხსენოთ საქართველოს განათლების მინისტრები ვინ იყვნენ წლების განმავლობაში: ნაციონალების პერიოდში — **ალექსანდრე ლომაია, გია ნოდია, ნიკა გვარამია, დიმიტრი შაშკინი...** მათი სახელები, განათლების გარდა, ალბათ, ბევრ რამეს აგონებს მკითხველს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი — 2012 წელს განათლებისა და მეცნიერების მინისტრად **გიორგი მარგველაშვილი** დაინიშნა. გაპრეზიდენტებამდე, ანუ მინისტრად ყოფნის ერთი წლის განმავლობაში მან ყურადღება სისტემის დეპოლიტიზაციასა და პედაგოგთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, სასკოლო ავტობუსებისა და უფასო სახელმძღვანელოების პროგრამებზე გაამახვილა.

**თამარ სანიკიძეს** განათლების მინისტრის პოსტი სამი წლის განმავლობაში, 2013 წლიდან 2016 წლამდე პერიოდში, ეკავა. მის სახელს უკავშირდება მანდატურის სამსახურის რეფორმა; მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა.

**ალექსანდრე ჯეჯელავა** კი განათლების მინისტრი სულ ერთი წელიწადი იყო და საზოგადოების ალაპარაკება მხოლოდ ზღაპრებისადმი თავისი დამოკიდებულებითა და ვაშლების პროექტით მოახერხა. ბევრს გაუჩნდა მაშინ სურვილი, ერთი ამის თავში ჩამახედაო, როცა მინისტრისგან ასეთ ბოდვას ისმენდა:

*** „კომბლე მოძალადე და ცუდი მეცხვარეა, მასთან ორი პრეტენზია მაქვს. ორი ცხვარი ჰყავს და მეცხვარეს რატომ უნდა ჰყავდეს ორი ცხვარი, თუ დაფიქრდებით, მიხვდებით, იმიტომ არის ცუდი მეცხვარე, რომ ცხვრის მოვლით არ არის დაკავებული, კომბლის მთლელია“;**

*** „ისეთი რაღაცეები მახსოვს, რაც აი არაფერში არ გამომდგომია, დაჟე თამადაც ვიყავი და ვთამადობდი და იქაც არ გამომადგა ეს ლექსების სწავლა“;**

*** „სამი წლის წინ ეროვნული გამოცდების ბარიერი ოცდაერთი ქულა იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ, სამი მაიმუნი რომ შეგეშვა და უბრალოდ შემოეხაზათ, ერთი მაინც ჩააბარებდა. ჩვენ ბარიერი ავწიეთ და ახლა შვიდი მაიმუნიდან ერთი აბარებს. ჩვენი მიზანია, მაიმუნებმა ვერ ჩააბარონ ეროვნული გამოცდები“.**

ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, მისი აზრით, ყველა ბავშვი მაიმუნია, რომელსაც უმაღლესი განათლების მიღების პრეტენზია არ აქვს.

ალექსანდრე ჯეჯელავა სკოლის ბუფეტებში საკვების კონტროლსა და ჯანსაღი კვების ხელშეწყობაზეც საუბრობდა. ამ ინიციატივას უკავშირდებოდა სკოლებში დიდ შესვენებებზე ვაშლების დარიგების პროექტიც, რომელიც მისმა შემცვლელმა აღარ გააგრძელა.

**ბატიაშვილი** გამომრჩა. ალბათ, იმიტომ, რომ სათქმელიც არაფერია.

ამჟამად განათლების მინისტრი **მიხეილ ჩხენკელია** და შესაძლოა, ისიც მალე გამოცვალონ, რადგან ასეთია ხელისუფალთა პრაქტიკა — მინისტრები სკამის გათბობასაც ვერ ასწრებენ, უცებვე ან სხვა სამუშაოზე გადაჰყავთ, ან საერთოდ თავიდან იშორებენ.

**მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ადამიანები მხოლოდ იმიტომ გავიხსენეთ, რომ, როგორც ჩანს, არც ერთ მათგანს აზრად არ მოსვლია პირველკლასელთა სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროგრამების გადახედვა; მასწავლებელი კი ხმას არ იღებს, რადგან, უნიჭოდ შედგენილი სასწავლო პროგრამების წინააღმდეგ რომ წავიდეს, ვაითუ სამსახური დაკარგოს.** მაგრამ, როგორც ერის მამა ამბობს, „თვალებზე ხელის მიფარებას თავის-დღეში არავისთვის ხეირი არ მოუტანია. ჭირი დანახული სჯობს დაფარულსა, თუმცა ორივ ჭირია და არც ერთი არ არის სანატრელიო“, ხოლო **„სატკივარი არას უზამს კაცს, თუ მიზეზი თავისს დროზე გაუგეო“.**

ჩვენც, მოდით, თვალებზე ხელს ნუ ავიფარებთ და ამჯერად ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო (მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით) პრობლემებზე ვისაუბროთ, რადგან **მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში თავიდან უმნიშვნელოდ მიჩნეული დეტალი, შესაძლოა, შემდეგ უზარმაზარ პრობლემად იქცეს.**

ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო. დღეს ონლაინ გაკვეთილები ბევრ მშობელს აძლევს საშუალებას, შვილთან ერთად დაესწროს გაკვეთილებს და იმაზე მეტი ხარვეზი დაინახოს, ვიდრე ამას სხვა შემთხვევაში შეძლებდა. მაშ, ასე, დავიწყოთ:




**მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში თავიდან უმნიშვნელოდ მიჩნეული დეტალი, შესაძლოა, შემდეგ უზარმაზარ პრობლემად იქცეს**



**საზოგადოების დიდი ძალისხმევის შედეგად სკოლებში ვითომ დაბრუნებული იაკობ გოგებაშვილის «დედა ენა», მეორე სემესტრი დაიწყო და ჯერ ხელში არც მასწავლებელს აუღია და არც მოსწავლეს**

**კიდევ კარგი, ამ «ძნელ საცნობელ» არსებებს (ბავშვებს) ტექსტებში ზოგან არასწორად დასმული სასვენი ნიშნების შემჩნევა ჯერ რომ არ შეუძლიათ**

ქართულის მასწავლებელმა პირველკლასელებს ერთ-ერთ გაკვეთილზე აუხსნა, რომ **ვინ** კითხვა მხოლოდ ადამიანს დაესმის, დანარჩენს — სულიერსაც და უსულოსაც — **რა.** ბავშვებმა ეს მშვენივრად გაიგეს, მაგრამ სახელმძღვანელოში ასეთი რამ აღმოაჩინეს (იხ. ფოტო): წერია — **ვისი ხმაა?** ქვემოთ კი დახატულია ბატი, კატა, ფუტკარი და ცხვარი, ასევე მოცემულია სიტყვები — კიკინებს, ზუზუნებს, სისინებს, კნავის.

აი „ძნელ წასაკითხ ქარაგმით დაწერილი“ რომ არ იყოს ბავშვი, შეიძლება არც კი გასჩენოდა კითხვები ამ ლაფსუსზე (თუ შეიძლება ლაფსუსი ეწოდოს), რომელსაც მასწავლებელმა რატომღაც თვალი აარიდა და არაფერი თქვა.

ეს „ქარაგმით დაწერილი“ კი არ ისვენებს და კითხვას კითხვაზე გისვამს ონლაინ გაკვეთილის წყალობით მის „მარწუხებში“ მოქცეულ მშობელს ან ბებია-ბაბუას: ნათია მასწავლებელმა ხომ თქვა, — ვინ მხოლოდ ადამიანს დაესმისო? კატაზე განა შეიძლება თქვა **ვინ,** ან ბატზე, ან ფუტკარზეო?! და კვდება სიცილით... და შენგან პასუხს ელოდება, შენ კი ბრინჯივით დაბნეული ხარ არა იმიტომ, რომ პასუხი არ გაქვს, არამედ არ გინდა, შენს პატარას აქედანვე დაანახვო ის დაუდევრობა, უყურადღებობა (სხვა რა შეიძლება ამას დაარქვა), რომელსაც განათლების მესვეურნი სასკოლო სახელმძღვანელოების მიმართ იჩენენ. თუმცა ზემოთ ხსენებულ მაგალითში სხვა ხარვეზიც არის: კითხვაზე „ვისი ხმაა?“ პასუხად „ბატი სისინებს“ და ა.შ. არ ივარგებს.

კიდევ კარგი, ამ „ძნელ საცნობელ“ არსებებს ტექსტებში ზოგან არასწორად დასმული სასვენი ნიშნების შემჩნევა ჯერ რომ არ შეუძლიათ. **აქვე იმასაც ვიტყვი, რომ საზოგადოების დიდი ძალისხმევის შედეგად სკოლებში ვითომ დაბრუნებული იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, მეორე სემესტრი დაიწყო და ჯერ ხელში არც მასწავლებელს აუღია და არც მოსწავლეს.**

**რაც შეეხება წერას, ანუ პირველკლასელთათვის ასოების სწორად მოხაზვის სწავლებას, დღეს იმაზე გაცილებით მეტი თვალსაჩინოება არსებობს, ვიდრე იმ „ბნელ“ პერიოდში, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეს რვეულში ამოუწერდა ხოლმე თითოეულ ასოს ნიმუშად. ახლა რამდენიმე რვეული აქვს ერთ ბავშვს, რომელთაც რატომღაც „დაბეჭდილ რვეულებს“ ეძახიან მასწავლებელიც და მოსწავლეც. მაგრამ, პრობლემა რვეულების სიმრავლე კი არა, ის არის, რომ თითოეულ მათგანში ესა თუ ის ასო სხვადასხვაგვარადაა მოხაზული (იხ. ფოტოები). აი, მაგალითად, ვასწავლით, როგორ უნდა მოხაზოს ასო „დ“. ერთ რვეულში „დ“-ს ფეხი ოდნავ მოხრილია, მეორე რვეულში — ლარივით სწორი; ერთგან „ბ“-ს თავი მარყუჟს ჰგავს, ზოგან სწორი ხაზებითაა მოცემული; ზოგან „გ“ ერთ უჯრაში წერია, ზოგან მისი განიერი მუცელი ხაზებს გარეთ არის გადასული... ანუ, რა გამოდის: ერთ რვეულში ასე დაწეროს და მეორეში ისე? აბა, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო? იგივე შეიძლება ითქვას სხვა ასოებზეც.**

**ისევ გამოჩნდება იმის მთქმელი, — რა მნიშვნელობა აქვს, ასე დაწერს თუ ისეო. თუ არ აქვს მნიშვნელობა, მაშინ საჯაროდ, ხმამაღლა უპასუხეთ მათ კითხვებს: რომელია სწორი — აქ რატომ წერია ასე და იმ რვეულში ისე? აქ თუ არ შეიძლება გადავცდე ხაზს, იქ რატომ შეიძლებაო?..**

**და კიდევ: პირველკლასელებს, რომლებმაც ჯერჯერობით მხოლოდ 20 ასოს წერა იციან, მათემატიკის გაკვეთილზე ამოცანის მოკლედ ჩაწერას სთხოვენ, ანუ ნასწავლი და სასწავლი ასოების წერას...**

**ჰოდა, ამ ბავშვების სახელით გეკითხებით ამ აბდაუბდის შემოქმედთ: თქვენ ასე გასწავლიდნენ?**

მავანმა შეიძლება დამამუნათოს: ქვეყანა თავზე გვექცევა, ეკონომიკა ჩამოშლილია, სილატაკე და ეპიდემია მძვინვარებს და შენ ასეთ წვრილმანებზე ტვინს ბურღავო...

ამგვარად ფიქრია სწორედ მომავალი თაობისა და საერთოდ, ქვეყნის დამღუპველი, მერწმუნეთ. ჩემი თუ არ გჯერათ, ჩვენს სახელოვან წინაპრებს მაინც უგდეთ ყური და მათი რჩევებით იხელმძღვანელეთ. ვაჟა-ფშაველა (ილიაზე საკმაოდ ბევრი ვილაპარაკეთ და თანაც არაერთხელ) არა მხოლოდ ქართველი კლასიკოსი პოეტია, არამედ მასწავლებელიც. თავისი პედაგოგიური საქმიანობიდან გამომდინარე, მან საინტერესო და ყურადსაღები მოსაზრებები გამოთქვა ბავშვის სწავლა-აღზრდის საკითხზე. მისი ცნობილი წერილია „საუბარი ბავშვებზედ“, სადაც იგი წერს, რომ **„კაცის სწავლა-ცოდნა მიდის იმ წესზე, როგორზედაც ქოხის აშენება. ჯერ საძირკველს ჩააგდებენ, მერე კედლებს ამოიყვანენ“ და სწორედ ამ საძირკვლის სიმყარეზეა დამოკიდებული მომავალი შენობის ბედიო. ჩვენი შვილების განათლებას საძირკველი პირველ კლასში ეყრება და ამიტომაც სჭირდება მათ სახელმძღვანელოებსა და სასწავლო პროგრამებს განსაკუთრებული გულმოდგინებით შედგენა და გამოცემა.**

**„რაზეა დამოკიდებული კაცის სიავ-კარგე. რაკი გვეცოდინება მიზეზი ჩვენის შვილების გაფუჭების და გაკეთებისა, ყველა – მდიდარი და ღარიბი — ეცდება, აიცილოს ეს ბოროტება თავიდგან. ამისათვის ძლიერ საჭიროა, ღრმად ჩავიბეჭდოთ გონებაში, რომ ღმერთს, ქვეყნიეროზის შემოქმედს ერთი კანონი აქვს, რომელსაც ერთნაირად ემორჩილება, როგორც დიდი კაცი, ისე ბეჩავი“.**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საუბარი ბავშვებზედ

**როგორც უზარმაზარ საყდარში იმყოფება ღმერთი, ისე პატარაში. ხალხიც ესეა. ერთი მეორისაგან გაირჩევა გარეგანად, მაგრამ შინაარსი, სული ღვთისა უდგიათ.**

თუ სული ყველას ერთი აქვს, მაშ მდიდარი, ღარიბი, გვაროვანი, უგვარო, ნასწავლი და უსწავლი, შეიძლება კეთილი კაცი იყოს, არ იყოს გაიძვერა, მცარცვავი, მღლეტელი, ქვეყნის შემაწუხებელი.

ღმერთმა გააჩინა კაცი, ჩაუდგა იმას თავისი სული. სული არის ძალა, იარაღი, რომელიც უნდა მოიხმაროს კაცმა, რომ გახდეს ჭკვიანი, გონიერი, პატიოსანი, შეიძინოს სწავლა, გამოიცადოს და ეს თავისი გამოცდილება შვილებსაც გადასცეს.

სულით კაცი ყველა სხვა ცხოველზე მაღლა სდგას. რაც უნდა ასწავლო ცხოველს, იმას არ შეუძლიან თავისი სწავლა შვილებს მოახმაროს. ამაზედ ქვევით მოვილაპარაკებთ. ჯერჯერობით საჭიროა გავიგოთ, **რაზეა დამოკიდებული კაცის სიავ-კარგე. რაკი გვეცოდინება მიზეზი ჩვენის შვილების გაფუჭების და გაკეთებისა, ყველა — მდიდარი და ღარიბი — ეცდება, აიცილოს ეს ბოროტება თავიდგან.**

**ამისათვის ძლიერ საჭიროა, ღრმად ჩავიბეჭდოთ გონებაში, რომ ღმერთს, ქვეყნიერობის შემოქმედს ერთი კანონი აქვს, რომელსაც ერთნაირად ემორჩილება, როგორც დიდი კაცი, ისე ბეჩავი.** როგორც მაღალი ტანის კაცი, ისე დაბალი იღებს ცოდნას ცოტ-ცოტობით და უცებ ვერ განათლდება.

**კაცის სწავლა-ცოდნა მიდის იმ წესზე, როგორზედაც ქოხის აშენება. ჯერ საძირკველს ჩააგდებენ, მერე კედლებს ამოიყვანენ. ძელზე ძელს დასდებენ, ან ფიცარს ფიცარზე დაამწყნობენ, ისე კაცის სწავლაა — ძველს სწავლას კაცი უმატებს ახალ-ახალს, ცოდნა იზდება, კაცი ნათლდება.** ავიღოთ მაგალითი და დავაკვირდეთ, იქიდამ შევიტყობთ, კაცი როგორც იძენს სწავლას...

დროა დავიწყოთ საუბარი ბავშვებზედ.

კაცი პირველ დაბადების დღეებში გონებით უბრალო ცხოვლის შვილზედ მაღლა არ სდგას; ის იხედება აქეთ-იქით, მაგრამ ვერაფერს ხედავს, ვერც ამჩნევს; ესმის, მაგრამ ვერ იგნებს, რასაც ელაპარაკები. დედა ძუძუს ძალი-ძალად მიაჩვევს. ჩვილ ბავშს, თუ მახინჯი არ არის, აქვს ყველა ხუთი გრძნობა: სითბოს, სიცივეს, შიმშილს, წყურვილს, სინათლეს, სიბნელეს, ხმაურობას, სიჩუმეს ყმაწვილი გრძნობს. მაგრამ გრძნობა და შეგნება ერთი როდია. ჩვენ მაგალითად ყველანი ვგრძნობთ მზის სითბოს, მაგრამ ყველამ კი არ იცის, ვერ შეუგნია საიდამ და როგორ მოდის ჩვენამდე ეს სხივი. ყველანი ვგრძნობთ წვიმის ნამს, მაგრამ ყველამ კი არ ვიცით საიდგან და როგორ კეთდება ეს ნამი, როგორა ჩნდება ღრუბლები. ყმაწვილიც ესეთია გარეგანი გრძნობით — გრძნობს როგორც ჩვენ, მაგრამ ჯერ კიდევ დროა საჭირო, კარგა ხანმა უნდა გაიაროს, რომ შეიგნოს, გაიგოს რასაცა გრძნობს. მართლაც, როგორ გაიცნობს ბავში გარეშე მოვლენებს? ისე, როგორც ჩვენ. ხან ერთი საგანი ჩაუვარდება ბავშის გრძნობას ხელში, ხან მეორე: ზოგი უფრო ხშირად, ზოგი იშვიათად. ბალღი რასაც ხშირად ხედავს, რაც ხშირად შაემთხვევა, იმდენად უფრო გამოიცდება, საგნის და შემთხვევის თვისებასაც უფრო კარგა გაიგებს.

**...რაც ბავში უფრო ბევრს სხვადასხვანაირ საგნებს ხედავს, იმდენად გონება უფრო ეხსნება.**

სოფლელი ბალღი გონების გახსნილობით დაბლა სდგას ქალაქელზე. საკვირველიც არ არის.

ქალაქელი ბავში უფრო ბევრს სხვადასხვანაირს საგნებს, ხალხს ხედავს, უფრო ბევრს გაიგონებს, მინამ სოფლელი.

მდიდარს ოჯახში ძალიან ბთხილად უნდა ზდა ბავშს, ხშირად ის ვერ მოინელებს რაც ესმის და რასაცა ხედავს. **ბალღი გონებით ცოცხალია. რასაც თვალით დაინახავს, ან ყურით გაიგონებს ყველას გაუმაძღრად უკვირდება, სუყველაფერი უნდა გაიგოს: ლოკავს და სუნავს, სინჯავს ხელებით, რასაც კი მისწვდება. ხშირად ცეცხლსაც მიეტანება. დიდსაც არა აქვს ისეთი დაკვირვებითი ნიჭი, როგორც ბალღს.** რამდენიმე თვის განმავლობაში ათასნაირს ნიშნებს, საგნების თვისებებს მოკრეფავს, მოაგროვებს გონებაში, იმდენს დაიხსომებს, ჩვენ, დიდებს სად შეგვიძლიან იმდენის დახსომება...

„ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“, ტყუილად არ ამბობს ქართული ანდაზა. რაკი ერთხელ რამეს მიეჩვევა კაცი, შემდეგ გადაჩვევა ძნელია, ეცოდინება, რომ ცუდი ჩვეულების პატრონია, მაგრამ მაინც კიდევ ვერ დასთრგუნავს ძვალ-რბილში გამჯდარს ჩვეულებას. თამბაქოს წევის მავნებლობა, თუ ჯანისათვის არა, ჯიბისათვის მაინც ყველამ იცის, მაგრამ ჩიბუხს კიდე ვერ ანებებენ თავსა.

**...აბა ყველამ გავსინჯოთ ჩვენი ცუდი ჩვეულებანი და კარგად დაუკვირდეთ, თუ მაში აღზდა არ იყოს დამნაშავე.** ბევრი არ დაიჯერებს და იტყვის, რასაც წერა-მწერალი დაუწერს კაცს, ისე გათავდება მისი ბოლო.

ბევრი მაგალითი მინახავს, მამაც კარგი ჰყოლიყოს შვილსა, კარგი მაგალითებიც ენახოს და ნამდვილი გველი, ქვეყნის ამომგდები გამოსულიყოს. ხშირად ეგრეც მოხდება ხოლმე, მაგრამ ბედისწერა აქ არაფერს შუაშია. რა უყოთ, ზოგი კაცი ავადმყოფობის გამო გულფიცხი გულ-ანჯახია, — მჭამელი, ბოროტი, დაუდეგარი, ამისთანა ბევრი მაგალითი ხდება, მაგრამ ეს შემთხვევები ჩემს ნათქომს მაინც არ ეწინააღმდეგებიან.

**ბოროტი არ იბადება არადროს კაცი. მის გაბოროტებაში გამზდელი, მშობლები, თვითონ ჩვენა ვართ დამნაშავე.**

**ბოროტება, სიგულფიცხე, ბრაზი, ბავშის გულში ცოტ-ცოტობით იზდება, ამაში ჩვენი უყურადღებობა და ცუდი მაგალითია.**

**ცოლ-შვილში ხშირად თავდაუჭერლად ვიქცევით, რასაც უნდა ვამბობთ, რასაც უნდა ვშვრებით, არ უყურებთ არც გონებას, არც სვინიდისს.**

**ბავშების მახვილი გონება ამას იბეჭდავს გონებაში და გულში, მოსწონს, კარგი გონია. არც ერთი სიტყვა და საქმე, რომლისაც ჩვენ თვითონ გვრცხვენიან შემდეგ, ბავშს არ გამოეპარება.**

ამიტომ, **რაც უნდა კეთილი გვინდოდეს შვილებისათვის, თუ კეთილს არ გავაგონებთ, კარგს მაგალითს არ ვაჩვენებთ, შვილების სიკეთით დატკბობას ვერ მოვესწრებით.** ერთს კაცს უნდოდა მუხიდამ ნავის გაკეთება, მაგრამ ბოლოს კბილის საჩიჩქნი ჩხირის მეტი ვერაფერი გააკეთა. ეს დაიხსომეთ, მკვიდრად, ნუ დაივიწყებთ! ხომ გახსოვსთ, ვაჭარს რომ უნდოდა შვილის გადიდკაცება და ციმბირში კი ამოაყოფინა თავი. **მარტო სურვილი და სიკეთის სიყვარული შვილებისადმი არ კმარა; ცოდნა, შეგნებაა საჭირო.**

ბევრი დამრჩა სათქმელი: ყველაფერს კაცი ერთბაშად ვერ იტყვის. უნდა, მხოლოდ, ჩვენს თავს დავეკითხოთ, **როგორ მოვიქცეთ შვილებთან? ამისთვის საჭიროა შვილებზედ თვალყური გვეჭიროს და კარგი მაგალითი ვაჩვენოთ. შვილებს თვალყურს კარგად მაშინ ვადევნებთ, როდესაც შვილები გვეყვარება, ამიტომ ყველაზე საჭირო სიყვარულია. მე, თუ კაცი მიყვარს, იმისთვის არაფერს დავიშურებ.**

დედ-მამამ უნდა შვილებს შესწირონ თვისი სიცოცხლე. უმეტესი ჩვენი ფიქრი, ყურადღება, შვილებზე უნდა იყოს მიქცეული. თუ შვილები გვეყვარება, რასაკვირველია, იმათაც შეუყვარდებით; რაკი დაინახავენ, რომ გვიყვარს შვილები, გვენდობიან კიდეც, რჩევას გაგვიგონებენ, მაგალითს ჩვენგნით აიღებენ და ეცდებიან, ჩვენ დაგვემსგავსონ.

**ყმაწვილს თუ დედ-მამის რჩევა, სიტყვა არ სწამს, საქმე მორჩომილია, აღარც მაგალითს ექნება ძალა.**

**თუ გვინდა, ჩვენს სიტყვას შვილებმა ფასი დასდონ, ხუმრობითაც ტყუილი არ უნდა უთხრათ და სხვებსაც უნდა ვსთხოვოთ, ტყუილს არ მიაჩვიონ ჩვენი შვილები. ცხოვრებაში ბევრს განსაცდელს მოელის კაცი, ბევრჯელ დასჭირდება იმას ტყუილის თქმა. ამიტომ მშობლებმა უბრალო ხუმრობაშიც, ტყუილს უნდა თავი დაანებონ.**

შვილები რაკი გვეყვარება, სასტიკად. მხეცურად არ მოვეპყრობით. **შურით და ცემით ბოროტი კაცი ვის გაუკეთილებია?**

**ცემით დაშინება შეიძლება კაცისა, გაპატიოსნება კი — არაოდეს. სული, მხოლოდ სული, მოქმედობს სულზე, მხოლოდ გული იცნობს გულსა.**

**სიყვარულით და ჩაგონებით შეიძლება ასწავლოს შვილს მშობელმა სიყვარული, გულკეთილობა და გონიერება.**

ვინ დაუჯერებს ამგვარს რჩევას: „გცემ და შემიყვარე, მე ტყუილებს გეტყვი, შენ მუდამ მართალი მილაპარაკეო, ტუტუცს, გიჟს, დაგიძახებ, არაფერს გასმევ, არც გაჭმევ, შენ მარტო ითმინე და პატივი მეციო“.

ყველამ იცის ამნაირი რჩევის უვარგისობა და იმიტომ ვერცა ვინ ბედავს.

ბუნება იმნაირია ყველა კაცისა, რომ შეუძლიან გახდეს ჭკვიანი, პატიოსანი, ნასწავლი და გამოცდილი. ძალა, რომელიც კაცსა აქვს, მას ამაღლებს, ბევრს საკვირველს საქმეს ჩაადენინებს. მაგრამ მარტოკა კაცს იმდენი ძალ-ღონე არა აქვს, რამდენიც მთელს ხალხის გროვას, კაცობრიობას. მთელს კაცობრიობას შეუძლიან გადასცეს თავისი გამოცდილება ახალ-თაობას, — ყველა ახალგაზდას, თუკი იმას სურს, ისარგებლოს სხვის გამოცდილებით. **სხვის გამოცდილება უადვილებს კაცს ცხოვრებას, ასწავლის გზებს: ძველი თაობისას, ახლის ხომ თვალწინ ექნება, ამითი უფრო ღონე მოემატება კაცს, უფრო წინ წავა.**

ამიტომ ყველასთვის საჭიროა, როგორც თხილი, კრიფოს სწავლა, გამოცდილება და გადასცეს ახალთაობას, — შვილებს და შვილიშვილებს.

ერთი დრო იყო, ჩვენმა წინაპარმა, ველურმა კაცმა, თავის ფეხების და ხელების მეტი არაფერი იცოდა.

საჭირო იყო მისთვის გარსშემორტყმულის ბუნების გაცნობა: დადიოდა ფეხით საცოდავად, ვიდრე შაეძლო, იყო უსახლკარო, ხშირად მშიერი, ხის ფესვებს და ქერქს სუტავდა. ჭიაღუებს სჭამდა. მაგრამ დრომ გაიარა, იმის შვილიშვილმა უფრო ჭკვა ისწავლა. დააშინაურეს გარეული ცხენი, მოახტა ზედა, გააქანა და გამოაქანა. დაიწყო შორს მგზავრობა დიდ მანძილზე.



პაპასაებ არ უჭირდებოდა სიარული. გაიარა ბევრმა დრომ, მოიგონა კაცმა ჯერ ურემი, მერე ფაეტონი. შემდეგ კარეტა. კარეტას შარა გზა უნდოდა, ისიც გააკეთა. ემძიმა ცხენით სიარული, მოიგონა რკინისგზა და დაფრინავს ფრინველივით, ერთი თვის ცხენით სავალს გზას ერთს დღეში მიდის. მოუნდა წყალში ცურვა. მოიგონა ჯერ ლვილი (პატარა ნავი), მერე ნავი, ნავს შემდეგ გემი, გემი შეცვალა ორთქლის მატარებლად და ცურავს ზღვაში, არც გზას კითხულობს, არც თანამქროლს ქარსა. ეს კიდევ არაფერი. მოსწყინდა კაცს დედამიწაზე სირბილი და მოიწადინა ცაში აფრენა. გააკეთა ჰაერით სავსე ბურთი, მიაკრა ბოლოზე ერთი კალათი, ჩაჯდა შიგ, ასცილდა მეხის მსროლელს ღრუბლებს და გვერდიდამ გადმოეხედა ქვეყანას.

ველური კაცი თავის სიტყვას ხშირად ხატავდა. მინამ იმის ხმა ისმოდა — სიტყვაც გვესმოდა, მოკვდა — სუყველაფერი დაგვავიწყდა, მიწამ ჩათქა ის უჩინრად, დედამიწის ზურგზე მის სახსოვრად აღარაფერი დარჩა; ეძნელა ესე ცხოვრება კაცსა; მოიგონა ანბანი, ანბანს მოჰყვა წიგნების ბეჭდვა. დღეს კაცი თავის აზრს, ცოდნას, ფიქრებს სწერს ქაღალდზე, თუნდა მოკვდეს, იმისი აზრი არ დაიკარგება. ნაწერებიდამ ყველაფერს მის გამოცდილებას, ცოდნას, ხელის გულზე გადმოვიწყობთ. შეიქნა უკვდავი კაცის ფიქრი და რჩევა.

ბეჭდვის წყალობით კაცის სიტყვა ერთის კუთხიდამ მეორე ქვეყნის კუთხეში მოექცევა.

არც ამას დასჯერდა კაცი. იმან მოინდომა, რომ მისი სიტყვა ერთს წუთში ერთის წლის სავალზე გაეგოთ. ამისათვის კაცმა მოიგონა ტელეგრაფი და გააფრინა თავისი აზრი ტყვიაზე უჩქარესად.

ამოდენა ოსტატობა კაცმა სულ სწავლის, მეცნიერების წყალობით გამოიჩინა. რამდენი რამე სხვა მოიგონეს ნასწავლებმა ქვეყნის სასარგებლოდ და გადმოგვცეს, გვაჩუქეს მზად მოგონებული, — ხელმეორედ აღარ დაგვჭირდება ამეებზე თავის მტვრევა.

**ბევრი სიკეთე დათესეს ჩვენზედ წინაპართა, ჩვენც უნდა ვეცადოთ, მოგონებულს ახალი რამე მიუმატოთ ქვეყნის სასარგებლოდ.**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

# ნეოლიბერალური ზნეობა




## სამხედრო ბაზაზე უბედურება ხდება



**აშშ-ში ტეხასის შტატის სამხედრო ბაზა ფორტ-ჰუდიდან 14 რიგითი და ოფიცერი გაყარეს ჯარისკაცების მასობრივი დაღუპვისა და სექსუალური ძალადობის შემთხვევების გამო. ეს განაცხადა ქვეყნის სახმელეთო ძალების მინისტრმა რაიან მაკარტნიმ პენტაგონში გამართულ პრესკონფერენციაზე.**

ღონისძიების ტრანსლაცია მოაწყო ტელეარხმა CBS-მა.

ხელისუფლებამ ობიექტზე სამსახურებრივი გამოკვლევის ჩატარება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც შარშან, ივნისში აღმოაჩინეს 20 წლის სამხედრო მოსამსახურის ცხედარი. ეს ახალგაზრდა სამხედრო ნაწილიდან მოულოდნელად დაიკარგა, მაგრამ ამ ფაქტის შესახებ ბაზის ხელმძღვანელობას არ განუცხადებია. შესწავლის პროცესში გამჟღავნდა, რომ მოხდა სექსუალური ძალადობის 93 შემთხვევა, გარდაიცვალა 25 სამხედრო მოსამსახურე.

## აბა გაბედე!

**ნორვეგიაში ცუდი რამ თუ წამოგცდა პედერასტებზე, სამ წლამდე ციხეს მოგისჯიან.**

**ნორვეგიის მთავრობამ მოქალაქეებს აუკრძალა ტრანსგენდერების შესახებ ცუდის თქმა საკუთარ ოჯახებში საუბრის დროსაც კი. „როიტერი" იუწყება, რომ ნორვეგიის პარლამენტმა ხმა მისცა კანონის გაფართოებას, რომელიც 1981 წელსაა მიღებული და რომელიც ამჟამადაც ძალაშია. ამ კანონს დაემატა დებულება, რომ ავის მთქმელი დაისჯება არა მხოლოდ საჯაროდ თავისი უარყოფითი დამოკიდებულების გამჟღავნებისას, არამედ პრივატულ საუბარში რამეს თუ აკადრებს ამ საცოდავ ორიენტაციააღრეულებს. დასავლეთის დემოკრატიულ და ტოლერანტულ საზოგადოებაში „სიძულვილის ენას" ადგილი არ უნდა ჰქონდეს!**



ციხეში თუ წამოსცდა?

ამაზე კანონი დუმს, რადგან ჯერ ვერ გაურკვევიათ, ციხე საჯარო სივრცეა თუ ოჯახური ურთიერთობის ჩაკეტილი კერა, კერძო საქონელი.

ჯერჯერობით მხოლოდ ისაა გარკვეული, რომ საჯაროდ ამ თემატიკაზე „მიკერძოებული" საუბარი სამი წლით თავისუფლბის აღკვეთით ისჯება, ხოლო თუ კერძო სივრცეში (!) იყბედებს, ან დააჯარიმებენ, ან ერთი წლით პენიტენციურ დაწესებულებაში გახეხავს კედლებს.

ნორვეგიელებს ეს გაფართოებული კანონი არ მოეწონათ და შეუტიეს ხელისუფლებას, რადგან ამ შემთხვევაში ლგბტთემის დაცვასთან კი არ გვაქვსო საქმე, არამედ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვასთან. სწორედ ასე დაახასიათა ახალი კანონი ოსლოს უნივერსიტეტის სამართლის დოცენტმა **ანინ კიერულფმა** „როიტერის" სააგენტოს მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუში.

ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორმა **ჯონათან ტერლიმაც** იგივე გაიმეორა. მან თქვა, რომ სიტყვის თავისუფლება ევროპაში თანდათან შეიზღუდა და ამის მიზეზია მთავრობების მიერ ზოგიერთი სიტყვის კრიმინალიზება. კერძოდ, ამ კურსით მიდის აშშ-ის დემოკრატიული პარტია. თავის კომენტარში მან ახლახან გააკრიტიკა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის მიხედვით ისჯებიან ადამიანები, თუ ტრანსგენდერების მიმართ სიძულვილის ენით იწყებენ ლაპარაკს. ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა საზოგადოების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაზე, არამედ კერძო საუბარში აზრის გაცვლაზე!

ყველაზე საშიში ფაქტორი არის ის, რომ საუბარზე კონტროლის დაწესება აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ძირითად ღირებულებად ჩამოყალიბდა. ოდესღაც ეს პარტია სიტყვის თავისუფლებისთვის იბრძოდა. ამჟამად კი გადაიქცა პარტიად, რომელიც მოითხოვს ცენზურას ინტერნეტში და სიძულვილის დანერგვის კანონების დაწესებას. **ჯო ბაიდენმა** უკვე მოითხოვა სიტყვაზე კონტროლის დაწესება და მასმედიის საკითხების დროებით ხელმძღვანელად დანიშნა ადამიანი იმ სააგენტოდან, რომელიც აშშ-ში სიტყვის თავისუფლების აშკარა მოწინააღმდეგეა.

ეს არის საშიში ტენდენცია, რომელსაც ამჟამად, სამწუხაროდ, მხარს უჭერენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები და პოლიტიკოსები. ამ კუთხით, კარგი იქნება, თუ გავიხსენებთ საფრანგეთის პრეზიდენტ **ემანუელ მაკრონის** გამოსვლას კონგრესმენთა წინაშე, როცა მოუწოდა შეერთებულ შტატებს, მისდიონ სიძულვილის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ მოდელს.

ამიტომ დღეს ჩვენ, როგორც სიტყვის თავისუფლების დამცველებმა, უნდა ვაცნობოთ საზოგადოებრიობას, საით მიაქანება ისეთი ქვეყნები, როგორიც არის ნორვეგია. საშიშროება ემუქრება სიტყვის თავისუფლებას, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში განგვსაზღვრავდა ჩვენ, ვითარცა ერს. როგორც კი გადავაბიჯებთ სიტყვის კრიმინალიზაციის რუბიკონს და დავკარგავთ კონტროლს, დავკარგავთ თავისუფლებასაც"...




## მოძალადეს TINDER-იდან 17 წლით პატიმრობა მიუსაჯეს

**22 წლის ქრისტოფერ ჰარტლი დამნაშავედ ცნეს ქალიშვილების გაუპატიურებაში, რომლებსაც ხვდებოდა Tinder-ის გაცნობა-დამეგობრების ვებგვერდის საშუალებით. მას 17 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.**

სასამართლომ დაადასტურა სექსუალური ძალადობის ორი შემთხვევა. 2018 წლის ივნისში მან 16 წლის ქალიშვილს ძაღლთან ერთად გასეირნება შესთავაზა. უკაცრიელ ადგილზე რომ აღმოჩნდნენ, მოძალადემ ქალიშვილს სექსი მოსთხოვა. უარი მიიღო და იძალადა.

მეორე შეტევა 2019 წლის ივნისში განხორციელდა. ჰარტლიმ გაიცნო 18 წლის ბრიტანელი გოგონა. დახვდა მანქანით, მყუდრო ადგილზე მიიყვანა. გააუპატიურა. იგი მოძალადედ და მსხვერპლის სიკვდილის პირამდე მიყვანის მცდელობაში დაადანაშაულეს. ჰარტლის მიერ დაზარალებულები სასამართლო პროცესს პირადად ესწრებოდნენ.

სასამართლო სხდომა 8 დღეს გრძელდებოდა. ჰარტლის, როგორც ვთქვით, 17 წელიწადი მიუსაჯეს. მის გვარს სამუდამოდ ჩაწერენ პოტენციური მოძალადეების სიაში.




## ეპშტეინის საქმის ახალი დეტალები პედოფილების ქსელის გამჟღავნებას შეუწყობს ხელს



**ვირჯინიის კუნძულების გენერალურმა პროკურორმა დენის ჯორჯმა მოითხოვა სრული ინფორმაციის შეგროვება და მისთვის გადაცემა აღნიშნულ კუნძულებზე იმ რეისების შესახებ, რომლებითაც მილიარდერ ეპშტეინთან პედოფილები ჩადიოდნენ, მათ შორის — ცალკე მასალები თვითმფრინავ „ლოლიტა ექსპრესის" რეისების შესახებაც. ამასთანავე, გამოითხოვა, რომ ჰქონდეს წვდომა ყველა საჩივართან, მოხსენებასა და იმ პილოტების ჩანაწერებთან, რომლებიც კი მომსახურებია ეპშტეინს.**

ბრალდების მხარემ, აგრეთვე, მოითხოვა სრულყოფილი ანგარიში მათ შესახებ, ვინც 1998 წელს სტუმრობდა მილიარდერს. ეს მასალები ხელს შეუწყობს პედოფილებს დანაშაულებრივი ქსელის მხილებას. აღნიშნავენ, რომ ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორებიც არიან **პრინცი ენდრიუ, ბილ კლინტონი და კევინ სპეისი,** შესაძლებელია, ჩადიოდნენ ეფშტეინის აგარაკზე.



სექსმონებით მოვაჭრე ჯეფრი ეპშტეინი აიძულებდა მსხვერპლთაგან ერთ-ერთს, მოპყრობოდა მას, როგორც ოთხი წლის ბავშვს, და უყვარდა „ტანსაცმლის გამოცვლის" თამაშები. გამომძიებელი ჟურნალისტ **ბარი ლივაინის** მონაცემებით, ეპშტეინი აიძულებდა ქალიშვილს, ტანსაცმლით შეემოსა იგი.

ჯეფრი ეფშტეინს წარედგინებოდა ბრალდება კრიმინალური ქსელის შექმნის შესახებ, რომელიც საშუალებას აძლევდა, სექსუალური ექსპლუატაცია გაეწია ათობით ქალიშვილისთვის, მათ შორის, 14 წლის ბავშვებისთვის. ზოგიერთი მონაცემით, იგი ადამიანებით ვაჭრობას 2019 წლამდე განაგრძობდა.

ამერიკელი ფინანსისტი 2019 წლის 6 ივლისს დააპატიმრეს ნიუ-იორკში. იმავე წლის აგვისტოში მან თავი მოიკლა.

**ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლამ ყველაზე მეტად ოპოზიცია შეაშფოთა. მის კრიტიკაზე აგებული პოლიტიკა დაიმსხვრა. ეს ფაქტი უკეთ უნდა გამოიყენოს მმართველმა ძალამ, უფრო უნდა შეარყიოს უკვე საკმაოდ მოფამფალებული, თუთიყუშივით მოყრანტალე ოპოზიცია. ამას მოახერხებენ მხოლოდ მაშინ, თუ შეამჭიდროვებენ თავიანთ რიგებს და გაამკაცრებენ საშემსრულებლო დისციპლინას. სახელისუფლო გუნდს ამის რესურსი აქვს.**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქვეყანას გააზრებული პოლიტიკა სჭირდება

**ცუდი დრო შეარჩია პოლიტიკიდან წასასვლელად ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა. ქვეყანა ისევ გაურკვეველ მდგომარეობაშია, ტელეეკრანებიდან ისევ სიძულვილის ნიაღვარი იღვრება, გუშინდელ არარაობებს თავი არისტოტელე ჰგონიათ და უსირცხვილოდ მოძღვრავენ ქართველ საზოგადოებას.**

ბიძინა ივანიშვილის წასვლამ ხალხი შეაშფოთა, განსაკუთრებით კი — სააკაშვილის დროის რეპრესირებული და პატივაყრილი ადამიანები, რომლებიც დღემდე ელოდებიან სამართლიანობის აღდგენას. „ოცნების" მიერ გამოცხადებულმა კოაბიტაციამ ადამიანები გააბოროტა. ქვეყნისთვის მიუღებელ მტრულ ძალას, რომლის წინააღმდეგაც მთელი საქართველო აღდგა, ახალი სული შთაბერა, გამოაცოცხლა და ისევ საქართველოს მიუქსია.

თუმცა **ბევრი მიხვდა, რომ სამართლიანობის აღდგენის დაბლოკვა გარედან ნაკარნახევი მოთხოვნა იყო, რომელსაც ხელისუფლება წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა... იმიტომ, რომ ჩვენ განვითარებადი ქვეყნების რიგში ვართ გადასროლილი, რაც თავისთავად ზღუდავს ქართული პოლიტიკის აქტივობას.**

30 წელზე მეტია, ქართული პოლიტიკის ვექტორს სხვები განსაზღვრავენ. მათთან შეწინააღმდეგება კი ძალიან ძნელია, ვინაიდან ჩვენი ყოველდღიური ყოფა და, ცხადია, განვითარებაც დიდწილად მათზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, იმის განსაზღვრა — ეს კარგია თუ ცუდი — ძნელი გასარკვევია.

საშინაო პოლიტიკის განმსაზღვრელნი, ვფიქრობ, ქართველები უნდა ვიყოთ. ჩვენზე უკეთ არავინ იცის, როგორი ქვეყანა გვინდა და რა გზით უნდა მივაღწიოთ ამას. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ, ვისაც არა მხოლოდ გვახსოვს სოციალისტური საქართველო, არამედ თვითონაც ვმონაწილეობდით მის აშენებაში და ამაში „რუსი ოკუპანტი" ხელს ვერ გვიშლიდა.

მმართველი ძალის წინასაარჩევნო დათმობამ გაათამამა ოპოზიცია. მან ირწმუნა თავისი „უძლეველობა" და არა მხოლოდ თვითონ გადავიდა ბოიკოტის რეჟიმში, არამედ სხვა პოლიტიკური პარტიებიც აიყოლია, პოლიტიკური სპექტრის ერთობა დააანონსა და გადავიდა შანტაჟსა და მუქარაზე. ხელისუფლებამ ისიც კი ვერ მოახერხა, რომ ახალდაარსებული პარტიები არ გაბმულიყვნენ სააკაშვილის მიერ დაგებულ მახეში; მეტიც, წინა პარლამენტში მოკავშირე პოლიტიკური ძალებიც დაკარგა. ასეთმა მდგომარეობამ მნიშვნელოვნად გააძლიერა **სააკაშვილი,** რომლის ირგვლივ ისეთი პოლიტიკური ძალები გამოჩნდნენ, რომლებიც მას ადრე ანათემაზე გადაცემდნენ. „ქართული ოცნების" გუნდს მოუწევს პროცესების გაანალიზება და, თუ სწორ დასკვნებს ვერ გამოიტანს, უარეს დღეში ჩავარდება.

**საოცარია, რომ ის ნდობა, მხარდაჭერა და ერთიანობა, რომლებიც ივანიშვილის მოძრაობას 2012 წელს ჰქონდა, ასე ქარაფშუტულად გაანიავეს.**

ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლამ ყველაზე მეტად ოპოზიცია შეაშფოთა. მის კრიტიკაზე აგებული პოლიტიკა დაიმსხვრა. ეს ფაქტი უკეთ უნდა გამოიყენოს მმართველმა ძალამ, უფრო უნდა შეარყიოს უკვე საკმაოდ მოფამფალებული, თუთიყუშივით მოყრანტალე ოპოზიცია. ამას მოახერხებენ მხოლოდ მაშინ, თუ შეამჭიდროვებენ თავიანთ რიგებს და გაამკაცრებენ საშემსრულებლო დისციპლინას. სახელისუფლო გუნდს ამის რესურსი აქვს.

**ქვეყანაში არსებული კრიზისი შეიძლება განიმუხტოს, თუ სახელისუფლო გუნდი შეცდომებს აღარ დაუშვებს. „ქართულ ოცნებას" შეცდომებს ქართველი საზოგადოება აღარ აპატიებს. ვფიქრობ, იგი შეძლებს გზააბნეული ქართველების შემობრუნებას და სწორ გზაზე დაყენებას. ამის ინდიკატორი კი ადგილობრივი არჩევნებია, რომლის მოახლოებაც უკვე იგრძნობა. ბურთიც და გულშემატკივარიც ჯერ კიდევ მათ მხარესაა და არ უნდა გაუცრუოთ მხარდამჭერებს მოლოდინი.**

ერთი რამ ცხადია: იმარჯვებს მხოლოდ ის ძალა, რომელიც შეძლებს, ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, რაციონალური პოლიტიკის განხორციელებას. ერთი სიტყვით, „ოცნებამ" ყბადაღებული კოაბიტაცია უნდა დაასრულოს და მოაზროვნე ოპოზიციასთან საერთო ენა გამონახოს. საბედნიეროდ, ასეთები უკვე გამოჩნდნენ.

მინდა ვისარგებლო თქვენი გაზეთის ჩემდამი კეთილგანწყობით და კიდევ რამდენიმე საკითხს შევეხო.

უპირველესად, ეს არის აფხაზეთი, რომელიც დღეს მივიწყებულია. ხმამაღლა ვაცხადებ, რომ აფხაზეთის პრობლემის გასაღები მხოლოდ მოსკოვშია და ამის თქმის საფუძველს აფხაზეთში ჩემი მოღვაწეობის 16-წლიანი პერიოდიც მაძლევს, როდესაც ამ ძირძველ ქართულ მიწაზე ძალიან სერიოზულ თანამდებობებზე ვსაქმიანობდი. მაშინ დავრწმუნდი, რომ აფხაზები ის ხალხი არაა, რომელიც ქართველების მიერ შეთავაზებულ ძმობას დააფასებს და ჩვენ ჩაგვეხუტება. მათ ჩვენზე უკეთ იციან თავიანთი აბაზგინური წარმომავლობა და ისიც, რომ აფხაზეთის მიწაზე XII-XIII საუკუნეებიდან ჩამოდიოდნენ. დღეს კი მის მიტაცებასა და დასაკუთრებას ლამობენ, რაც ქართველებისავე ხელშეწყობით გამოსდით კიდეც.





ნაპოლეონ ქარქაშაძე

> **ქვეყანაში არსებული კრიზისი შეიძლება განიმუხტოს, თუ სახელისუფლო გუნდი შეცდომებს აღარ დაუშვებს. ქართველი საზოგადოება შეცდომებს აღარ აპატიებს «ქართულ ოცნებას». ვფიქრობ, იგი შეძლებს გზააბნეული ქართველების შემობრუნებას და სწორ გზაზე დაყენებას, ამის ინდიკატორი კი ადგილობრივი არჩევნებია, რომლის მოახლოებაც უკვე იგრძნობა. ბურთიც და გულშემატკივარიც ჯერ კიდევ მათ მხარესაა და არ უნდა გაუცრუოთ მხარდამჭერებს მოლოდინი**

**აფხაზებმა შეგნებულად გააყალბეს ამ მიწა-წყლის ისტორია, გაანადგურეს ან დამალეს აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური თუ სხვა სახის ძეგლები, რომლებიც უტყუარად ამტკიცებს ამ მიწა-წყლის ქართულ წარმომავლობას. აფხაზებმა ახალი ათონის მონასტრის საცავებში გადამალეს აფხაზეთის მთავრის — შერვაშიძის არქივი, რომლითაც კიდევ ერთხელ მტკიცდებოდა ის, რომ აფხაზეთიც ისეთივე სამთავრო იყო, როგორც სამეგრელო და გურია და რომ მას დღევანდელ სეპარატისტებთან საერთო არაფერი აქვს.**

სამწუხარო ისაა, რომ ქართველებმა მათ ამ პრეტენზიებს ჩვენდა უნებურად, გაუაზრებლად ხელიც შევუწყვეთ. მახსენდება ჩემი ვიზიტი ცნობილ ქართველ მეცნიერთან, აკადემიკოს გ. მეგრელიშვილთან, რომელიც იმხანად ისტორიის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა. ჩემს შეკითხვაზე, თუ ვინ მუშაობდა მის ინსტიტუტში აფხაზეთის ისტორიის საკითხზე, დაუფარავად მითხრა, რომ ქართველებიდან — არავინ. ეს თემა ჩვენთვის ტაბუდადებულიაო.

არადა, აფხაზეთის მხრიდან ამ თემაზე ყველაზე ტიტულოვანი მეცნიერები მუშაობდნენ, რომლებიც თავიანთ შრომებს რუსეთში გამოცემულ ჟურნალებში აქვეყნებდნენ. ყველანი ვხედავდით, როგორი მეთოდურობით აშენებდნენ ისინი მათი მცდარი თეორიის საფუძვლებს, მაგრამ განმკითხავი არავინ იყო. კომუნისტურ მმართველობას ხელს აძლევდა ფეთქებადსაშიში კერების არსებობა და ამას აღნიშნავდა კიდეც.

**ათონის მონასტერში დაცული აფხაზეთის მთავრის არქივის შესახებ მითხრა აფხაზეთის სამოციქულო ეკლესიის მიტროპოლიტმა მეუფე დავითმა (ერისკაცობაში ჭკადუამ), რომელმაც აფხაზეთის მთავრების ნაქონი ღვთისმშობლის უნიკალური ხატიც მაჩუქა. ეს სიწმინდე მოგვიანებით, პატრიარქის რჩევით, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ჩემივე ინიციატივით აშენებულ ილია მართლის ტაძარს შევწირე. მიმაჩნია, რომ სპეციალისტები ამ ხატის შესწავლით ბევრ პრობლემას მოჰფენენ ნათელს — ხატზე ხომ ქართული წარწერებია.**

სანამ აფხაზებს სიმართლეს არ ვეტყვით და შესაბამის დოკუმენტებს არ გავასაჯაროვებთ, ამ მიწა-წყლის დაბრუნების სურვილი მხოლოდ სურვილად დარჩება. აფხაზეთის დაბრუნების ყველაზე კარგი შანსი ჩვენს თაობას აქვს, რომელსაც ახსოვს აფხაზეთი, უშრომია და უმოღვაწია ამ ძირძველ ქართულ მიწაზე და ამ საკითხის მოგვარება ჩვენთვის ყველაზე პრიორიტეტულია. ამ ადამიანებს რუსებთანაც შეუძლიათ საერთო ენის გამონახვა და ბევრნი დღემდე დაკავშირებულნი არიან რუსეთთან.

ხელისუფლება არ უნდა შეაშინოს შემთხვევითი ადამიანების რუსოფობიამ და უნდა გადადგას ნაბიჯი, რომელიც რაციონალური და აუცილებელია. რუსეთთან მტრობა საქართველოს სიკეთეს არ მოუტანს.

> **აფხაზეთის პრობლემის გასაღები მხოლოდ მოსკოვშია. ამის თქმის საფუძველს აფხაზეთში ჩემი მოღვაწეობის 16-წლიანი პერიოდიც მაძლევს, როდესაც ამ ძირძველ ქართულ მიწაზე ძალიან სერიოზულ თანამდებობებზე ვსაქმიანობდი... სანამ აფხაზებს სიმართლეს არ ვეტყვით და შესაბამის დოკუმენტებს არ გავასაჯაროვებთ, ამ მიწა-წყლის დაბრუნების სურვილი მხოლოდ სურვილად დარჩება. აფხაზეთის დაბრუნების ყველაზე კარგი შანსი ჩვენს თაობას აქვს, რომელსაც ახსოვს აფხაზეთი, უშრომია და უმოღვაწია ამ ძირძველ ქართულ მიწაზე და ამ საკითხის მოგვარება ჩვენთვის ყველაზე პრიორიტეტულია. ამ ადამიანებს რუსებთანაც შეუძლიათ საერთო ენის გამონახვა და ბევრნი დღემდე დაკავშირებულნი არიან რუსეთთან**

**ნაპოლეონ ქარქაშაძე,**
აკადემიკოსი

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პრეზიდენტის პოსტი ყველაზე ცოტა ხნით უილიამ ჰარისონმა შეინარჩუნა. საპრეზიდენტო არჩევნებში მან მეორე ცდით გაიმარჯვა — ამ მომენტში უკვე 68 წლის იყო. გამარჯვებით აღტაცებულმა ჰარისონმა თავის ინაუგურაციაზე 2 საათის განმავლობაში ილაპარაკა. უპალტოოდ და უქუდოდ ფეხზე მდგომი პრეზიდენტი გაცივდა, ფილტვების ანთება დაემართა და გაპრეზიდენტებიდან 30 დღის შემდეგ, 1841 წლის 4 აპრილს, გარდაიცვალა.

# აშშ-ის ყველაზე ცუდი პრეზიდენტები

აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში კაპიტოლიუმში შეჭრის შემდეგ აქტუალურია ამერიკელების ნდობის თემა თავიანთი პრეზიდენტების მიმართ. ტრამპის მოწინააღმდეგე დემოკრატებმა და მათ მიერ გაკონტროლებულმა მედიამ აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი შეიარაღებული პირების კაპიტოლიუმში შეჭრისკენ წაქეზებაში დაადანაშაულა, შემდეგ კი ერთ-ერთ ცუდ პრეზიდენტად გამოაცხადა. აშშ-ის არსებობის 245 წლის განმავლობაში იყო რამდენიმე პრეზიდენტი, რომლებმაც ცუდი კვალი დატოვეს ამ ქვეყნის ისტორიაში. აი ისინიც:

## მარტინ ვან ბიურენი — აშშ-ის მე-8 პრეზიდენტი



პრეზიდენტს, რომელმაც წინამორბედისგან მნიშვნელოვნად დევალვირებული დოლარი მიიღო, თავისუფლად შეეძლო ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, მაგრამ მან ინდიელთა საწინააღმდეგო პოლიტიკის განხორციელება დაისახა მთავარ მიზნად. მარტინ ვან ბიურენის ინიციატივით აშშ ჩაება ფლორიდის ომში. ამერიკის აბორიგენი მკვიდრი მოსახლეობის, ინდიელების, მშობლიური კერიდან გასახლებისას კი ძალადობას არ ერიდებოდა. ბიურენის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შედეგად შიმშილით დაიხოცა ათიათასობით ადამიანი. სხვათა შორის ინდიელთა საწინააღმდეგო პოზიციის გარდა, ბიურენი ცნობილი იყო იმითაც, რომ ძალიან უყვარდა ალკოჰოლური სასმელი. ამერიკელებმა მას მეტსახელად „ლურჯი ვისკი ვანი“ შეარქვეს.

## უილიამ ჰარისონი — აშშ-ის მე-9 პრეზიდენტი



პრეზიდენტის პოსტი ყველაზე ცოტა ხნით უილიამ ჰარისონმა შეინარჩუნა. მან წარმატებული პოლიტიკოსის რეპუტაცია მხოლოდ მაშინ მოიპოვა, როცა 60 წელს მიაღწია. კონგრესში აირჩიეს ინდიელებთან ხანგრძლივ ბრძოლებში მონაწილეობის შემდეგ. საპრეზიდენტო არჩევნებში მან მეორე ცდით გაიმარჯვა — ამ მომენტში უკვე 68 წლის იყო. ამ გამარჯვებით აღტაცებულმა ჰარისონმა თავის ინაუგურაციაზე 2 საათის განმავლობაში ილაპარაკა. უპალტოოდ და უქუდოდ ფეხზე მდგომი პრეზიდენტი გაცივდა, ფილტვების ანთება დაემართა და გაპრეზიდენტებიდან 30 დღის შემდეგ, 1841 წლის 4 აპრილს, გარდაიცვალა.



## მილარდ ფილმორი — აშშ-ის მე-13 პრეზიდენტი

მილარდ ფილმორმა ვერ შეძლო პრეზიდენტის პოსტზე ვადის ამოწურვამდე ყოფნა. პრეზიდენტის სავარძელი მან ზაკურიტ ტეილორის გარდაცვალების შემდეგ დაისაკუთრა, ქვეყნის პირველკაცობა კი მესამე წელს დაასრულა. მილარდი მხარს უჭერდა თეთრკანიანი მონების კანონის გამკაცრებას.



## ფრანკლინ პირსი — აშშ-ის მე-14 პრეზიდენტი

ამ პრეზიდენტმა აშშ-ის ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის მონათმფლობელობის საკითხზე არსებული დაპირისპირება გააღრმავა. პირსმა სახელი გაითქვა თავისი მძიმე ხასიათითა და მიუღებელი კონსერვატიული მოსაზრებებით, რომელთა გამოც უფრო გამწვავდა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის დაპირისპირება. პრეზიდენტად არჩევიდან ერთი წლის შემდეგ პირსმა გამოსცა კანონი „კანზას-ნებრასკა“, რომლის შედეგად შეიქმნა კიდევ ორი შტატი მონობის კანონიერების განსაზღვრის უფლებით. ამან გაამწვავა კონფლიქტი ორ ახლომდებარე რეგიონს შორის, რომლებიც ადრე ერთიანი იყო. ფრანკლინ პირსი ერთ-ერთი ფაქტორი იყო სამოქალაქო ომისა, რომელიც 1857 წელს დაიწყო.

## ენდრიუ ჯექსონი — აშშ-ის მე-17 პრეზიდენტი



ენდრნიუ ჯექსონი აშშ-ის პრეზიდენტი გახდა 1865 წელს, **აბრაამ ლინკოლნის** მკვლელობის შემდეგ. თავისი პრეზიდენტობის წლებში მან ბევრი საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო. მანვე გამოიყენა ვეტო შავკანიანი მოსახლეობის თანასწორუფლებიანობის კანონის დამტკიცებაზე, დაითხოვა სამხედრო მინისტრი და ყველაფერს თვითონ მართავდა, რის გამოც კინაღამ იმპიჩმენტი მოუწყვეს — მხოლოდ რამდენიმე ხმა დააკლდა სენატში, თუმცა პოსტი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე დატოვა.



## ვუდრო ვილსონი — აშშ-ის 28-ე პრეზიდენტი

ათწლიანი სამოქალაქო ომის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტი გახდა ვუდრო ვილსონი. ახალგამომცხვარი პოლიტიკოსი ყველანაირად ცდილობდა შავკანიანი მოსახლეობის იმ უფლებების ანულირებას, რომლებიც შეთანხმებით იყო გათვალისწინებული. ვუდრო ვილსონის მამა მღვდელმსახური და მონათმფლობელი იყო, მისი გავლენით შეიქმნა კუ-კლუქს—კლანი. 1901 წელს ვუდრო ვილსონმა დაწერა წიგნი სახელწოდებით „ამერიკელების ისტორია“, რომელშიც მომავალმა პრეზიდენტმა ხოტბა შეასხა კუ-კლუქს-კლანს და ჩამოაყალიბა სეგრაგაციის საფუძვლები.



## ლინდონ ჯონსონი — აშშ-ის 36-ე პრეზიდენტი

ჯონსონმა ფიცი პრეზიდენტის ლაინერის ბორტზე დადო პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობიდან რამდენიმე საათის შემდეგ. სხვათა შორის ჯონსონი კენედის მკვლელობის მომენტში მის კორტეჟში იმყოფებოდა. ჯონსონმა წამოიწყო ომი ვიეტნამში, შედეგად აშშ-მა დიდი ზარალი განიცადა. მანვე შეიყვანა ჯარი დომინიკის რესპუბლიკაში. ჯონსონის რეიტინგი მისი აგრესიული პოლიტიკის გამო სწრაფად დაეცა. საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ ის თავის რანჩოში გადავიდა და მემუარების წერა დაიწყო.



## რიჩარდ ნიქსონი — აშშ-ის 37-ე პრეზიდენტი

საკმაო რაოდენობის პოლიტიკური გამარჯვების მოპოვების მიუხედავად (ჩინეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება, გარემოს დაცვის სააგენტოს შექმნა და სხვ.), ნიქსონს მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში ახსენებენ. ეს შედეგია იმ პოლიტიკისა, რომელსაც ნიქსონი ოპონენტების მიმართ ატარებდა და რომელიც ე.წ. უოტერგეიტის სკანდალით დასრულდა.

სასტუმრო „უოტერგეიტში“ ოპონენტების საუბრების მიყურადების შედეგად მოპოვებულმა აუდიოჩანაწერებმა ნიქსონსა და მის გარემოცვას კორუფციონერების სახელი შესძინა. 1974 წელს ნიქსონი იძულებული შეიქნა, პოსტიდან გადამდგარიყო. ამასთანავე, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ნიქსონი თავგამოდებული ანტისემიტი იყო.

## ჯორჯ ბუში-უმცროსი — აშშ-ის 43-ე პრეზიდენტი



აბსურდული გადაწყვეტილებებით გამორჩეული პრეზიდენტი გახლდათ. ბუში-უმცროსის პრეზიდენტობა რამდენიმე შტატში ხმების ხელახალი გადათვლით დაიწყო. მისი პრეზიდენტობისას ამერიკაში 11 სექტემბრის ტერაქტი მოხდა. შემდეგ ქვეყანა ავღანეთში შეიჭრა. ჯორჯ ბუშსა და მის ოჯახს (მამაც პრეზიდენტი იყო) თავს დაატყდა მწვავე კრიტიკა ქარიშხალ კატრინას შედეგების ლიკვიდაციის საქმეში გამოჩენილი უუნარობის გამო.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვიტალი დარასელიას მთავარი გამარჯვება ქართული ფეხბურთის დიდი გამარჯვება იყო, როცა 1981 წლის 13 მაისს თბილისის „დინამომ“ დიუსელდორფში გამართულ უეფას თასის მფლობელთა თასის ფინალურ მატჩში გერმანიის „კარლ ცაისი“ დაამარცხა. ამ მატჩში გადამწყვეტი ბურთი ვიტალი დარასელიამ გაიტანა 87-ე წუთზე და სრულიად საქართველოს უზარმაზარი სიხარული მოჰგვარა.**

# ვიტალი დარასელია — ქართული ფეხბურთის ბრილიანტი



**2021 წლის 9 იანვარს 64 წელი შეუსრულდებოდა ლეგენდარულ ფეხბურთელს, 1981 წლის 13 მაისს „კარლ ცაისის“ კარში გატანილი მეორე ბურთის ავტორს — ვიტალი დარასელიას, რომელსაც, როგორც გაირკვა, ოფიციოზმა დაბადების თარიღი შეუცვალა.**

2018 წელს ვიტალი დარასელიას ვაჟმა, **ვიტალი დარასელია-უმცროსმა**, ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მამამისი 1957 წლის 9 იანვარს დაიბადა: **„მინდა, დავაზუსტო: ვიკიპედიაში მამაჩემის დაბადების თარიღად მითითებულია 1957 წლის 9 ოქტომბერი. მისი ნათესავები და მეგობრები კი დაბადების დღეს 9 იანვარს აღნიშნავდნენ. მამა 1957 წელს დაიბადა. დაბადების თარიღი იმიტომ შეუცვალეს, რომ მას დიდხანს ეთამაშა სსრკ-ის ახალგაზრდულ ნაკრებში. ასეთი რამ ყოველთვის ხდებოდა ფეხბურთში, და არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში“...**

ოჩამჩირეში დაბადებული ვიტალი დარასელიამ ფეხბურთის თამაში ადგილობრივ გუნდ „ამირანში“ დაიწყო, 17 წლისა კი, მწვრთნელ **ნოდარ ახალკაცის** ინიციატივით, თბილისის „დინამოში“ ჩაირიცხა.



წამიც და ვიტალი დარასელია ბურთს გაიტანს „კარლ ცაისის“ კარში

**ვიტალი დარასელიას დებიუტი თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში (სსრკ-ის ჩემპიონატში) 1975 წლის 11 მაისს ჰქონდა ტაშკენტის „ფახთაქორის“ წინააღმდეგ. მან ამ მატჩში ცნობილი ქართველი ფეხბურთელების — დავით გოგიას, რევაზ ძოძუაშვილის, შოთა ხირჩაგაშვილის, მანუჩარ მაჩაიძის, დავით ყიფიანისა და სხვების მხარდამხარ ითამაშა.**

1976 წელს თბილისის „დინამომ“ საბჭოთა კავშირის თასის ფინალში ერევნის „არარატი“ 3:0 დაამარცხა და ამ საპატიო ჯილდოს პირველად დაეუფლა. იმავე წელს ვიტალი დარასელიამ „დინამოსთან“ ერთად ორჯერ (გაზაფხულსა და შემოდგომაზე) მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი, მას დაემატა ევროპის ჩემპიონობა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების მაისურით. 1977 წელს თბილისის „დინამომ“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა და ვიტალი დარასელიამ ვერცხლის მედალი დაიმსახურა, 1978 წელს კი თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა.

1979 წელს თბილისელები კვლავ დაეუფლნენ საბჭოთა კავშირის თასს და უეფას თასების მფლობელთა თასზე ასპარეზობის უფლება მოიპოვეს.



ვიტალი დარასელია ბერლინში





ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი და ვიტალი დარასელია

**1980 წელს ვიტალი დარასელიამ საუკეთესო თვისებები გამოავლინა და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების მაისურით ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. იმ წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებში დარასელიასთან ერთად ბრწყინავდა მისი თანაგუნდელი რამაზ შენგელიაც.**

ვიტალი დარასელიას მთავარი გამარჯვება კი ქართული ფეხბურთის დიდი გამარჯვება იყო, როცა 1981 წლის 13 მაისს თბილისის „დინამომ“ დიუსელდორფში გამართულ უეფას თასის მფლობელთა თასის ფინალურ მატჩში გერმანიის „კარლ ცაისი“ დაამარცხა. ამ მატჩში გადამწყვეტი ბურთი ვიტალი დარასელიამ გაიტანა 87-ე წუთზე და სრულიად საქართველოს უზარმაზარი სიხარული მოჰგვარა.

როდესაც „დინამო“ თბილისში დაბრუნდა, გულშემატკივრები საყვარელი გუნდის ფეხბურთელებს აეროპორტში დახვდნენ, ვიტალი დარასელია კი, როგორც გამარჯვების გოლის ავტორი, ხელში აიყვანეს. 1981 წელს ესპანეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობამ კიდევ უფრო განამტკიცა ვიტალი დარასელიას ვარსკვლავური სტატუსი. მისით ევროპის წამყვანი სპორტული გამოცემები დაინტერესდნენ, იმხანად ჩანდა, რომ ვიტალი დარასელიას ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერა ელოდა, მაგრამ ყველაფერი ერთ წამში დასრულდა.

1982 წლის 13 დეკემბერს ვიტალი დარასელია ავტოკატასტროფაში (ზესტაფონთან) დაიღუპა. ვიტალის დაღუპვამ შოკი გამოიწვია საბჭოთა კავშირის საფეხბურთო საზოგადოებაში. ის ხომ 25 წლის იყო...

საქართველოს რესპუბლიკის იმჟამინდელ ხელმძღვანელს — **ედუარდ შევარდნაძეს** სურდა, სახელგანთქმული ფეხბურთელი თბილისში დიდი პატივით დაეკრძალათ, მაგრამ დაღუპულის ნათესავები კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ, მათი მხრიდან გაისმა ფრაზა: „ტრადიციის მიხედვით, ჩვენს მკვდარს ვასაფლავებთ იქ, სადაც ვცხოვრობთ“.

ოჩამჩირეთში ვიტალი დარასელიას დაკრძალვაზე 10 ათასზე მეტი ადამიანი ჩავიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი სრულიად საქართველომ დაიტირა.

უმცროსი ვიტალი დარასელია მამის კვალს გაჰყვა — ისიც ფეხბურთელი იყო, შემდეგ — მწვრთნელი.

**მიღწევები:**

* სსრკ-ის ჩემპიონი — 1978 წ.
* სსრკ-ის ვერცხლის პრიზიორი — 1977 წ.
*სსრკ-ის თასის მფლობელი — 1976, 9179 წწ.
* უეფას თასის მფლობელთა თასის მფლობელი — 1981 წ.
* ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის სსრკ-ის ნაკრების შემადგენლობაში — 1980 წ.
* ევროპის ჩემპიონი იუნიორთა შორის სსრკ-ის შემადგენლობაში — 1976 წ.



ვიტალი დარასელია, ალექსანდრე ჩივაძე, რამაზ შენგელია და თენგიზ სულაქველიძე



თბილისის „დინამო“ 1981 წელს

**საინტერესო ფაქტი:**

რიცხვი 13 მისტიკური იყო ვიტალი დარასელიას ცხოვრებაში: 13 ნოემბერს გადაიხადა ქორწილი; 1982 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემრიონატზე მე-13 ნომრით ითამაშა. 1982 წლის 13 დეკემბერს დაიღუპა ავტოკატასტროფაში. ავტომობილი, რომელსაც მართავდა, მდინარეში გადაიჩეხა. მისი ცხედარი მე-13 დღეს იპოვეს...

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# «ბრიტანეთს შეიძლება სხვა ქვეყნებმაც მიბაძონ და ევროკავშირიდან გავიდნენ»



**The Daily Telegtaph-ი იუწყება, რომ ევროკავშირის მთავარმა მომლაპარაკებელმა ბრექსიტის საკითხზე მიშელ ბარნიემ განაცხადა, რომ არსებობს რისკი, ევროკავშირის სხვა წევრებმა მიბაძონ დიდ ბრიტანეთს და გაერთიანებიდან გავიდნენ, რადგან ევროკავშირის ბევრ რეგიონში არ ემადლიერებიან ბრიუსელს.**

„დღეს ბევრ რეგიონში არ ემადლიერებიან ბრიუსელს და არ მოსწონთ, რასაც ვაკეთებთ. ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ, იმიტომ, რომ არსებობს რისკი, ზოგიერთმა ქვეყანამ ევროკავშირი დატოვოს. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ბრექსიტის გამოცდილება და უნდა ვიბრძოლოთ ევროკავშირის შესანარჩუნებლად. ყველას დავუმტკიცოთ, რომ ევროკავშირში ყოფნა უკეთესია, ვიდრე მის გარეთ“.

**russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

# ვინ შეცვლის ანგელა მერკელს?

**გერმანიის ფედერალური მიწის ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მთავრობის ხელმძღვანელი არმინ ლაშეტი ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარედ დაამტკიცეს.**

პარტიის ყრილობაზე, რომელიც 15-16 იანვარს გაიმართა, **არმინ ლაშეტს** მხარი დაუჭირა დელეგატების 83,35%-მა. ლაშეტის განცხადებით, პარტიამ ყველას დაანახვა, რომ ერთსულოვანია.

გერმანელი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების აზრით, სწორედ ლაშეტი წაუძღვება გერმანელ კონსერვატორებს 2024 წელს გასამართ არჩევნებში.

**News-Front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**





# ტრამპი: «ეს მხოლოდ დასაწყისია!»

**დონალდ ტრამპი 20 იანვარს გამოსამშვიდობებელი სიტყვით გამოვიდა. ამონარიდები მისი სიტყვიდან თეთრმა სახლმა გაავრცელა.**

* ტრამპის თქმით, სახელმწიფოს მეთაურის რანგში მან განამტკიცა **„წმიდათაწმიდა იდეა, რომ ამერიკაში ხელისუფლება პასუხიმგებელია ხალხის წინაშე“.**

„ჩვენ გავაკეთეთ ის, რისთვისაც მოვედით, და ცოტა უფრო მეტიც“, — თქვა მან.

* ტრამპმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ათწლეულების განმავლობაში პირველი პრეზიდენტია, რომელსაც ომი არ დაუწყია.

* „ჩემმა ადმინისტრაციამ აღადგინა აშშ-ის ძალა და ლიდერობა საზღვარგარეთ“, — განაცხადა ტრამპმა და დასძინა, რომ ილოცებს, რათა აშშ-ის ახალმა ადმინისტრაციამ უზრუნველყოს აშშ-ის უსაფრთხოება და წინსვლა.

ამასთანავე, ტრამპმა აღნიშნა, რომ მისი პოლიტიკური მოძრაობა გზის დასაწყისშია.

* **„მინდა იცოდეთ, რომ მოძრაობა, რომელიც შევქმენით, ეს მხოლოდ დასაწყისია!“**

**rusvesna.su-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**




# კლინტონს ბაიდენის ინაუგურაციაზე ჩათვლიმა

**თეთრი სახლის ახალი მეთაურის, ჯო ბაიდენის, ინაუგურაციაზე აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტ ბილ კლინტონს ჩათვლიმა, — იუწყება გაზეთი The New York Post-ი.** გამოცემამ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ბაიდენის საზეიმო სიტყვით გამოსვლისას აშშ-ის 42-ე პრეზიდენტს „აშკარად ეძინა“. აღსანიშნავია, რომ იმ მომენტში ბილ კლინტონის გვერდით იმყოფებოდნენ მისი ცოლი ჰილარი კლინტონი, აგრეთვე, ჯორჯ ბუში-უმცროსი და ყოფილი ვიცეპრეზიდენტი მაიკ პენსი.

ბილ კლინტონს პრეზიდენტის უფლებამოსილებები 2001 წლის 20 იანვარს შეუწყდა. 2016 წელს ის მძინარე გამოიჭირეს, როცა მისი მეუღლე საარჩევნო სიტყვას ამბობდა დემოკრატების ყრილობაზე.

ჩაძინებული კლინტონის კადრები სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა **დონალდ ტრამპმა** კომენტარით: **„ბილიც კი დაიღალა თავისი ცოლის ტყუილებით“.**

2020 წლის სექტემბერში დონალდ ტრამპის საარჩევნო შტაბმა ჯო ბაიდენს დასცინა. სოცქსელში გავრცელებულ ვიდეოკადრებზე კარგად ჩანს, რომ ტელეარხ DI New-ისთვის ინტერვიუს მიცემისას ბაიდენს თვალები აქვს დახუჭული და აშკარად ძინავს. გადაცემის წამყვანი მორიდებით შეეცადა მის გაღვიძებას, მაგრამ დემოკრატების კანდიდატმა ძილი მაინც განაგრძო.

**Lenta.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

# რუსეთში სწავლის მსურველთათვის სტიპენდიებზე რეგისტრაცია დაიწყო

**საქართველოში რუსეთის ინტერესების სექცია აცხადებს, რომ 20 იანვრიდან დაიწყო მსურველთა რეგისტრაცია, რუსეთში სწავლისა და სადოქტორო ხარისხის მოპოვების მსურველებისათვის. ასეთი შერჩევა სექციაში ყოველწლიურად ცხადდება და წარმატებით მიმდინარეობს.**

საბუთების მიღება წლევანდელ წელს 20 თებერვლამდე გაგრძელდება — ამ თარიღის შემდეგ რეგისტრაცია შეუძლებელი იქნება, მსურველებმა ამ გარემოებას ყურადღება აუცილებლად უნდა მიაქციონ.

პანდემით გამოწვეულ ვითარებასთან დაკავშირებით 20 თებერვლამდე აუცილებლად ჩასაბარებელი საბუთების ნუსხა ჩვეულებრივთან შედარებით შეკვეცილია. პირველ ეტაპზე აუცილებელია 1. პასპორტის, 2. სასკოლო ატესტატის (მაგისტრობის მსურველებისთვის — ბაკალავრის დიპლომის, ხოლო ასპირანტურაში მოხვედრის მსრუველებისთვის — მაგისტრის დიპლომის), 3. ნიშნების ფურცლისა და 4. (ასპირანტურისთვის) რეფერატის ასლების ატვირთვა სპეციალურ ინტერნეტ-გვერდზე (იხ. რუსულენოვანი ტექსტი ქვევით). რეგისტრაციის გასავლელად არ დაგავიწყდეთ დააკლიკოთ ღილაკს წარწერით — „Отправить на проверку“ — რეგისტრაცია მხოლოდ ამ მომენტში სრულდება.

გთხოვთ, გულდასმით გაეცნოთ ქვემოთ წარმოდგენილ განცხადებას რუსულ ენაზე. რუსეთში სტიპენდიით სწავლის გასაგრძელებლად, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა იმ დონეზე მაინც, რომ ქვემოთ წარმოდგენილი განცხადების შინაარსი გაიგოთ და დამოუკიდებლად შეძლოთ დარეგისტრირება.

**„ნიუსფრონტი“ წარმატებებს გისურვებთ!**



## ВНИМАНИЕ!

## Открыта регистрация для поступления в вузы России на 2021/2022 учебный год

**Секция интересов России в Грузии объявляет, что с 20 января с.г. стартует кампания по набору кандидатов для поступления в 2021-2022 учебном году в российские высшие учебные заведения за счет средств федерального бюджета Российской Федерации.**

Желающие получить образование в России могут подать заявки на обучение в электронной форме на сайте государственной информационной системы «Образование в РФ для иностранцев» (ГИС ОРФИ). Переадресация в систему возможна по ссылкам:https://edu.rs.gov.ru/и https://future-in-russia.com/.

Для участия в отборочных мероприятиях необходимо будет пройти регистрацию, заполнить анкету на сайте https://education-in-russia.com и прикрепить к заявке необходимые отсканированные документы в соответствии с указанным в информационной системе перечнем. К документам, предоставленным на грузинском языке, должен прилагаться нотариально заверенный перевод на русский язык.

Срок подачи заявок строго с 20 января по 20 февраля включительно.

В конкурсе могут принимать участие граждане Грузии, лица без гражданства и российские соотечественники, постоянно проживающие на территории Грузии (имеющие разрешение на временное проживание или вид на жительство и не имеющие регистрации на территории Российской Федерации).

В марте с.г. состоятся отборочные испытания в формате собеседований для зарегистрированных в системе кандидатов. Информация о графике отборочных испытаний будет размещена дополнительно после 20 февраля с.г.

В случае возникновения вопросов после внимательного изучения информации на официальном сайте квотной кампании, обращайтесь через систему сообщений новой информационной платформы или на электронный адрес Секции интересов interests.section@mid.ru

Дополнительно сообщаем, что ранее используемая образовательная программа Future-in-Russia более не ведет регистрацию граждан для участия в отборочной кампании.

**GEORGIE.SU**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894